

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქართული ენის ტექნოლოგიზების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი

კონსტანტინე ფხაკაძე
მერაბ ჩიქვინიძე
გიორგი ჩიჩუა
დავით კურცხალია
ინეზა ბერიაშვილი
შალვა მალიძე

ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსი: მიზნები, მეთოდები, რეკომენდაციები

„დედა-ენა გარეგნობით როდია ადამიანის არსებასთან შეკავშირებული, იგი როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა-და რბილში, მთელს მის ბუნებაში; იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურს და ფიზიოლოგიურს აგებულებაზედ. ყოველს ადამიანს დაბადებიდან ჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედა-ენის ადვილად და ღრმად შესწავლისა სწორედ იმ გვარად, როგორც ბულბულს ჰყვება დაბადებითგანვე ბულბულის გალობის ნიჭი, იადონს – იადონურის გალობის ნიჭი და სხვა. ბავშვის ყოველ აზრს, წარმოდგენას, გრძნობას და სულის მოძრაობას მხოლოდ დედა-ენა ჰხატავს სინამდვილით და სისრულით.“ - იაკობ გოგებაშვილი

„პირველი ნიშანი ერის ვინაობისა ენაა.“ - ილია ჭავჭავაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი

კონსტანტინე ფხაკაძე
მერაბ ჩიქვინიძე
გიორგი ჩიჩუა
დავით კურცხალია
ინეზა ბერიაშვილი
შალვა მალიძე

ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსი: მიზნები, მეთოდები, რეკომენდაციები

ქვეყნდება AR/122/4-105/14 პროექტზე „კიდევ ერთი ნაბიჯი მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსისაკენ“ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გაღებული საგრანტო მხარდაჭერით.

2017 - თბილისი



ქვეყნდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალის „ქართული ენა და ლოგიკა“ დამატების სახით

სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“ - ISSN 1512-2840
ელ-ფოსტა: gllc.ge@gmail.com; ვებ-გვერდი: <http://geoanbani.com/>; მობ.: 555 543 744

გამოცემის რედაქტორი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დირექტორი კონსტანტინე ფხაკაძე

Scientific-Educational Journal “The Georgian Language and Logic” - ISSN 1512 -2840
e-mail: gllc.ge@gmail.com; web-site: <http://geoanbani.com/>; mob.: 555 543 744

Editor of the Publication – Director of the Scientific-Educational Center for the Georgian Language Technology of the Georgian Technical University Konstantine Pkhakadze

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინათქმის მაგიერ ანუ დროა მივხედოთ ქართულ ენას!	4	- 17
I ნაწილი ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსი - მიზნები, მეთოდები, რეკომენდაციები (ქართული ვერსია)	18	252
1.1 ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსის აგების მიზნები და მნიშვნელობები	18	- 26
1.2 ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსის ამგები მეთოდების სასაყრდენე ხედვები და თეორიები	27	- 49
1.3 ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსის განვითარების მიზნით აგებული ქართული ტექსტის მაანალიზებელი და სასწავლო ტექნოლოგიების ამგები მეთოდები და გამოყენებები	50	- 103
1.4 ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსის განვითარების მიზნით აგებული ქართული მეტყველების დამამუშავებელი და სასწავლო და სამეტყველო ინტერაქციის მარეალიზებელი ტექნოლოგიების ამგები მეთოდები და გამოყენებები	104	- 196
1.5 ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსის განვითარების მიზნით აგებული ქართული ავტომატურად მთარგმნელი და მრავალენოვანი საკომუნიკაციო და სასწავლო ტექნოლოგიების ამგები მეთოდები და გამოყენებები	197	- 225
1.6 ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსის ამგები მეთოდები და გამოყენებები	226	- 234
1.7 დასკვნითი ანუ ჩვენი მთავარი რეკომენდაცია	235	- 237
ჩვენი ის გამოქვეყნებები, რომლებსაც ვეყრდნობით (ქართულად)	238	- 252
II ნაწილი ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსი - მიზნები, მეთოდები, რეკომენდაციები (მოკლე ინგლისური და გერმანული ვერსიები)	253	- 320
2.1 ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსი - მოკლე ინგლისური ვერსია	254	- 280
2.2 ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსი - მოკლე გერმანული ვერსია	281	- 306
ჩვენი ის გამოქვეყნებები, რომლებსაც ვეყრდნობით (ინგლისურად)	307	- 320

წინათქმის მაგიერ ანუ დროა მივხედოთ ქართულ ენას!

01. მიზეზი იმისა, რომ წინამდებარე ნაშრომის წინათქმა ისე დავასათაურეთ, როგორც ის არის დასათაურებული, არის ის, რომ დღეს უკვე კარს მომდგარ და სანახევროდ უკვე ამოქმედებულ ციფრულ ეპოქაში, ქართული ენა, ქართული და ევროპული ენების ტექნოლოგიური მხარდაჭერების შედარებით გამოკვეთილი საგანგაშო შედეგებიდან გამომდინარე, ციფრული გაქრობის ანუ, რაც იგივეა, ციფრული კვდომის განსაკუთრებით მაღალი საფეხურის საფრთხის ქვეშაა.

ეს გასაგებს ხდის, რომ ციფრული კვდომის ამ განსაკუთრებით მაღალი საფეხურის საფრთხისგან ქართული ენის დაცვა და შენარჩუნება მხოლოდ განსაკუთრებული ზომების მიღების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი. ანუ, წინამდებარე წინათქმის მიზანი არის ქართული საზოგადოების რაც შეიძლება ფართო და რაც შეიძლება ამომწურავი ინფორმირება აღნიშნულის თაობაზე. ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევს ციფრული კვდომის ამ განსაკუთრებით მაღალი საფეხურის საფრთხისგან ქართული ენის დაცვისა და შენარჩუნებისათვის ადგილობრივ აუცილებლად საწარმოებელ პროცესებში ქართული საზოგადოების რაც შეიძლება ფართო და რაც შეიძლება ამომწურავი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, რადგან ფაქტობრივ მოცემულობებზე დამყარებული ჩვენი ღრმა რწმენით ქართული ენისთვის და, შესაბამისად, მთელი ქართველი ერისთვის ეს სასიცოცხლო მნიშვნელობების მქონე საკითხი ერთობლივი ქართული ძალისხმევის გარეშე შედეგობრივ ვერ გადაწყდება.

მართლაც, დღეს უკვე ცხადია, რომ ჩვენ, ანუ, ქართველი ერი, ან შევძლებთ ქართული ენის სრულ და ამომწურავ ტექნოლოგიურ დამუშავებას - ტექნოლოგიზებას, რაც თარგმნის უნარით აღჭურვილი ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართულ ენაზე მოაზროვნე, მოსაუბრე და მთარგმნელი მანქანის“ აგებას ნიშნავს და, შესაბამისად, ქართული ენით შევალთ „მრავალ ენაზე მოაზროვნე, მოსაუბრე და მთარგმნელი მანქანების“ კულტურულ ეპოქაში, ანდა, ეს უკვე კარს მომდგარი ახალი ეპოქა კი დადგება, მაგრამ ქართველ ერს მასში ქართული ენით არც შესვლის და, შესაბამისად, არც მონაწილეობის არანაირი შესაძლებლობა არ ექნება. - აქედან გამომდინარე, ქართული ენის დაცვისა და შენარჩუნების საერთო ეროვნული მიზნისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით ის ეპოქალური მნიშვნელობის ამოცანა, რომლის გადაწყვეტის აუცილებლობის წინაშე დღეს ქართველი ერია, არის ქართული ენის სრული და ამომწურავი ტექნოლოგიზება ანუ „ქართულ ენაზე მოაზროვნე, მოსაუბრე და მთარგმნელი მანქანის“ აგება [3 - 4], [17 - 20], [23 - 24], [33 - 36], [46 - 47], [53], [56 - 58], [70 - 71], [76 - 78], [82 - 93], [95], [98 - 102], [104 - 105], [107], [114], [119], [141 - 142], [144].

ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯერ ასაგებია „ქართულ ენაზე მოაზროვნე და მოსაუბრე მანქანა“, ანუ, რაც იგივეა, ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი და, მერე უკვე, უნდა მოხერხდეს აგრეთვე ამ „მანქანის“ ანუ ქართული ენის ამ ახალი - ტექნოლოგიური ანბანის თარგმნის უნარით აღჭურვა, რაც უკვე „ქართულ ენაში მოაზროვნე, მოსაუბრე და მთარგმნელი მანქანის“ აგებას ნიშნავს.

ეს კი, მთლიანობაში, იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი ენის, მათ შორის ქართული ენის ტექნოლოგიზება ანუ ზემოთ ძალიან მოკლედ დეფინირებული ამოცანა არის ხელოვნური ინტელექტის, ინფორმატიკის, მათემატიკის, ინჟინერიისა და ლინგვისტიკის სამეცნიერო სფეროებში მდებარე ე.წ. „ტოპ“ ანუ უმაღლესი სირთულის ამოცანათა რიგში, მეტად მნიშვნელოვანს ხდის იმ კითხვის ნიშანს, რაც ქართული ენისთვის ამ ამოცანის სრული და ამომწურავი სახით ვერ გადაწყვეტის შემთხვევაში, დღეს დღის წესრიგში დგას. მით უფრო, რომ როგორც ამას ქვემოთ წარმოდგენილი მასალებიდან მკითხველიც ცხადად დაინახავს ასეთი მეტად მნიშვნელოვანი შინაარსის მქონე კითხვის ნიშნები დღეს დღის წერიგში დგას აგრეთვე მსოფლიოს ენების, მათ შორის ევროპის ენების უმეტესობისათვის.¹ - ეს ყველაფერი, ანუ, ჩვენ შემთხვევაში, ქართულ ენასთან დაკავშირებით ამ მხრივ გაჩენილი კითხვის ნიშანი, მიზეზია, კითხვის ნიშნის მოხსნა კი - მიზანი წინამდებარე წინათქმისა, რადგან ჩვენთვის სრულიად ცხადია, რომ ქართული საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით გარეშე ქართული ენის ბედთან დაკავშირებით გაჩენილი ეს მეტად საგანგაშო შინაარსის კითხვის ნიშანი შედეგობრივ ვერ მოიხსნება!

ქართული ენის ბედთან დაკავშირებით ეს ზემოთაღნიშნული საგანგაშო განცხადება და მისი ქვემოთ წარმოდგენილი დამასაბუთებელი ხედვები ეყრდნობა იმ მონაცემებს, რაც ჩვენ ხელთა გვაქვს:

1. ქართული ენისთვის - [18 – 19], [33], [53], [58], [124] პუბლიკაციებიდან და, ასევე, 2013 წლის ივლისში, 2014 წლის აპრილში, 2015 წლის სექტემბერში და 2015 და 2016 წლის აპრილში ორგანიზებული კონფერენციებიდან გამომდინარე;²

2. ევროპული ენებისთვის - მეტა-ქსელის (<http://www.meta-net.eu/>) მიერ:

¹ იხილეთ: 1. სულ ცოტა 21 ევროპული ენაა ციფრული კვდომის საფრთხის წინაშე - კარგი და ცუდი სიახლეები ენების ევროპულ დღეს, მეტა-ქსელი, 2012; 2. ევროპის ენები ციფრულ ეპოქაში, რედაქტორები - გ. რეჰმი, 3. უშკორეიტე, მეტა-ქსელი, 2012; 3. სტრატეგიული კვლევითი გეგმა 2020 წლის მრავალენოვანი ევროპისათვის, მეტა-ქსელი, 2012; 4. სტრატეგიული კვლევითი გეგმა ერთიანი მრავალენოვანი ციფრული ბაზრისათვის, რედაქტორები - გ. რეჰმი და სხვები, მეტა-ქსელი, 2015.

² მხედველობაში გვაქვს:

1. 2013 წლის 8 ივლისს საქართველოს პარლამენტის ინიციატივით ორგანიზებული ერთდღიანი საპარლამენტო კონფერენცია „ქართული ენა - 21-ე საუკუნის გამოწვევები“;

2. 2014 წლის 14 აპრილს - დედაენის დღეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სტუ ქართული ენის ტექნოლოგიზების ცენტრის მიერ ორგანიზებული ერთდღიანი კონფერენცია „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი - 21-ე საუკუნის ერთ-ერთი უმთავრესი ქართული გამოწვევა“;

3. 2015 წლის სექტემბერში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გოეთეს სახელობის ფრანკფურტის უნივერსიტეტისა და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის საერთაშორისო კონფერენცია „ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“;

4. 2015 და 2016 წლის 14 აპრილს - დედაენის დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ რეფერენით „ქართული ენის დაცვის უახლესი ამოცანები“ ორგანიზებული ერთდღიანი კონფერენციები „ქართული ენა და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები“.

2.1. 2012 წლის 20 სექტემბერს გამოქვეყნებული და 26 სექტემბრისადმი ანუ ენების ევროპული დღისადმი მიძღვნილი საგანგაშო პრეს-რელიზიდან სათაურით „სულ ცოტა 21 ევროპული ენაა ციფრული კვდომის საფრთხის წინაშე - კარგი და ცუდი სიახლეები ენების ევროპულ დღეს“;

2.2. 2010-2012 წლებში ევროკომისიის დაფინანსებითა და 200-ზე მეტი ევროპელი ექსპერტის მონაწილეობით განხორციელებული კვლევის „ევროპის ენები ციფრულ ეპოქაში“ ამსახველი მასალებიდან;

2.3. 2012 წლის 1 დეკემბერს გამოქვეყნებული ნაშრომიდან „სტრატეგიული კვლევითი გეგმა 2020 წლის მრავალენოვანი ევროპისათვის“.

2.4. 2015 წელს წინასწარი სახით გამოქვეყნებული ნაშრომიდან „სტრატეგიული კვლევითი გეგმა ერთიანი მრავალენოვანი ციფრული ბაზრისათვის“.

02. ამგვარად, მეტა-ქსელმა 2012 წლის 20 სექტემბერს გაავრცელა პრეს-რელიზი სათაურით „სულ ცოტა 21 ევროპული ენაა ციფრული კვდომის საფრთხის წინაშე - კარგი და ცუდი სიახლეები ენების ევროპულ დღეს“, რომლის მიზანი იყო ფართო ევროპული საზოგადოების ინფორმირება ევროპის ენების ციფრული კვდომის მაღალი ხარისხის საფრთხის თაობაზე. კერძოდ, ამ ერთდროულად 28 ენაზე გამოქვეყნებული საგანგაშო პრეს-რელიზით მეტა-ქსელმა ევროპულ საზოგადოებას შემდეგი ამცნო:

„ევროპამ უნდა მიიღოს ზომები, რათა მოამზადოს თავისი ენები ციფრული ეპოქისათვის. ისინი ძალიან მნიშვნელოვანი შემადგენლებია ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისა და, შესაბამისად, ცხადია, იმსახურებენ სამომავლო დაცულობას. ენების ევროპული დღე - 26 სექტემბერი კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი კონტინენტის მდიდარი ენობრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების მეტად მაღალ მნიშვნელობას. ამასთან, მეტა-ქსელის კვლევა გასაგებს ხდის, როგორც იმას, რომ ციფრულ ეპოქაში, მრავალენოვანი ევროპა და მისი ლინგვისტური მემკვიდრეობა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა, ასევე იმასაც, რომ, დღეს, თანამედროვე ევროპის წინაშეა სრულიად ახალი გზები და სრულიად ახალი შესაძლებლობები.

200-ზე მეტი ექსპერტის მიერ მომზადებული და მეტა-ქსელის თეთრი ფურცლების სერიის 30 ტომად გამოცემული კვლევა (ხელმისაწვდომია როგორც საინტერნეტო, ისე ბეჭდვითი ფორმით), აფასებს კვლევაში მონაწილე თითოეული ენის ტექნოლოგიურ მხარდაჭერას ოთხი მიმართულებით. ესენია: ავტომატური თარგმანი, სასაუბრო ურთიერთობები, ტექსტის ანალიზი და ენობრივი რესურსები. ექსპერტების მიერ 30-დან 21 ენის (ანუ 70%-ის) მხარდაჭერა ზემოთ დასახელებული ოთხი მიმართულებიდან რომელიღაცა ერთში მაინც შეფასდა უდაბლესი კატეგორიით ანუ როგორც „სუსტი ან არანაირი მხარდაჭერა“. რამდენიმე ენა, ასეთებია ისლანდიური, ლატვიური, ლიტვური, და მალტური, ამ ოთხივე მიმართულებით უდაბლესი კატეგორიით შეფასდა. ამავდროულად, არცერთი ენა არ შეფასდა უმაღლესი კატეგორიით ანუ როგორც „სრულყოფილად მხარდაჭერილი“. მხოლოდ ინგლისური ენა შეფასდა როგორც „კარგად მხარდაჭერილი“, რომლის მერე მოდიან ისეთი „ზომიერად მხარდაჭერილი“ ენები, როგორცაა ჰოლანდიური, ფრანგული, გერმანული, იტალიური და ესპანური. მხარდაჭერა ენებისა, როგორცაა ბასკური, ბულგარული, კატალონიური, ბერძნული, უნგრული და პოლონური,

შეფასდა როგორც „ფრაგმენტული მხარდაჭერა“, რაც ამ ენებსაც ადგილს უჩენს მაღალი საფრთხის ქვეშ მყოფ ენათა ჯგუფში.“

ამგვარად, მათი თქმით, ის ენა, რომელსაც შესადარებლად აღებული ოთხი მიმართულებიდან (ესენია: ავტომატური თარგმანი, სასაუბრო ურთიერთობები, ტექსტის ანალიზი და ენობრივი რესურსები) ერთში მაინც აქვს უდაბლესი ანუ „სუსტი ან არანაირი მხარდაჭერა“, ციფრული გაქრობის ანუ კვდომის საფრთხის ქვეშაა. ასევე, მათი თქმით, ისლანდიურ, ლატვიურ, ლიტვურ და მალტურ ენებს ამ ოთხივე კატეგორიაში აქვთ მხოლოდ „სუსტი ან არანაირი მხარდაჭერა“. გარდა ამისა, პრეს-რელიზის ზემომოყვანილი ციტატის ბოლო ნაწილის თანახმად ბასკური, ბულგარული, კატალონიური, ბერძნული, უნგრული და პოლონური ენები, მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ „ფრაგმენტული მხარდაჭერა“, ციფრული კვდომის საფრთხის ქვეშ მყოფ ენათა ჯგუფში არიან.

ანუ, ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ევროკომისიის დაფინანსებითა და 200-ზე მეტი ევროპელი ექსპერტის მონაწილეობით ჩატარებული საერთო ევროპული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით თავად ევროპელები მიიჩნევენ, რომ კვლევაში მოქცეული 31 ევროპული ენიდან ციფრული კვდომის საფრთხის ქვეშ არის „კარგად“ და „ზომიერად“ მხარდაჭერილი ინგლისური, ჰოლანდიური, ფრანგული, გერმანული, იტალიური და ესპანური ენების გარდა ყველა დანარჩენი. კერძოდ, ეს ციფრული კვდომის საფრთხის ქვეშ მყოფი ევროპული ენებია ისეთი „ფრაგმენტული“ და „სუსტი ან არანაირი“ მხარდაჭერის მქონე ენები, როგორცაა: ბასკური, ბულგარული, კატალონიური, ხორვატული, ჩეხური, დანიური, ესტონური, ფინური, გალიციური, ბერძნული, უნგრული, ისლანდიური, ირლანდიური, ლატვიური, ლიტვური, მალტური, ნორვეგიული (ბოკმალური/ნინორსკული), პოლონური, პორტუგალიური, რუმინული, სერბიული, სლოვაკური, სლოვენური, შვედური, უელსური.

ამგვარად, თუნდაც მხოლოდ ზემოაღნიშნული, იმის გათვალისწინებით, რომ ტექნოლოგიური მხარდაჭერის თვალსაზრისით ქართული ენა ამ ზემოჩამოთვლილ ევროპულ ენებთან შედარებით კიდევ უკანაა, ცალსახად გასაგებს ხდის, რომ ის განგაშის ზარი, რაც ევროპაში, ევროპის ენებთან მიმართებაში, 2012 წელს ჩამოჰკრეს, დღეს, 2017 წელს, ჩვენს ქვეყანაში, ქართულ ენასთან მიმართებაში, კიდევ უფრო ხმამაღლა უნდა გავაჟღეროთ, რადგან, ისევ ვიმეორებთ: მხოლოდ ქართული საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით და კარგად დაგეგმილი განსაკუთრებული ღონისძიებების გატარების შემთხვევაშია შესაძლებელი ქართულ ენას ავამოროთ დღეს მის წინაშე მდგარი ციფრული კვდომის განსაკუთრებით მაღალი საფრთხის საფრთხე! - ეს ასეა და, ამდენად, ჩვენ, ამ მეტად მძიმე - საგანგაშო მდგომარეობიდან ქართული ენის გამოყვანისთვის პირველ რიგში აუცილებლად გადასადგმელ ნაბიჯად დავსახეთ ქართული ენის წინაშე მდგარი ციფრული კვდომის ამ მეტად მაღალი საფრთხის საფრთხისთვის ფართო საზოგადოებრივი ცნობადობის მიცემა, რადგან გვწამს და გვჯერა, რომ საერთო ქართული ეროვნული მიზნებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით ქართული საზოგადოების თითოეული წევრი ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნით ამ აუცილებლად გასატარებელი საგანგებო ღონისძიებების მნიშვნელოვანი და არსებითი მონაწილე გახდება.

03. იმ მიზნით, რომ ქართულ ენასთან დაკავშირებით უკვე წარმოდგენილი საგანგაშო განწყობა კიდევ უფრო საგრძნობი გახდეს მკითხველთა კიდევ უფრო ფართო წრისათვის, ქვემოთ მოგვყავს ამონარიდები ნაშრომიდან „სტრატეგიული კვლევითი გეგმა 2020 წლის მრავალენოვანი ევროპისათვის“, რომელიც მეტა-ქსელის ტექნოლოგიურმა საბჭომ ხუთი წლის წინ - 2012 წლის 1 დეკემბერს გამოაქვეყნა.

ევროკომისია: „მრავალი წლის განმავლობაში და ათობით ენაში ვცდილობდით რა მედიის ავტომატურად მანალიზებელი სისტემების შემუშავებას, ჩვენ მტკივნეულად განვიცდიდით ტექსტის მანალიზებელი ინსტრუმენტებისა და რესურსების ნაკლებობას უმეტესი ენებისათვის. მეტა-ქსელის ანალიზი ძალიან ზუსტია. ენობრივი ტექნოლოგიები მართლაც სასაფუძვლო შემადგენელია ახალი თაობის საინფორმაციო ტექნოლოგიებისათვის. ენა, რომლისთვისაც არ იარსებებს ეს სასაფუძვლო ენობრივი ინსტრუმენტები და რესურსები უახლოეს მომავალში ვეღარ მიიღებს მონაწილეობას უკვე დაგეგმილ მთავარ ტექნოლოგიურ განვითარებებში.“ - **რალფ შტაინბერგერი (საერთო ევროპული კვლევითი ცენტრი).**

ლატვია: „ისეთი მცირე ენებისათვის, როგორცაა ლატვიური, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მხარი აუბას მზარდი ტემპებით მიმდინარე ტექნოლოგიურ პროგრესს. ჩვენი ენის სამომავლო არსებობის უზრუნველყოფის ერთადერთი გზა არის მისი მომხმარებლების უზრუნველყოფა ისეთივე შესაძლებლობებით, როგორი შესაძლებლობებიც აქვთ უფრო მრავალრიცხოვანი ენების მომხმარებლებს. ამიტომ თანამედროვე ტექნოლოგიების მოწინავე პოზიციებზე ყოფნა ჩვენი მიზნების მისაღწევი ერთადერთი გზაა.“ - **ვალდის დომბროვსკისი (ლატვიის პრემიერ მინისტრი).**

დანია: „თუ ჩვენი მიზანია ვისარგებლოთ დანიური ენით მომავლის ტექნოლოგიურ სამყაროში, ახლავე უნდა მივიღოთ ზომები ჩვენ ხელთ არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაერთიანებისა და შემდგომი განვითარებისათვის. - ეს განსაკუთრებით ცხადი ხდება მეტა-ქსელის მოხსენების გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვდგებით იმ საფრთხის წინაშე, რომ მხოლოდ ინგლისურის სრულყოფილად მცოდნე ადამიანები ისარგებლებენ ახალი თაობის საინტერნეტო, სამობილურო და სარობოტო ტექნოლოგიებით, რომლებიც უკვე კარს მოგვადგა“. - **კირხმაიერ ანდერსენი (დანიური ენის საბჭოს დირექტორი).**

პორტუგალია: „ენობრივი ტექნოლოგიების სფეროში პორტუგალიური ენისთვის წარმოებული კვლევები უაღრესად მნიშვნელოვანია საინფორმაციო სამყაროში პორტუგალიურის გლობალური კომუნიკაციის ენად ფორმირებისათვის.“ - **დოქტორი პედრო პასოს კოელო (პორტუგალიის პრემიერ მინისტრი).**

ჩეხეთის რესპუბლიკა: „მეტა-ქსელს შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ევროპის ენების ტექნოლოგიურ მხარდაჭერაში და, ასევე, მას ექნება შეუცვლელი როლი მრავალენოვანი ევროპული კულტურისა და საზოგადოების ფორმირებაში.“ - **ივანე ვილჰელმი (განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრის მოადგილე).**

პოლონეთი: „ენობრივ ტექნოლოგიებს ... ექნება უზარმაზარი გავლენა თანამედროვე მსოფლიოს შესაძლებლობებსა და საკომუნიკაციო მოდელებზე, ისევე როგორც ისეთ ადამიანურ - ბუნებრივ ენებზე, როგორცაა პოლონური, რომელიც მონაწილეობას იღებს ამ პროცესში.“ - **მიხეილ კლაიბერი (პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი).**

საბერძნეთი: „ენობრივი ტექნოლოგიების შემდგომი მხარდაჭერა ბერძნულ ენას და კულტურას არსებობას შეუნარჩუნებს ციფრულ სამყაროში ...“ - **გიორგი ბაზბინიოტისი (განათლების, გახანგრძლივებული სწავლებისა და რელიგიურ საქმეთა მინისტრი).**

მალტა: „ ... მალტური ენის ტექნოლოგიური მხარდაჭერა შესაძლებლობას მისცემს ჩვენ ენას დაიკავოს ისეთივე მოწინავე ადგილი, როგორც აქვთ სხვა ენებს და იყოს მუდმივ განვითარებასა და გამოყენებაში.“ - **დოლორეს კრისტინა (განათლებისა და დასაქმების მინისტრი).**

ლიტვა: „მომავალი თაობებისათვის ლიტვური ენის შენარჩუნება საერთო ევროპული პასუხისმგებლობაა. ლიტვური ენის მომავალი დიდადაა დამოკიდებული იმაზე, შევძლებთ თუ ვერა მივყვით საინფორმაციო ტექნოლოგიების შემდგომი განვითარების პროცესებს.“ - **ანდრიუს კიბილიუსი (ლიტვის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი).**

ირლანდია: „ენობრივი ტექნოლოგიები უკვე აღარ არის უმეტესი ევროპული ენების ფუფუნების საგანი - ეს უკვე არის ნებისმიერ შესაძლო სფეროში, დაწყებული ბიზნესიდან დამთავრებული ხელოვნებით, ამ ენების სიცოცხლისუნარიანობის გადარჩენისა და შენარჩუნების ერთადერთი საფუძველი, და ეს ასეა როგორც ირლანდიურისათვის, ასევე ნებისმიერი სხვა ევროპული ენისათვის.“ - **ფერდი მაკ ფაილაი (ირლანდიის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი).**

უნგრეთი: „მეტა-ქსელს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროპულ ინოვაციებსა, კვლევებსა, განვითარებებსა და ევროპული იდეის ეფექტურ განხორციელებაში.“ - **ვალერია ჩიპე (უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის გენერალური მდივნის მოადგილე).**

შვედეთი: „მაღალი ხარისხის ენობრივ ტექნოლოგიებს შეუძლიათ იქცნენ ევროპაში ენობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნების ყველაზე ეფექტურ საშუალებებად. მათ შეუძლიათ ყველა ენა სრულყოფილად გამოყენებადი გახადონ თანამედროვე საზოგადოებაში, რაც, თავის მხრივ, დემოკრატიის საკითხიცაა. ამ მიმართულებით მეტა-ქსელი თავის თავზე იღებს ცენტრალურ, უფრო მეტიც - გადამწყვეტ დატვირთვას.“ - **ლენა ეკბერგი (შვედური ენის საბჭოს ხელმძღვანელი).**

სლოვენია: „უკიდურესად აუცილებელია სლოვენური ენისათვის ენობრივი ტექნოლოგიების უწყვეტი განვითარება, თუ რა თქმა უნდა გვინდა, რომ სლოვენურმა მომავლის ციფრულ სამყაროშიც შეინარჩუნოს თავისი განუწყვეტელი განვითარების გზა.“ - **დოქტორი დანილო ტორკი (სლოვენიის რესპუბლიკის პრეზიდენტი).**

დიდი ბრიტანეთი: „მეტა-ქსელის საქმიანობა არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმ მომავლისაკენ, რომელშიც ენობრივი ტექნოლოგიები იქნება ყველა ჩვენგანის გარშემო, და რომლებიც, მიუხედავად იმისა ვსაუბრობთ თუ არა ჩვენ ერთსა და იმავე ენაზე, თანამშრომლობის, ბიზნესის წარმოებისა და მეგობრებსა და კოლეგებთან ცოდნის გაზიარების თავისუფალ საშუალებებს მოგვცემს.“ - **დავით უილეთსი (უნივერსიტეტებისა და მეცნიერების სახელმწიფო მინისტრი).**

ესტონეთი: „თუ ჩვენ არ განვახორციელებთ ენობრივი ტექნოლოგიების განვითარების გეგმას და თუ არ ვითანამშრომლებთ ამავე მიმართულებით მოძრავ სხვა ენებთან, სამომავლოდ, ესტონური გაირიყება მომავლის საინფორმაციო სამყაროდან.“ - **ესტონური ენის განვითარების 7 წლიანი გეგმა (2011-2017).**

04. ძალიან მოკლედ ქართული და ევროპული ენების ტექნოლოგიური მხარდაჭერების შედარებითი ანალიზისა და ამ ანალიზის საგანგაშო შედეგების თაობაზე:

მხარდაჭერის ხარისხი	სრული	კარგი	საშუალო	ფრაგმენტული	სუსტი/არანაირი
მანქანური თარგმანი ანუ ავტომატური თარგმანი		ინგლისური	ფრანგული, ესპანური	კატალონიური, ჰოლანდიური, გერმანული, უნგრული, იტალიური, პოლონური, რუმინული	ბასკური, ბულგარული, ხორვატული, ჩეხური, დანიური, ესტონური, ფინური, გალიციური, ბერძნული, ისლანდიური, ირლანდიური, ლატვიური, ლიტვური, მალტური, ნორვეგიული, პორტუგალიური, სერბიული, სლოვაკური, სლოვენური, შვედური, უელსური
მეტყველების დამუშავება ანუ სამეტყველო ურთიერთობა		ინგლისური	ჩეხური, ჰოლანდიური, ფინური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, პორტუგალიური, ესპანური	ბასკური, ბულგარული, კატალონიური, დანიური, ესტონური, გალიციური, ბერძნული, უნგრული, ირლანდიური, ნორვეგიული, პოლონური, სერბიული, სლოვაკური, სლოვენური, შვედური	ხორვატული, ისლანდიური, ლატვიური, ლიტვური, მალტური, რუმინული, უელსური
ტექსტის ანალიზი		ინგლისური	ფრანგული, ჰოლანდიური, გერმანული, იტალიური, ესპანური	ბასკური, ბულგარული, კატალონიური, ჩეხური, დანიური, ფინური, გალიციური, ბერძნული, უნგრული, ნორვეგიული, პოლონური, პორტუგალიური, რუმინული, სლოვაკური, სლოვენური, შვედური	ხორვატული, ესტონური, ისლანდიური, ირლანდიური, ლატვიური, ლიტვური, მალტური, სერბიული, უელსური
ენობრივი რესურსები		ინგლისური	ჩეხური, ჰოლანდიური, ფრანგული, გერმანული, უნგრული, შვედური, იტალიური, პოლონური, ესპანური,	ბასკური, ბულგარული, კატალონიური, ხორვატული, დანიური, ესტონური, ფინური, გალიციური, ბერძნული, ნორვეგიული, პორტუგალიური, რუმინული, სერბიული, სლოვაკური, სლოვენური	ისლანდიური, ირლანდიური, ლატვიური, ლიტვური, მალტური, უელსური

ცხრილი 1 - ევროპის ენების ტექნოლოგიური მხარდაჭერების მახასიათებელი ცხრილი

ქვემოთ მოგვყავს 1 ცხრილის გასააზრებლად აუცილებელი განმარტებები. კერძოდ, შესაბამისად ზემოთ უკვე აღნიშნულისა 1 ცხრილის სვეტში დასახელებით:

1. „სრულყოფილი“ თავმოყრილია სრულყოფილად მხარდაჭერილი ენები;
2. „კარგი“ თავმოყრილია კარგად მხარდაჭერილი ენები;

3. „საშუალო“ თავმოყრილია საშუალოდ მხარდაჭერილი ენები;
4. „ფრაგმენტული“ თავმოყრილია ფრაგმენტულად მხარდაჭერილი ენები;
5. „სუსტი/არანაირი“ თავმოყრილია სუსტად ან არანაირად მხარდაჭერილი ენები.

ასევე, ევროპული ენების ეს სხვადასხვა ხარისხის მხარდაჭერები გაიზომა ენობრივი ტექნოლოგიების ისეთი ოთხი სასაფუძვლოდ მნიშვნელოვანი მიმართულებით, როგორცაა:

1. **მანქანური თარგმანი:** ამ მიმართულებით გათვალისწინებულია მთარგმნელი ტექნოლოგიების ხარისხი, ხელმისაწვდომობა და თარგმნით მიმართებაში ჩაყენებულ ენათა რაოდენობა; ენათაშორისი ანუ პარალელური კორპუსების ხარისხი, მოცულობა, მრავალფეროვნება და ხელმისაწვდომობა;

2. **მეტყველების დამუშავება/სამეტყველო ურთიერთობები:** ამ მიმართულებით გათვალისწინებულია მეტყველების ამომცნობი და მასინთეზებელი ტექნოლოგიების ხარისხი; სხვადასხვა სახის სამეტყველო კორპუსების რიცხვი და მოცულობა; სასაუბრო ანუ სამეტყველო ურთიერთობებზე დამყარებული ტექნოლოგიების რაოდენობა, მრავალფეროვნება და ხელმისაწვდომობა;

3. **ტექსტის ანალიზი:** ამ მიმართულებით გათვალისწინებულია ტექსტების მორფოლოგიურად, სინტაქსურად და სემანტიკურად მანალიზებელი ტექნოლოგიების ხარისხი, ხელმისაწვდომობა, რაოდენობა და მრავალფეროვნება; ანოტირებული კორპუსების მოცულობა და ხარისხი; უკვე არსებული ლექსიკური წყაროებისა და გრამატიკების ხარისხი და სისრულე;

4. **რესურსები:** ამ მიმართულებით გათვალისწინებულია უკვე არსებული ტექსტების კორპუსების, სამეტყველო კორპუსებისა და პარალელური კორპუსების ხარისხი და მოცულობა; ლექსიკური წყაროებისა და გრამატიკების ხარისხი და სისრულე.

ამგვარად, 1 ცხრილში ტერმინებით „მანქანური თარგმანი ანუ ავტომატური თარგმანი“, „მეტყველების დამუშავება ანუ სამეტყველო ურთიერთობა“, „ტექსტის ანალიზი“, „ენობრივი რესურსები“ დასახელებული სტრიქონები შინარსობრივად ამ ტერმინების ზემოთ მოცემული განმარტებების შესაბამისად უნდა იქნეს გაგებული.

ქვემოთმოყვანილი ცხრილი 2 ადვილად იგება 1 ცხრილში ენების შეფასებისას გამოყენებული სხვადასხვა ჯგუფების ქულებთან გათანაბრების გზით. კერძოდ, ჩვენ ამ მიზნით „სრულყოფილი“ გავათანაბრეთ 5 ქულასთან, „კარგი“ – 4-თან, „საშუალო“ – 3-თან, „ფრაგმენტული“ – 2-თან, „სუსტი/არანაირი“ - 1-თან.

1 ცხრილიდან ასე წარმოქმნილ 2 ცხრილში ქართული და ევროპული ენების ტექნოლოგიური მხარდაჭერების შედარებისა და გაანალიზების მიზნით ქართული ენაც ჩავრთეთ.

მცირე განმარტებები იმ მიზნით, რომ ქვემოთმოყვანილი ცხრილი 2 მკითხველისთვის ადვილად გასაგები გახდეს:

1. სვეტში „ენის ჯგუფი და ადგილი“ განთავსებული ორი რიცხობრივი მონაცემიდან პირველი გვიჩვენებს იმ ჯგუფის ნომერს, რომელსაც ენა მიეკუთვნება, მეორე - ამ ენის ადგილს ენათა საერთო რიგში. ამასთან, რაც უფრო დაბალია ენის ჯგუფის ნომერი მით უფრო მაღალია ენის ტექნოლოგიური მხარდაჭერის მაჩვენებელი.

ენის ჯგუფი და ადგილი	შესაფასებელი ენა	მეტყვე ლების დამუშ აგება	მანქან ური თარგმ ანი	ტექს ტის ანალ იზი	ენობ რივი რესუ რსები	ტექნოლოგი ური მხარდაჭერის ჯამური ქულა	ტექნოლოგიური მხარდაჭერის წილადური და პროცენტული მაჩვენებლები
1 (1)	ინგლისური	4	4	4	4	16 (4)	16/20 = 80% (20%)
2 (2)	ფრანგული	3	3	3	3	12 (8)	12/20 = 60% (40%)
2 (3)	ესპანური	3	3	3	3	12 (8)	12/20 = 60% (40%)
3 (4)	გერმანული	3	2	3	3	11 (9)	11/20 = 55% (45%)
3 (5)	ჰოლანდიური	3	2	3	3	11 (9)	11/20 = 55% (45%)
3 (6)	იტალიური	3	2	3	3	11 (9)	11/20 = 55% (45%)
4 (7)	უნგრული	2	2	2	3	9 (11)	9/20 = 45% (55%)
4 (8)	პოლონური	2	2	2	3	9 (11)	9/20 = 45% (55%)
4 (9)	ჩეხური	3	1	2	3	9 (11)	9/20 = 45% (55%)
4 (10)	გალიციური	2	1	3	3	9 (11)	9/20 = 45% (55%)
5 (11)	კატალონიური	2	2	2	2	8 (12)	8/20 = 40% (60%)
5 (12)	პორტუგალიური	3	1	2	2	8 (12)	8/20 = 40% (60%)
5 (13)	შვედური	2	1	2	3	8 (12)	8/20 = 40% (60%)
6 (14)	რუმინული	1	2	2	2	7 (13)	7/20 = 35% (65%)
6 (15)	სლოვენური	2	1	2	2	7 (13)	7/20 = 35% (65%)
6 (16)	სლოვაკური	2	1	2	2	7 (13)	7/20 = 35% (65%)
6 (17)	ბერძნული	2	1	2	2	7 (13)	7/20 = 35% (65%)
6 (18)	ფინური	2	1	2	2	7 (13)	7/20 = 35% (65%)
6 (19)	დანიური	2	1	2	2	7 (13)	7/20 = 35% (65%)
6 (20)	ბულგარული	2	1	2	2	7 (13)	7/20 = 35% (65%)
6 (21)	ბასკური	2	1	2	2	7 (13)	7/20 = 35% (65%)
6 (22)	ნორვეგიული	2	1	2	2	7 (13)	7/20 = 35% (65%)
7 (23)	ესტონური	2	1	1	2	6 (14)	6/20 = 30% (70%)
7 (24)	სერბიული	2	1	1	2	6 (14)	6/20 = 30% (70%)
8 (25)	ირლანდიური	2	1	1	1	5 (15)	5/20 = 25% (75%)
8 (26)	ხორვატული	1	1	1	2	5 (15)	5/20 = 25% (75%)
9 (27)	ისლანდიური	1	1	1	1	4 (16)	4/20 = 20% (80%)
9 (28)	ლატვიური	1	1	1	1	4 (16)	4/20 = 20% (80%)
9 (29)	ლიტვიური	1	1	1	1	4 (16)	4/20 = 20% (80%)
9 (30)	მალტური	1	1	1	1	4 (16)	4/20 = 20% (80%)
9 (31)	უელსური	1	1	1	1	4 (16)	4/20 = 20% (80%)
10 (32)	ქართული	0.5	0.5	0.5	0.5	2 (18)	2/20 = 10% (90%)

ცხრილი 2 - ქართული და ევროპული ენების ტექნოლოგიური მხარდაჭერების ურთიერთშედარებითი ქულობრივი შეფასება

ასე მაგალითად, ნორვეგიულ ენას ამ სვეტში უზის მონაცემები - 6 (22). ეს იმას ნიშნავს, რომ ნორვეგიული ენა განეკუთვნება 9 ენისაგან შემდგარ ენათა 6-ე ჯგუფს. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ნორვეგიული ენის ტექნოლოგიური მხარდაჭერის მაჩვენებელი ნაკლებია უფრო დაბალი ნომრის ჯგუფში განთავსებული ენების

ტექნოლოგიური მხარდაჭერის მაჩვენებელზე და მეტია უფრო მაღალი ნომრის ჯგუფში განთავსებული ენების იმავე მაჩვენებელზე.

ამასთან, ის, რომ ამ ჯგუფში პირველ ადგილზე რუმინულია, ხოლო ბოლოზე ნორვეგიული, არაარსებითია ანუ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ეს ენები სხვა ამ ჯგუფში განთავსებულ ენებთან ერთად ტექნოლოგიური მხარდაჭერის თვალსაზრისით მე-14 - 22-ე ადგილებს იყოფენ 31 ევროპულ ენას შორის, რაც, აქვე ვიტყვით, ამ ენებს ციფრული კვდომის საკმაოდ მაღალი საფეხურის საფრთხის ქვეშ მყოფ ენათა ჯგუფში უჩენს ადგილს;

2. სვეტში „ტექნოლოგიური მხარდაჭერის ჯამური ქულა“ განთავსებული ორი რიცხობრივი მონაცემიდან პირველი გვიჩვენებს მეტყველების დამუშავების, მანქანური თარგმანის, ტექსტის ანალიზისა და ენობრივი რესურსების მიმართულებით ენისთვის მინიჭებული ქულების ჯამს. ანუ, მოკლედ, ეს რიცხვი გვიჩვენებს ენის ტექნოლოგიური მხარდაჭერის ჯამურ ქულას. ამ სვეტში განთავსებული მეორე რიცხვი გვიჩვენებს იმ ქულას, რამდენიც ენას აკლია სრულყოფილ ტექნოლოგიურ მხარდაჭერამდე.

ასე მაგალითად, ჰოლანდიურ ენას ამ სვეტში უზის მონაცემები - 11 (9), რაც იმას ნიშნავს, რომ სრულყოფილ ტექნოლოგიურ მხარდაჭერამდე ჰოლანდიურ ენას აკლია 9 ქულა ამ მიმართულებით უკვე გასრულებული 11 ქულის საპირისპიროდ.

3. სვეტში „ტექნოლოგიური მხარდაჭერის წილადური და პროცენტული მაჩვენებელი“ განთავსებული ორი მონაცემიდან პირველი - ტოლობის სახით მოცემული მონაცემი გვიჩვენებს ენის ტექნოლოგიური მხარდაჭერის წილადურ და პროცენტულ მახასიათებლებს, ხოლო მეორე - ფრჩხილებში განთავსებული მონაცემი გვიჩვენებს იმ პროცენტების რაოდენობას, რამდენიც ენას დარჩა სრულყოფილი ტექნოლოგიური მხარდაჭერის მიღწევამდე.

ასე მაგალითად, ინგლისურ ენას ამ სვეტში უზის მონაცემები - 16/20 = 80% (20%). ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისური ენის ტექნოლოგიური მხარდაჭერის წილადური მაჩვენებელია 16/20, პროცენტული კი - 80%. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ სრულყოფილი ტექნოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველყოფამდე ინგლისურ ენას შესასრულებელი დარჩა სამუშაოების 20% უკვე შესრულებული სამუშაოების 80%-იანი წილის საპირისპიროდ.

ახლა უკვე, იმის გათვალისწინებით, რომ 2 ცხრილის ყველა სხვა სვეტის შინაარსული დატვირთვა მკითხველისთვის გასაგებია, ქვემოთ, რა თქმა უნდა ქართულ ენაზე კონცენტრირებით, ძალიან მოკლედ, მაგრამ თითქმის ამომწურავად წარმოვადგენთ ამ უკვე დეტალურად კლასიფიცირებული ცხრილით მოცემული ქართული და ევროპული ენების ტექნოლოგიური მხარდაჭერების ურთიერთმედარებითი შეფასების ზემოდაპირებული ანალიზის შედეგებს:

1. ციფრული კვდომის საფრთხის ქვეშ მყოფ ენებად არ განიხილება 1-ელ, 2-ე და 3-ე ჯგუფში მოქცეული ენები ანუ, სხვა სიტყვებით, პირველ 6 ადგილზე მყოფი ენები. ეს ის ენებია, რომელთა ტექნოლოგიების პროცენტული მაჩვენებელი 50%-ზე მეტია;

2. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ციფრული კვდომის მეტად მაღალი საფეხურის საფრთხის ქვეშ არიან 5-ე, 6-ე, 7-ე, 8-ე და 9-ე ჯგუფის ენები, ანუ, სხვა სიტყვებით, ის 21 ენა, რომლებიც განთავსებულნი არიან მე-11 – 31-ე ადგილებზე. ამ ენების ტექნოლოგიური მხარდაჭერის პროცენტული მაჩვენებელი თამაშობს 20%-დან 40%-მდე;

3. საკმაოდ მაღალი ალბათობით ციფრული კვდომის ასევე მაღალი საფეხურის საფრთხის ქვეშ არიან 4-ე ჯგუფის ენები, ანუ, მე-7 – 10-ე ადგილებზე განთავსებული ენები. ამ ენების ტექნოლოგიური მხარდაჭერის პროცენტული მაჩვენებელია 45%.

4. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ 9-ე ჯგუფის ენები ანუ ენები, რომელთა ტექნოლოგიური მხარდაჭერის პროცენტული მაჩვენებელია 20%, ციფრული კვდომის განსაკუთრებით მაღალი საფეხურის საფრთხის ქვეშ არიან;

5. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქართული ენა, რომელიც მისი 10%-იანი ტექნოლოგიური მხარდაჭერის პროცენტული მაჩვენებლით ჩვენ 10-ე ჯგუფს მივაკუთნეთ, სულ ცოტა ორჯერ მაინც ჩამორჩება 20%-იანი ტექნოლოგიური მხარდაჭერის მქონე 9-ე ჯგუფის ენებს, რაც კიდევ უფრო გასაგებს ხდის, რომ ევროპულ ენებს შორის ყველაზე უფრო მაღალი საფეხურის ციფრული კვდომის საფრთხის ქვეშ მყოფ ისლანდიურ, ლატვიურ, ლიტვიურ, მალტურ და უელსურ ენებთან შედარებით ქართული ენა კიდევ უფრო მაღალი საფეხურის ციფრული კვდომის საფრთხის ქვეშაა.

05. წინათქმის დასასრულს წარმოვადგენთ ენობრივ ტექნოლოგიებსა და რესურსებში ქართული და ინგლისური ენების ტექნოლოგიური მხარდაჭერების ქულობრივად მახასიათებელ ცხრილს (იხ., ქვემოთ, ცხრილი 3).

ცხრილში ინგლისური ენის ქულობრივი შეფასებები წარმოდგენილია მეტა-ქსელის კვლევით „ევროპის ენები ციფრულ ეპოქაში“ მკაცრად დადგენილი შედეგების მიხედვით, ქართულ ენას კი, იმის გამო, რომ მისთვის მეტა-ქსელის ამ აქ აღნიშნული კვლევის ანალოგიური კვლევა არ გვიწარმოებია, ვაფასებთ ზემოთ უკვე აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით. - ანუ, ქვემოთ, ვაქვეყნებთ რა 3 ცხრილს, ჩვენ შემდეგი ორი მიზანი გვაქვს:

1. პირველი ის, რომ ქართული ენის ტექნოლოგიური მხარდაჭერის ამ მხრივ ეტალონურ ინგლისურ ენასთან შედარებით კიდევ ერთხელ თვალსაჩინო გავხადოთ ქართული ენის დღევანდელი საგანგაშოდ მძიმე მდგომარეობა;

2. მეორე ის, რომ მკითხველისთვის გასაგები გავხადოთ ფართო სპექტრი იმ მეტად რთული, ღრმა და მოცულობითი სამეცნიერო თემებისა, სადაც დღეს ქართული ენა საგანგაშო მნიშვნელობების მქონე ჩამორჩენებით ხასიათდება.

მაშ ასე, მივყვით თანმიმდევრულად: ინგლისური და ქართული ენების დღეს უკვე არსებული ტექნოლოგიებისა და რესურსების ქვემოთ ცხრილის მეშვეობით მოცემული დახასიათება ემყარება შვიდ მახასიათებელს, რომელთაგან თითოეული ფასდება 7 საფეხურიანი შკალით. ამასთან, 0 ქულა მეტად დაბალ, 6 ქულა კი - მეტად მაღალ შეფასებად ითვლება. - ეს მახასიათებლებია:

1. რაოდენობა (Quantity): არსებობს კი ენისთვის ამა თუ იმ სახის გამოსაყენებლად ვარგისი ტექნოლოგია/რესურსი? - ამასთან, რაც უფრო მეტი ასეთი ტექნოლოგია/რესურსი არსებობს, მით უფრო მაღალია ამ მახასიათებლის შეფასებითი ქულა. - კერძოდ: 0 = არანაირი ტექნოლოგია/რესურსი არ არსებებს; 6 = არსებობს მრავალი სხვადასხვა სახის ტექნოლოგია/რესურსი.

2. წვდომადობა (Availability): არის თუ არა არსებული ტექნოლოგიები/რესურსები წვდომადი ანუ არის მათზე ღია წვდომა და ნებისმიერ პლატფორმაზე მათი გამოყენება

შესაძლებელი თუ მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაღალ ფასში და/ან მხოლოდ ძლიერ შეზღუდულ პირობებში? - კერძოდ: 0 = თითქმის ყველა არსებული ტექნოლოგია/რესურსი წვდომადია მხოლოდ მაღალ ფასში და/ან მხოლოდ ძლიერ შეზღუდულ პირობებში; 6 = არსებობს მრავალი ღია წყაროებით წვდომადი ტექნოლოგია/რესურსი. ანუ, ისინი ან თავისუფალია ყოველგვარი გადასახადიდან ან შესაძლებელია მათზე ისეთი ერთჯერადი ლიცენზიის აღება, რომელიც მომხმარებელს მათი შემდგომი თავისუფალი გამოყენების უფლებას აძლევს.

3. **ხარისხი (Quality):** რამდენად ახლოსაა დღეს უკვე არსებულ საუკეთესო ანალოგებთან შესაფასებელი ტექნოლოგიის/რესურსის ფუნქციონირების ანუ ქმედითუნარიანობის ხარისხობრივი მაჩვენებელი? არის თუ არა ტექნოლოგია/რესურსი განვითარებადი და, შესაბამისად, ყოველდღიური ზრუნვის ქვეშ? - კერძოდ: 0 = არაგამოყენებადი ანუ სათამაშო ტექნოლოგია/ინსტრუმენტი; 6 = უმაღლესი ხარისხის ტექნოლოგია, მაღალხარისხიანად ანოტირებული რესურსი.

4. **დაფარვა (Coverage):** რამდენად ახლოსაა უკვე არსებულ საუკეთესო ანალოგებთან ტექნოლოგიის/რესურსის დაფარვის ანუ მისი ფუნქციონირების სტილისტური და ჟანრობრივი მრავალფეროვნების მახასიათებლები (დამუშავებადი ტექსტების, ლინგვისტური თავისებურებებისა და მონაცემების ტიპობრივი მრავალფეროვნება, მანქანური მთარგმნელი სისტემით მხარდაჭერილი ენების რაოდენობა და სხვა)? რა მოცულობით წარმოგვიდგენენ რესურსები მიზნობრივ და ქვემიზნობრივ ენებს? - კერძოდ: 0 = მხოლოდ ვიწრო მიზნობრივი რესურსები და ინსტრუმენტები, მახასიათებელ მონაცემთა მცირე რიცხვით; 6 - მახასიათებელ მონაცემთა დიდი ოდენობა ანუ ფუნქციონირების დიდი მრავალფეროვნება, საიმედო და ფართოდ გამოყენებადი ტექნოლოგია, ემსახურება ანუ მხარს უჭერს მრავალ სხვადასხვა ენას.

5. **მზაობა (Maturity):** არის თუ არა ტექნოლოგია/რესურსი ბაზრისთვის მზა ანუ დასრულებულ მდგომარეობაში? არის თუ არა ტექნოლოგია/რესურსი გამოყენებადი ანუ ინტეგრირებადი სხვადასხვა სახის სისტემების გარე ფორმატებში? არის თუ არა ტექნოლოგია საწარმოო დანერგვისათვის მზა მდგომარეობაში, თუ იგი მხოლოდ ასეთის პროტოტიპია? არის ან თუ იქნება ტექნოლოგია/ინსტრუმენტი ფართოდ გამოყენებადი საზოგადოებასა და, ასევე, სხვა ენობრივ ტექნოლოგიურ სისტემებში? - კერძოდ: 0 = წინასწარი პროტოტიპი, სათამაშო სისტემა, კონცეფციის მამტკიცებელი სისტემა, გარკვეული ტიპის რესურსის სავარჯიშო მაგალითი; 6 = ადვილად ინტეგრირებადი/გამოყენებადი ტექნოლოგია/რესურსი.

6. **თავსებადობა (Sustainability):** რამდენად თავსებადია ანუ რამდენად ადვილად და ხარისხიანად ხერხდება ტექნოლოგიურ სისტემებში ტექნოლოგიის/რესურსის სარგებლიანი ჩადგმა/ინტეგრირება? აკმაყოფილებს თუ არა ტექნოლოგია/რესურსი მისი დოკუმენტაციით/ინსტრუქციით განსაზღვრულ მონაცემებს? შესაძლებელია თუ არა მისი გამოყენება სტანდარტულ/საუკეთესო პროგრამულ გარემოში? იძლევა თუ არა წარმოებისათვის/კვლევისათვის სტანდარტულ/თითქმის-სტანდარტულ გამოსავალს და თუ ეს ასეა, არის თუ არა ტექნოლოგია/რესურსი თავსებადი მონაცემთა სხვადასხვა ფორმატებთან? - კერძოდ: 0 = ამუშავებს მხოლოდ ვიწროდ შეზღუდული ფორმატის მონაცემებსა და თავსებადია მხოლოდ ვიწროდ შეზღუდულ პროგრამულ ინტერფეისებსა

და სისტემებთან; 6 = სრულად დოკუმენტირებულია და სრულ შესაბამისობაშია არსებულ სტანდარტებთან.

7. **მორგებადობა (Adaptability):** რამდენად მორგებადია/გავრცელებადია ტექნოლოგია/რესურსი ახალ ამოცანებსა და სამომხმარებლო შემთხვევებზე? – კერძოდ: 0 = პრაქტიკულად შეუძლებელია ახალ ამოცანებზე/სამომხმარებლო შემთხვევებზე ტექნოლოგიის/რესურსის მორგება/გავრცელება; 6 = ტექნოლოგია/რესურსი ადვილად და ეფექტურად ერგება/ვრცელდება ახალ ამოცანებზე/სამომხმარებლო შემთხვევებზე.

ინგლისური (ქართული)	რაოდენობა	წვდომადობა	ხარი სხი	დაფარვა	მზაობა	თავსებადობა	მორგებადობა	ჯამი/ფარდობა
ენობრივი ტექნოლოგიები								
1 მეტყველების ამოცნობა	5 (0.5)	3 (0.5)	5 (0.5)	5 (0.5)	4 (0.5)	2 (0.5)	3 (0.5)	27/3.5 = 7.7
2 მეტყველების სინთეზი	5 (2)	3 (1)	4.5 (2)	5.5 (1.5)	4 (1.5)	2 (0.5)	3 (0.5)	27/9 = 3
3 გრამატიკული ანალიზი	5 (0.7)	5 (0.7)	5.5 (0.7)	4.5 (0.7)	4.5 (0.7)	3 (0.7)	4 (0.7)	31.5/4.9 = 6.4
4 სემანტიკური ანალიზი	3 (0.1)	2 (0.1)	3 (0.1)	3 (0.1)	2.5 (0.1)	2 (0.1)	2 (0.1)	17.5/0.7 = 25
5 ტექსტის გენერაცია	3 (0.1)	3 (0.1)	3.5 (0.1)	2.5 (0.1)	2.5 (0.1)	2 (0.1)	2.5 (0.1)	19/0.7 = 27
6 მანქანური თარგმანი	4 (0.4)	4 (0.4)	3.5 (0.4)	4 (0.4)	4 (0.4)	2 (0.4)	2 (0.3)	23.5/2.8 = 8.4
ენობრივი რესურსები								
1 ტექსტების კორპუსი	5 (1)	4 (1)	5.5 (1)	4 (1)	5 (1)	2.5 (1)	4 (1)	25/7 = 3.5
2 სამეტყველო კორპუსი	5 (0.1)	2 (0.1)	6 (0.1)	5.5 (0.1)	5 (0.1)	3 (0.1)	3 (0.1)	29.5/0.7 = 42
3 პარალელური კორპუსი	4.5 (0.1)	4.5 (0.1)	5 (0.1)	5 (0.1)	3.5 (0.1)	3 (0.1)	3 (0.1)	29.5/0.7 = 42
4 ლექსიკური რესურსები	4 (0.2)	6 (0.2)	5 (0.2)	5 (0.2)	4.5 (0.2)	4.5 (0.2)	4.5 (0.2)	33.5/1.4 = 23.9
5 გრამატიკები	3.5 (1)	2.5 (1)	4 (1)	4 (1)	2.5 (1)	4 (1)	1.5 (1)	22/7 = 3.1

ცხრილი 3 - ენობრივ ტექნოლოგიებსა და რესურსებში ქართული და ინგლისური ენების ტექნოლოგიური მხარდაჭერების ქულობრივად მახასიათებელი ცხრილი

ზემოთ მოყვანილი 3 ცხრილის ენის სვეტს მოდევნებული სვეტები შესაბამისად დასახელებულია ენობრივი ტექნოლოგიებისა და რესურსების ზემოაღწერილი მახასიათებლების სახელებით.

ეს გასაგებს ხდის, რომ რომელიმე ასეთ სვეტში განთავსებული რიცხვითი მონაცემი არის შესაბამისი მახასიათებლის ქულობრივი მაჩვენებელი. ამასთან, მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ სვეტი, რომელსაც „ჯამი/ფარდობა“ ჰქვია, სტრიქონში ინგლისური და ქართული ენებისთვის წარმოდგენილი ქულების ჯამურ რიცხვებსა და ამ ჯამური რიცხვების ფარდობას წარმოგვიდგენს.

ასე მაგალითად, ენობრივი ტექნოლოგიების 3-ე სტრიქონში ანუ „გრამატიკული ანალიზის“ სტრიქონში „ჯამი/ფარდობა“ სვეტში ზის მონაცემი - $31.5/4.9=6.4$. ეს ნიშნავს, რომ გრამატიკულ ანალიზში ინგლისურ ენას 31.5 ჯამური ქულა აქვს, ქართულს - 4.9, რაც გასაგებს ხდის, რომ ამ მხრივ ინგლისური ქართულთან შედარებით 6.4-ჯერ მეტად არის მხარდაჭერილი. ამასთან:

1. ცხრილის პირველი ექვსი სტრიქონი ენას ახასიათებს ენობრივი ტექნოლოგიების ისეთი სასაფუძვლოდ მნიშვნელოვანი ხაზების გასწვრივ როგორცაა: **მეტყველების ამოცნობა, მეტყველების სინთეზი, გრამატიკული ანალიზი, სემანტიკური ანალიზი, ტექსტის გენერაცია (წარმოქმნა), მანქანური თარგმანი;**

3. ცხრილის ბოლო ხუთი სტრიქონი ენას ახასიათებს ენობრივი რესურსების ისეთი სასაფუძვლოდ მნიშვნელოვანი ხაზების გასწვრივ როგორცაა: **ტექსტების კორპუსი, სამეტყველო კორპუსი, პარალელური კორპუსი, ლექსიკური რესურსები, გრამატიკები.**

ამგვარად, ახლა უკვე მკითხველი სრულადაა ინფორმირებული და, შესაბამისად, მზად არის გაეცნოს და გაიაზროს ზემოთ განთავსებული ცხრილი 3.

ეს ცხრილი თვალსაჩინოს ხდის იმ საგანგაშო ჩამორჩენას, რაც ტექნოლოგიური მხარდაჭერის თვალსაზრისით ქართულ ენას ინგლისურ ენასთან ანუ პროცესების წამყვან ენასთან შედარებით აქვს. კერძოდ, განსაკუთრებით თვალშისაცემია ის ჩამორჩენები, რაც ქართულ ენას აქვს ენობრივ ტექნოლოგიებსა და რესურსებში სემანტიკური ანალიზის, ტექსტის გენერაციის, სამეტყველო კორპუსის, პარალელური კორპუსისა და ლექსიკური რესურსების მიმართულებით.

ანუ, ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ სრულიად გასაგებს ხდის იმას, რომ ქართული და ევროპული ენების ტექნოლოგიური მხარდაჭერების აქ უკვე გაკეთებული შედარებითი ანალიზის შედეგები მეტად საგანგაშოა, რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ გასაგებს ხდის იმასაც, რომ ჩვენ, აქ, დასაკარგი დრო აღარ გვაქვს და, ასევე, იმასაც, რომ უკვე ნამდვილად დროა ერთად მივხედოთ ქართულ ენას!

I ნაწილი: ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსი - მიზნები, მეთოდები, რეკომენდაციები (ქართული ვერსია)

1.1. ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსის აგების მიზნები და მნიშვნელობები

01. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორწლიანი AR/122/4-105/14 პროექტი „კიდევ ერთი ნაბიჯი მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსისაკენ“, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში 2012 წელს ამოქმედებული გრძელვადიანი პროექტის „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ ერთ-ერთი სასაფუძვლოდ მნიშვნელოვანი ქვეპროექტია [23 -24], [32], [36], [47 – 48].

ამდენად, სანამ ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსის აგების მიზნებსა და მნიშვნელობებს მიმოვიხილავთ, ძალიან მოკლედ თავად ამ გრძელვადიანი პროექტის შესახებ [4], [46], [56 – 58].

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში 2012 წლიდან კ. ფხაკაძის ხელმძღვანელობით ამოქმედდა გრძელვადიანი პროექტი „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში 2002-2007 წლებში კ. ფხაკაძის ხელმძღვანელობითვე მოქმედი სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ [78], [87 – 93], [97 – 102], [104 – 105], [107], [114], [119], [124], [139], [142] შემდგომი სრული გაფართოებისა და გასრულების გზით შემუშავდა.

ამასთან, ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსი - ქართული ჭკვიანი კორპუსი და მასში ჩადგმული და მისი განვითარების მიზნით აგებული ქართული ტექნოლოგიური სისტემები, რომელთაგან ნაწილი წინამდებარე ნაშრომშია მიმოხილული, შემუშავდა სტუ

ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრის გრძელვადიანი პროექტის „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ ფარგლებში ქართული ენის ლოგიკური გრამატიკით ქართულისთვის გამოკვეთილ სრულიად ახალ მეთოდებსა და თეორიულ ხედვებზე დაყრდნობით [17 – 18], [25], [29], [37 – 38], [55], [60], [62 – 63], [65 -67], [71 – 78], [81], [84 – 85], [87], [89 – 91], [96], [98], [103], [106], [108], [110 – 113], [116 -118], [120], [122 – 141], [143 – 149]. კერძოდ, ეს ყველაფერი შემუშავდა ამ გრძელვადიანი პროექტის უკვე გასრულებული ისეთი მნიშვნელოვანი ქვეპროექტების შედეგების [1 – 2], [4 – 18], [21 – 32], [34 – 52], [54 – 57], [59 – 71] შემდგომი გაძლიერებითა და გაფართოებით, როგორცაა:

1. სტუ გამოყენებითი საგრანტო ნომინაციის №048-13 ექვსთვიანი (2013.09.01 - 2014.03.31) საგრანტო პროექტი „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანის ასაგებად აუცილებელი რიგი სისტემების გაფართოებადი (სწავლებადი) საინტერნეტო ვერსიების შემუშავება“ (ხელმძღვანელი კ. ფხაკაძე, დაფინანსდა 19 000 ლარით) ;

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების ორწლიანი (2013.04.25 – 2015.04.25) №31/70 საგრანტო პროექტი „ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძვლები და მისი გამოყენება საინფორმაციო ტექნოლოგიებში“ (ხელმძღვანელი კ. ფხაკაძე, დაფინანსდა 100 000 ლარით);

3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის DO/305/4-105/14 თვრამეტთვიანი (2014.03.01 – 2015.07.31) პროექტი „ქართული ენით ევროკავშირში ანუ სადოქტორო თემა - ქართული მეტყველების სინთეზი და ამოცნობა“ (დოქტორანტი: გ. ჩიჩუა, სამეცნიერო ხელმძღვანელი: კ. ფხაკაძე, დაფინანსდა 27 000 ლარით);

4. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის DO/308/4-105/14 თვრამეტთვიანი (2014.03.01 – 2015.07.31) პროექტი „ქართული ენით ევროკავშირში ანუ სადოქტორო თემა - „ქართული გრამატიკული მართლმწერი (ანალიზატორი)“ (დოქტორანტი: მ. ჩიქვინიძე, სამეცნიერო ხელმძღვანელი: კ.ფხაკაძე, დაფინანსდა 28 000 ლარით);

5. სადოქტორო თემა „ქართული ჭკვიანი კორპუსის ახალი განმავითარებელი ინსტრუმენტებისა და მეთოდების შემუშავება და არსებულთა გაუმჯობესება“ (დოქტორანტი: შ. მალიძე, სამეცნიერო ხელმძღვანელი: კ. ფხაკაძე; ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა „ინფორმატიკა“).

გარდა ამისა, ის, რომ თავად ეს გრძელვადიანი პროექტი „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ შემუშავებულია წინა წლებში მოქმედი სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ საფუძველზე, გასაგებს ხდის იმას, რომ AR/122/4-105/14 პროექტი და, შესაბამისად, ამ პროექტით შემუშავებული ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსი გარდა ზემოაღნიშნულისა ეყრდნობა აგრეთვე წინა წლებში ამ მიზნობრივი პროგრამით მიღწეულ შედეგებსაც [72 - 85], [87 - 94], [96 - 98], [100 - 108], [110 - 120], [122 - 142].

კერძოდ, ეს შედეგები მიღწეულია თსუ სახელმწიფო სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ისეთი ჩვენთვის ანუ AR/122/4-105/14 პროექტისთვის მნიშვნელოვანი საგრანტო ქვეპროექტების ფარგლებში როგორცაა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი საგრანტო ნომინაციის ცხრათვიანი (2011.04.01 -2011.12.31) №103 საგრანტო პროექტი „ქართული ტექსტის გახმოვანება და II საფეხურის ქართული სინტაქსური მართლმწერი“ (პროექტის ავტორები: ა. ვაშალომიძე, ტ. ფუტკარაძე, ვ. ფხაკაძე, დაფინანსდა 18 000 ლარით);

2. წმიდა ანდრია პირველ წოდებულის ქართული უნივერსიტეტის ცხრათვიანი (2009.04.01 – 2009.12.31) საგრანტო პროექტი „თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ქვეპროგრამა „ქართული ენის და აზროვნების მათემატიკური თეორიის საფუძვლები და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის 1-ვერსიის ნაწილები“ (პროექტის ხელმძღვანელი: ვ. ფხაკაძე, დაფინანსდა 19 000 ლარით);

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექვსთვიანი (2005.06.01-2005.12.31) საგრანტო პროექტი „თსუ სახელმწიფო მიზნობრივმა პროგრამა „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ (ხელმძღვანელი: ვ. ფხაკაძე, დაფინანსდა 12 000 ლარით);

4. „კანარგო სტანდარტ ოილის“ ერთჯერადი საგრანტო პროექტი (2004 წელი) თსუ სახელმწიფო მიზნობრივმა პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ფარგლებში „სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალის „ქართული ენა და ლოგიკა“ გამოცემის მხარდაჭერა“ (პროექტის ხელმძღვანელი: ვ. ფხაკაძე, დაფინანსდა 1 500 დოლარით);

5. ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ცხრათვიანი საგრანტო პროექტი (2003.09.10 – 2004.06.31) თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ქვეპროექტი „ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები თანამედროვე მათემატიკურ ლინგვისტიკაში“ (პროექტის ხელმძღვანელი: ვ. ფხაკაძე, დაფინანსდა 7 500 დოლარით).

ანუ, ის შედეგები, რომლებიც დღეს უკვე მიღწეულია AR/122/4-105/14 პროექტის „კიდევ ერთი ნაბიჯი მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსისაკენ“ ანუ, რაც იგივეა, სტუ ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის გრძელვადიანი პროექტის „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ ფარგლებში როგორც ქართული ენის სრული მათემატიკური შესწავლისა და ტექნოლოგიური დამუშავების, ასევე, დღეს ქართული ენის წინაშე მდგარი ციფრული კვდომის მეტად მაღალი საფეხურის საფრთხის განსაზოგადოების ანუ ამ საფრთხისადმი მაღალი საზოგადოებრივი ცნობადობის მიცემის მიმართულებით, მიღწეული არა პირდაპირი სახელმწიფო მიზნობრივი დაფინანსებით, რა სახის დაფინანსებაც ასეთი მაღალი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობების თემების შემთხვევაში ცხადია წამყვანი ხაზი უნდა იყოს, არამედ იმ საგრანტო დაფინანსებებით, რომლებიც პროცესებში ჩართულმა მეცნიერ-მკვლევართა ჯგუფმა თავად მოიპოვა.¹

¹ ჩვენი ჯგუფი, რომელიც უკვე წლებია ქართული ენის სრული და ამომწურავი ტექნოლოგიური დამუშავების და, შესაბამისად, ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნებით მოქმედებს, 2003 – 2017 წლებში ჯამურად დაფინანსდა დაახლოებით 450 000 ლარით. ანუ, თუ 15 წელზე გავასაშუალოებთ, ქართული ენის დაცვის მიზნებზე მიმართულ ამ უმნიშვნელოვანეს თემაზე წელიწადში 30 000 ლარიანი დაფინანსება გაიცემოდა, რაც საშუალოდ თვეში 2500 ლარზე გამოდის. - ეს იმასთან შედარებით, რითაც სხვა ქვეყნებში ასეთი თემები ფინანსდება, ზღვაში წვეთია.

თუმცა, თავიც რომ დავანებოთ ქართული ენის წინაშე მდგარი ციფრული კვდომის მეტად მაღალი საფეხურის საფრთხის განსაზოგადოების მიმართულებით ჩვენი ჯგუფის მიერ სხვადასხვა წლებში განხორციელებულ მეტად მნიშვნელოვან ძალისხმევებს, უნდა ითქვას რომ, ის შედეგები, რასაც ამ ასეთი თემებისთვის ასეთი მეტად მწირი დაფინანსებით პროცესებში ჩართულმა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა მიაღწია ქართული ენის მათემატიკური შესწავლისა და ტექნოლოგიური დამუშავების მიმართულებით, იმედის მომცემია, რადგან ეს ყველაფერი საკმარისი სიციხადით ასაბუთებს იმას, რომ ქართული ენის დაცვის საკითხზე სათანადო სახელმწიფოებრივი დამოკიდებულებისა და ზრუნვის შემთხვევაში ჩვენ ანუ ამ შემთხვევაშიც - ქართველი ერი შევძლებთ ქართული ენის სრულ და ამომწურავ ტექნოლოგიურ დამუშავებას ანუ ტექნოლოგიზებას და, შესაბამისად, შევძლებთ აგრეთვე ქართული ენის დაცვას ციფრული კვდომის ანუ გაქრობის ამ დღეს მის წინაშე მდგარი მეტად მაღალი საფეხურის საფრთხისგან.

02. მოკლედ AR/122/4-105/14 პროექტის „კიდევ ერთი ნაბიჯი მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსისაკენ“ ანუ ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსის მიზნებსა და მნიშვნელობებზე:

ქართული მოსაუბრე თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსის ანუ, სხვა სიტყვებით, ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსის აგებით, რომელსაც ზოგჯერ ქართულ ჭკვიან კორპუსსაც ვუწოდებთ, სასაფუძვლოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსის ანუ, სხვა სიტყვებით, ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსის სრული სახით აგებისაკენ. ამასთან, დღეს უკვე ცხადია, რომ ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსის ანუ ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსის სრული სახით აუგებლად ჩვენ ვერც ქართული ენის სრულ ტექნოლოგიურ დამუშავებას ანუ ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანის აგებას შევძლებთ და, შესაბამისად, ვერც ქართული ენის დაცვას ციფრული კვდომის დღეს მის წინაშე მდგარი მეტად მაღალი ხარისხის საფრთხისგან.

მართლაც, მეტა-ქსელის ორგანიზებითა და 2010-2012 წლებში ევროკომისიის დაფინანსებით მიმდინარე ორწლიანი საერთო ევროპული კვლევის „ევროპული ენები ციფრულ ეპოქაში“ დასკვნით ნაწილში ხაზი ესმება იმას, რომ ციფრულ კვდომის საფრთხისგან ენის დასაცავად აუცილებელია მისი სრულყოფილი მხარდაჭერა ანუ უზრუნველყოფა ტექსტის მანალიზებელი, მეტყველების დამამუშავებელი (ანუ, მანქანებთან დიალოგური ურთიერთობების მარეალიზებელი) და ავტომატურად მთარგმნელი ენობრივი ტექნოლოგიებითა და ამ სამი სახის ტექნოლოგიების ასაგებად აუცილებელი ენობრივი რესურსებით. ამასთან, ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დასაცავად აუცილებელ ენობრივ რესურსებში იგულისხმება როგორც სამწერლობო, ისე სამეტყველო ენის ყველა შესაძლო სახისა და მოდალობის ერთენოვანი და მრავალენოვანი კორპუსები. კერძოდ აქ იგულისხმება:

1. ერთენოვანი რეფერირებული, სინტაქსური, სემანტიკური, დისკურსული და სხვა კორპუსები;

2. მრავალენოვანი პარალელური კორპუსები და სხვადასხვა სახისა და სპეციფიკების მქონე მთარგმნელობითი მეხსიერებები;

3. სხვადასხვა სახისა და სპეციფიკების მქონე სამეტყველო კორპუსები. მათ შორის იგულისხმება როგორც დაუმუშავებელი, ისე დამუშავებული ანუ ყველა შესაძლოს სახის მარკირებული და/ან ანოტირებული სამეტყველო ნიმუშები და დიალოგური მონაცემები;

4. სხვადასხვა სახისა და სპეციფიკების მრავალმედიური/მრავალმოდალური კორპუსები. მათ შორის აუდიო და/ან ვიდეო მონაცემები და მათი ტექსტობრივ მონაცემებთან დაწყვილებული ცალები;

5. სხვადასხვა სახისა და სპეციფიკების მათემატიკური მოდელები, გრამატიკები ლექსიკონები, ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზები, თეზაურუსები, სიტყვათა ქსელები, მსოფლიო ცოდნის ონტოლოგიური მონაცემები და ასეთი მონაცემების სხვადასხვა სახისა და სპეციფიკების მოდელები.

ამგვარად, ერთი მხრივ, ის, რომ, ქართული ენის ენობრივი რესურსებით სრული უზრუნველყოფა გულისხმობს ქართული ენის უზრუნველყოფას ამ ყველა შესაძლო სახის ქართული ენობრივი კორპუსით, მეორე მხრივ კი, ის, რომ ქართული ენის უნივერსალური ჭკვიანი კორპუსი არ იქნება ან მხოლოდ ქართული სამწერლობო ენის ერთი რომელიმე სახის ერთენოვანი ან/და მრავალენოვანი კორპუსი ან მხოლოდ ქართული სამეტყველო ენის ამა თუ იმ სახის ერთენოვანი ან/და მრავალენოვანი კორპუსი ან მხოლოდ ქართული მრავალმედიური და/ან მრავალმოდალური კორპუსი, რადგან ის გრძელვადიანი პროექტით „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ თავიდანვე განსაზღვრული გეგმით ჩაფიქრებულია არა როგორც ამათგან ერთი რომელიმე ცალკე აღებული სახის კორპუსი, არამედ როგორც ქართული ენის ყველა ამ შესაძლო სახის კორპუსების ინტეგრირებით ანუ ერთგვარი სისტემური გაერთიანებით აგებული სრული ანუ, როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ, უნივერსალური კორპუსი, გასაგებს ხდის იმას, რომ ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსის სრული სახით აგება, ქართული ენის ენობრივი რესურსებით სრულ უზრუნველყოფას ნიშნავს. არადა, როგორც უკვე აღინიშნა, ქართული ენის ენობრივი რესურსებით სრული უზრუნველყოფის გარეშე ვერაფრით მოხერხდება ვერც ქართული ენის აღჭურვა ტექსტის მაანალიზებელი, მეტყველების დამამუშავებელი და ავტომატურად მთარგმნელი ენობრივი ტექნოლოგიებით და, შესაბამისად, ვერც ქართული ენის დაცვა ციფრული კვდომის დღეს მის წინაშე მდგარი მეტად მაღალი საფეხურის საფრთხისგან, რაც, თავის მხრივ, გასაგებს ხდის როგორც ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსის აგების მიზნებს, ასევე, ამ მიზნების მეტად მაღალ ქართულ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობებს.

03. უფრო ვრცლად ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსის ანუ, სხვა სიტყვებით, ქართული ჭკვიანი კორპუსის აგების მიზნების შესახებ:

ამგვარად, ჩვენი გეგმით, ქართული ენის ენობრივი რესურსებით სრული უზრუნველყოფა ნიშნავს ქართული ინტელექტუალური კორპუსის ანუ, რაც იგივეა, ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსის სრული სახით აგებას. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს ყველა შესაძლო სახის ქართული ენობრივი მასალის² ისეთი მუდმივ

² ყველა შესაძლო სახის ქართულ ენობრივ მასალაში აქ იგულისხმება როგორც ერთენოვანი, ისე მრავალენოვანი, როგორც სამწერლობო, ისე სამეტყველო, ასევე შესტიკულაციური, როგორც აუდიო, ისე ტიტრირებული აუდიო, ასევე ვიდეო და აუდიო/ვიდეო სახის ყველა შესაძლო ენობრივი მასალა.

ავტომატურად განვითარებადი სისტემატიზებული და კლასტერიზებული ქსელის სახით ფორმირებას,³ რომელშიც უწყვეტად იქნება ჩადგმული ქართული სააზროვნო და საკომუნიკაციო სისტემების მათემატიკურ თეორიაზე ანუ კ. ფხაკაძის ქართული ენის ლოგიკურ გრამატიკაზე დაყრდნობით აგებული ქართული ჭკვიანი და მთარგმნელი სისტემა, რაც, თავის მხრივ, ასეთ ქსელში ანუ ქართულ უნივერსალურ ჭკვიან კორპუსში სხვადასხვა სახის ინტელექტუალური პროცედურების, ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანის, ქართული ხმოვანი მართვის მოდულისა და ქართული მრავალენოვანი მთარგმნელი ტექნოლოგიების ჩადებას გულისხმობს.

ამასთან, აქ ქართული ტექნოლოგიური ანბანი გაგებულია როგორც ქართული სამწერლებო, სამეტყველო და შესტიკულაციური ენის ყველა შესაძლო სახის ტექსტებისა და ასეთი ტექსტებით მოცემული ყველა შესაძლო სახის შინაარსების მანაალიზებელი და ამ ანალიზის შედეგად გამოკვეთილი დასკვნების მაგენერირებელი სისტემა. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ტექნოლოგიური ანბანი ანუ ქართული ჭკვიანი ანუ ინტელექტუალური სისტემა არის ისეთი საკომპიუტერო სისტემა, რომელიც ქართულ ენაში სრულყოფილად არის აღჭურვილი როგორც ფიქრის,⁴ ისე საუბრის,⁵ ასევე ხედვისა და სწავლის უნარებით. ეს, მთლიანობაში, გასაგებს ხდის, რომ ქართული ტექნოლოგიური ანბანის ანუ ჭკვიანი სისტემის აგების ამოცანა თავისი შინაარსით დაიყვანება ქართული კომპიუტერული ტვინის, ყურის, ყელისა და თვალის აგების ერთმანეთთან მეტად მჭიდროდ დაკავშირებულ ამოცანებზე, რაც გრძელვადიანი პროექტის „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ ძირითადი მამოძრავებელი მიზანია.

ამასთან, ქართული ჭკვიანი და მთარგმნელი სისტემა გაგებულია როგორც ქართული ჭკვიანი სისტემის გაფართოება ამ სისტემისვე ფარგლებში უკვე აგებულ ქართულ კომპიუტერულ ტვინზე, ყურზე, ყელზე და თვალზე დაყრდნობით აგებული ხმიდან ხმაზე და ტექსტიდან ტექსტზე მთარგმნელი მრავალენოვანი ქართული სისტემებით. ამ ყველაფრის გათვალისწინებითა და, ასევე, ყოველივე უკვე აღნიშნულის შეჯამების მიზნით კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ შემდეგს:

დასრულებული სახით მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსის ანუ ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსის აგება გულისხმობს:

1. მუდმივ ავტომატურ განვითარებაში მყოფ ქართული ვებ-კორპუსის აგებას მასში უწყვეტად ჩადგმული ქართული სააზროვნო და საკომუნიკაციო სისტემების ლოგიკით, ამ ლოგიკაზე დაყრდნობით აგებული ინტელექტუალური პროცედურებით და ამ ლოგიკაზე და ამ ინტელექტუალურ პროცედურებზე დაყრდნობით აგებული ქართული ხმოვანი მართვის მოდულითა და ქართული ტექნოლოგიური ანბანით - ქართული ჭკვიანი ანუ ინტელექტუალური ანუ მოაზროვნე და მოსაუბრე სისტემით;

³ ყველა შესაძლო ქართული ენობრივი მასალის ქსელის სახით ფორმირებაში აქ იგულისხმება ამ მასალის ისეთი სისტემატიზებული და კლასტერიზებული საინტერნეტო ვებ-სივრცის სახით ფორმირება, რომელიც მოქცეულია ერთი მთლიანი ანუ სრული სისტემური მართვის ქვეშ და რომელიც მისი ამ სრულად მმართველი ინსტრუმენტების მეშვეობით ადვილად იშლება სხვადასხვა თვისობრივად განსხვავებულ ნაწილებად ანუ კლასტერებად ანუ ქვეკორპუსებად.

⁴ გულისხმობს ენობრივი მონაცემების ანალიზის და ამ ანალიზის შედეგად გამოკვეთილი დასკვნების ცოდნის ბაზების სახით სისტემატიზაციასა და ენობრივი მონაცემების სახით გენერირებას.

⁵ გულისხმობს როგორც ნათქვამის მოსმენას, ისე საპასუხო სათქმელის თქმას.

2. ქართულ ენაზე მოაზროვნე, მოსაუბრე და მთარგმნელი სისტემის ანუ ქართული ჭკვიანი და მთარგმნელი სისტემის აგებას, რომელიც ქართულ ენაზე მოაზროვნე და მოსაუბრე სისტემის ქართულიდან სხვა ენებზე და, პირიქით, სხვა ენებიდან ქართულზე მთარგმნელი სისტემებით გაფართოების შედეგად აიგება.

ანუ, ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსის დასრულებული სახით აგება ნიშნავს ისეთი ერთი მთლიანი ქართული ჭკვიანი ქსელის, მოკლედ, ქართული-ქსელის აგებას, რომელთანაც ქართული ენის მცოდნე ნებისმიერი მომხმარებელი თითქმის ნებისმიერი სახის სამომხმარებლო საჭიროების შემთხვევაში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე - სრულად და თავისუფლად შევა ქართულ დიალოგურ ურთიერთობაში. ასე მაგალითად, ქართული ენის მცოდნე ნებისმიერ მომხმარებელს საშუალება ექნება შეუზღუდავ ქართულ დიალოგურ ურთიერთობაში შევიდეს ქართულ უნივერსალურ ჭკვიან კორპუსთან - ქართულ ქსელთან ქვემოთ ზოგადად და სპექტრალურად გაწერილი სამომხმარებლო მიზნებით. ესენია:

1. ქართული ტექსტების მართლწერის შემოწმება და შეცდომების არსებობის შემთხვევაში მათი კლასიფიცირება;

2. ქართული ტექსტების ლოგიკური არაწინააღმდეგობრიობის შემოწმება და არათავსებად ტექსტებში წინააღმდეგობრივი მოცემულობების კლასიფიცირება;

3. ქართული ტექსტებიდან შინაარსის ამოღება და სისტემაში შინაარსულად უკვე დამუშავებულ ტექსტებთან ამ ახალი შინაარსის არათავსებადობის შემთხვევაში წინააღმდეგობრივი მონაცემების კლასიფიცირება;

4. სხვადასხვა სახისა და სპეციფიკების ქართული ტექსტებით მოცემული სხვადასხვა სახისა და სირთულის ინტელექტუალური დავალებების (იგულისხმება მარტივი, რთული, ასევე პრობლემატური შეკითხვები და ამოცანები) ავტომატური გადაჭრა და გადაჭრის შედეგად გამოკვეთილი დასკვნების შესაბამისი ტექსტების გენერირება (ზოგჯერ საპასუხოდ გენერირებული დასკვნა შეიძლება იყოს ის, რომ 'ქსელი დასმულ საკითხს ვერ ჭრის');

5. ქართული სამწერლობო ენის ტექსტების სამეტყველო ენის ტექსტებად და, პირიქით, ქართული სამეტყველო ენის ტექსტების სამწერლობო ენის ტექსტებად გარდაქმნა;

6. ქართული სამწერლობო და სამეტყველო ენის ტექსტების შემადგენელი წინადადებებისა და ფრაზების ემოციური შეფერილობების დადგენა და გაანალიზება;

7. სკანირებული ქართული ხელნაწერი/ნაბეჭდი ტექსტების ქართულ ელ-ტექსტებად გარდაქმნა;

8. სკოლამდელი ასაკის ბავშვების, მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ქართული სასწავლო კურსებისა და თამაშების, და, ასევე, ქართული სრული ელ-მართველობისა და ელ-ჩართულობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი არასპეციალური (ანუ ფართოდ ორიენტირებული) და სპეციალური (ანუ პროფესიულად ორიენტირებული) ქართული მოსაუბრე ინტელექტუალური სისტემების აგება (ეს გულისხმობს ასეთი სისტემების მარტივად აგების შესაძლებლობებს);

9. სხვადასხვა სახისა და ფორმატის ელ-მონაცემებით ინტერნეტში არსებული სხვადასხვა სირთულის და სპეციფიკების მქონე შინაარსების ქართულიდან და ქართულზე ავტომატური თარგმნა;

10. საინტერნეტო საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების მარტივად „გაქართულების“ შესაძლებლობა ანუ სისტემების დიალოგების „გაქართულებისა“ და ქართული ხმოვანი მართვის მოდულში მოქცევის მარტივი შესაძლებლობები.

ამ მიზნების მომსახურებას ქართული ქსელი ანუ ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსი შეძლებს იმის ხარჯზე, რომ:

1. კორპუსში გაერთიანდება მის ამუშავებამდე ინტერნეტში არსებული და მისი ამუშავების შემდეგ ყოველწუთიერ შემომავალი ყველა შესაძლო სახის (ტექსტუალური, სკანირებული, აუდიო, ვიდეო, და, ასევე, ტიტრირებული აუდიო, ვიდეო) ან მხოლოდ ქართული ან ქართულ-უცხოენოვანი მასალა;

2. კორპუსი აღჭურვილი იქნება ზემოგაწერილი სახის მიზნების სარეალიზაციოდ აუცილებელი ქართული ენობრივი ტექნოლოგიური სისტემებით. ანუ, კორპუსი აღჭურვილი იქნება ქართული ენისა და, ასევე, ქართული ენის სიღრმისეულ საფეხურზე მდგარი მათემატიკური ენის თავისებურებების გათვალისწინებით აგებული ქართულ-მათემატიკური, მოკლედ, ქართული კომპიუტერული ტვინით და ამ ქართულ კომპიუტერულ ტვინზე დაყრდნობით აგებული ქართული კომპიუტერული ყურით, ყელითა და თვალთ, რაც, მთლიანობაში, კორპუსში ამავე კორპუსის საფუძველზე აგებული მოსაუბრე ქართული ინტელექტუალური სისტემის, ანუ, სხვა სიტყვებით, ქართული ტექნოლოგიური ანბანის და ქართული ხმოვანი მართვის მოდულის ჩადგმას ნიშნავს;

3. კორპუსი აღჭურვილი იქნება მასში ჩადგმულ ქართულ ინტელექტუალურ ანუ ჭკვიან სისტემაზე დაყრდნობით აგებული ქართული ავტომატური მრავალენოვანი მთარგმნელით.

ეს ყველაფერი, მთლიანობაში, გასაგებს ხდის, რომ ამ გეგმის თანახმად ჯერ იქმნება მხოლოდ ქართული ენით მოსაუბრე, მოაზროვნე და მართვადი კორპუსი, რომელიც მერე უკვე სხვა ენებით საუბრის, აზროვნებისა და მართვის უნარებითაც აღიჭურვება.⁶

ეს კი, ანუ, ზემოხაზგასმული მიზნის მიღწევა, დღეს უკვე, ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის ეროვნული მიზნისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, სრულიად ცხად აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან ამ აქ აღნიშნული მიზნის მიუღწევლად, ცხადია, ქართველ ერს სამომავლოდ უკვე დაგეგმილ ენობრივი ბარიერებისაგან თავისუფალ საერთო მსოფლიო, მათ შორის ევროპულ კულტურულ-პოლიტიკურ სივრცეში ქართული ენით არც შესვლის და, შესაბამისად, არც მონაწილეობის არანაირი შესაძლებლობა არ ექნება. - ვაკეთებთ რა ამ აქ ხაზგასმულ მეტად მნიშვნელოვან განცხადებას, ჩვენ ამით ამავდროულად ვაკეთებთ წინამდებარე ნაშრომის არსისა და მეცნიერული ღირებულების ანუ AR/122/4-105/14 პროექტით საბოლოოდ გადასაჭრელად დასახული ამოცანის - ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსის სრული ვერსიის აგების მეტად მაღალი მნიშვნელობის ხაზგასმას.

ამასთან, აქვე ხაზს ვუსვამთ იმასაც, რომ ჩვენი ეს კატეგორული პოზიცია, ამავე საკითხზე წინა წლებში ჩვენს მიერ არაერთხელ გამოკვეთილ ხედვებთან ერთად [74], [76 -

⁶ იმ მიზნით, რომ მკითხველმა, რომელიც იცნობს მეტა-ქსელის ნაშრომით „სტრატეგიული კვლევითი გეგმა 2020 წლის მრავალენოვანი ევროპისათვის“ გაცხადებულ მიზნებს, არ იფიქროს, რომ ჩვენ ეს აქ ზემოთ წარმოდგენილი სამიზნე მიმართულება ამ სტრატეგიული კვლევითი გეგმით გაცხადებულის კალკირებით გამოვკვეთეთ, იხილეთ [74], [76 - 85], [87 - 94], [97 - 98], [100 - 105], [107], [114], [119 - 120], [122 - 149].

85], [87 – 94], [97 – 98], [100 – 105], [107], [114], [119 – 120], [122 – 142] ეყრდნობა აგრეთვე მეტა-ქსელის ანუ მრავალენოვანი ევროპული ტექნოლოგიური ალიანსის ქსელის⁷ 200-ზე მეტი ექსპერტის მონაწილეობით განხორციელებული კვლევის „ევროპული ენები ციფრულ ეპოქაში“⁸ საფუძველზე 2012 წლის 26 სექტემბერისადმი - ენების ევროპული დღისადმი მიძღვნიტ გამოქვეყნებული პრეს-რელიზის „სულ ცოტა 21 ევროპული ენაა ციფრული კვდომის საფრთხის წინაშე - კარგი და ცუდი სიახლეები ენების ევროპულ დღეს“⁹ საგანგაშო შინაარსსა და, ასევე, მეტა-ქსელის ტექნოლოგიური საბჭოს ავტორობით 2012 წლის 1 დეკემბერს გამოქვეყნებული ნაშრომით „სტრატეგიული კვლევითი გეგმა 2020 წლის მრავალენოვანი ევროპისათვის“¹⁰ დაგეგმილი მრავალენოვანი ევროპის ტექნოლოგიური დაფუძნების მეტად მაღალ პერსპექტივებს, რომლის თანახმადაც მეტა-ქსელის „მიზანია ისეთი მრავალენოვანი ევროპული საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელშიც ყველა მოქალაქეს შეეძლება გამოიყენოს ნებისმიერი მომსახურება, ხელი მიუწვდებოდეს ნებისმიერ ცოდნაზე, ისიამოვნოს ნებისმიერი მედია საშუალებით, გააკონტროლოს ნებისმიერი ტექნოლოგია თავისივე მშობლიური ენით.“

ამგვარად, AR/122/4-105/14 პროექტის ანუ ქართული ჭკვიანი კორპუსის, როგორც ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსის აგების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპის, საბოლოო მიზანია რაც შეიძლება მცირე დროში ზემოაღწერილი სახის ქართული ქსელის ანუ უნივერსალური ჭკვიანი კორპუსის რაც შეიძლება სრული ვერსიის აგება და 2020 წლამდე უკვე დაგეგმილი მრავალენოვანი ევროპის ტექნოლოგიური დაფუძნების პროცესში ქართული ენის რაც შეიძლება დროული ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც ჩვენ, ამ ეტაპზე, ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო რეალისტურ გზად გვესახება. - მართლაც, ხომ სრულიად ცხადია, რომ იმ ევროპულ საზოგადოებაში ანუ კავშირში ქართველი ერის ქართული ენით ინტეგრირება, რომელსაც უკვე გაცხადებული აქვს და უკვე რეალურად ზრუნავს იქ გაერთიანებული ენებისა და კულტურების ციფრული გაქრობის საფრთხისგან დაცვის მიზნებით, ამ თვალსაზრისებით ქართულ ენასა და კულტურას ბევრად უფრო დაცულს გახდის ვიდრე ის დღეს არის.

04. ამ ყველაფრის გათვალისწინებითა და აქედან გამომდინარე, აქვე, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაციის სახით ხაზს ვუსვამთ შემდეგს: სრულიად ცხადი აუცილებლობაა უკვე აგებული ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსის ანუ ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსის ჯერ კიდევ არასრული საწყისი ვერსიის შემდგომი დაჩქარებული განვითარება და გასრულება, რადგან, როგორც უკვე ზემოთაც აღინიშნა, ეს ყველაფერი პირდაპირ და განუყოფელ კავშირშია ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის საერთო ეროვნულ მიზანსა და პასუხისმგებლობასთან.

⁷ იხილეთ <http://www.meta-net.eu/> მისამართზე განთავსებული მასალა.

⁸ იხილეთ <http://www.meta-net.eu/> მისამართზე განთავსებული მასალა.

⁹ იხილეთ <http://cordis.europa.eu/fp7/ict/language-technologies/docs/metanet-white-paper-press-release-english-international.pdf>. მისამართზე განთავსებული მასალა.

¹⁰ იხილეთ http://www.meta-net.eu/vision/reports/meta-net-sra-version_1.0.pdf მისამართზე განთავსებული მასალა.

1.2. ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსის ამგები მეთოდების სასაყრდენე ხედვები და თეორიები

01. AR/122/4-105/14 პროექტი „კიდევ ერთი ნაბიჯი მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსისაკენ“, ისევე როგორც მისთვის სასაფუძვლოდ მნიშვნელოვანი სტუ ხანგრძლივადიანი პროექტისა „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ და თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ზემოთ მიმოხილული ქვეპროექტები, მეთოდურად ანუ სასაფუძვლო ხედვებისა და თეორიული გადაწყვეტების თვალსაზრისით ძირეულად ეყრდნობა ვ. ფხაკაძის ქართული ენის ლოგიკური გრამატიკით ქართულისთვის გამოკვეთილ ახალ ხედვებსა და მიდგომებს [17 – 19], [25], [29], [37 - 38], [55], [59 – 60], [62 – 63], [65 – 67], [71 – 78], [81 – 85], [87 – 93], [100], [103], [108], [110 – 113], [116 – 117], [120], [122 – 144].

ამასთან, ქართული ენის ლოგიკური გრამატიკა, რომელიც ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის ანუ ქართული ენით მოცემული სააზროვნო სისტემის პირველი მათემატიკური ტიპის გრამატიკული თეორიაა და რომლის პირველი სასაფუძვლო ხედვები და შედეგები 2002-2011 წლებში უკვე იყო შემუშავებული, სისტემატიზებული სახით შემუშავდა სტუ ქართული ენის ტექნოლოგიზების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხანგრძლივადიანი პროექტის „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ N30/71 საგრანტო ქვეპროექტით „ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძვლები და მისი გამოყენება საინფორმაციო ტექნოლოგიებში“ წარმოებული კვლევების შედეგად, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსების ქვეშ იყო 2013-2015 წლებში [17 - 19].

02. მაშინ როდესაც მათემატიკის დაფუძნებისა და ხელოვნური ინტელექტით განსაზღვრული სამეცნიერო პრობლემატიკის ფარგლებში ქართული ენის მათემატიკური მეთოდებით შესწავლის პირველი სისტემური მცდელობები 1999-2001 წლებიდან იღებს სათავეს ვ. ფხაკაძის კვლევებით,¹ დასავლეთში, მათემატიკის ფარგლებში, სხვადასხვა ბუნებრივი ენების სრულმასშტაბიანი ტექნოლოგიზების მიზნით, ამ ენების მკაცრი

¹ მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის მათემატიკური მეთოდებით შესწავლის პროცესები გვიან დაიწყო, ქართული ენა კლასიკური ანუ არამათემატიკური ენათმეცნიერული თვალსაზრისებით მრავალმხრივ არის შესწავლილი. ასე მაგალითად: 1. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1980; 2. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1996; 3. არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, 1961; 4. თ. უთურგაძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთ მიმართებისათვის ქართულში, 2002; 5. დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, 2001. ასევე, ამ კლასიკურ ენათმეცნიერულ ხედვებზე დაყრდნობით ქართული ენა გამოკვლეულ იქნა სხვადასხვა დასავლურ ლინგვისტურ თეორიებზე დაყრდნობითაც. ასე მაგალითად: 1. ჰარისი, ა., ქართული სინტაქსი - კვლევები რელაციურ გრამატიკაში, 1981; 2. მოირერი პ., გამოთვლითი გრამატიკა ქართულისათვის, TbiLLC'2007, 2007. თუმცა, ისევ ვიმეორებთ, ქართული ენის არაკლასიკური ანუ მათემატიკური შესწავლის პროცესებს საფუძვლები სწორედ ვ. ფხაკაძის ზემოაღნიშნული კვლევებით ჩაეყარა.

მათემატიკური გრამატიკების შემუშავების პროცესები თითქმის განუწყვეტლივ მიმდინარეობდა [95], [109], [121].

თუმცა, ამ კვლევების განსაკუთრებული ინტენსიფიკაცია წინა საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება, რაც ჩომსკისა და მონტეგიუს რევოლუციური ხასიათის კვლევებს უკავშირდება და დღეს უკვე, ბუნებრივი ენების სრულმასშტაბიანი ტექნოლოგიების მიზნით მსოფლიოს მოწინავე ენების უმეტესობა მათემატიკური თვალსაზრისებით თითქმის ამომწურავადაა შესწავლილი. არადა, როგორც უკვე აღინიშნა, ქართული ენის მათემატიკური შესწავლის პროცესი ჯერ მხოლოდ თხუთმეტობდე წელია მიმდინარეობს და ისიც არაუწყვეტად ანუ შუალედებში არაუმნიშვნელო წყვეტებითა და ხელისშემშლელით.

ეს ცხადს ხდის ამ უმნიშვნელოვანესი კვლევითი პროცესების მიზნობრივ ანუ სახელმწიფოებრივ საფეხურზე დაყენებისა და შემდგომი ინტენსიფიკაციის გადაუდებელ აუცილებლობას, რასაც ჩვენ აქვე ვუსვამთ ხაზს ჩვენი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაციის სახით.

საქმე ისაა, რომ სხვა ბუნებრივ ენებთან შედარებით ქართული ენის ტექნოლოგიების ამ დღეს არსებული შემამოფოთებლად დაბალი მოცულობისა და ხარისხის ძირითადი მიზეზი სწორედ ისაა, რომ ტექნოლოგიური დამუშავებისთვის აუცილებელი მათემატიკური თვალსაზრისებით ქართული ენა არასაკმარისად არის შესწავლილი.

03. როგორც უკვე აღინიშნა, პროექტი „კიდევ ერთი ნაბიჯი მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსისაკენ“ მეთოდურად ანუ სასაფუძვლო ხედვებისა და თეორიული გადაწყვეტების თვალსაზრისით ძირეულად ეყრდნობა ქართული ენის ლოგიკური გრამატიკით ქართულისთვის შემუშავებულ ახალ ენობრივ ხედვებსა და თეორიულ მიდგომებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქვემოთ, ძალიან მოკლედ მიმოვიხილავთ სწორედ ამ ქართული ენის ლოგიკური გრამატიკით ქართულისთვის შემუშავებულ ახალ ენობრივ ხედვებსა და თეორიულ მიდგომებს.

04. საზოგადოდ, ჩვენი კვლევა მიზნად ისახავს ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის ანუ ქართული ენით ჩვენში ბუნებრივად არსებული სააზროვნო სისტემის, მოკლედ ქართული ენისა და აზროვნების სრულ მათემატიკურ და ავტომატურ ანუ ტექნოლოგიურ დაფუძნებას. კერძოდ:

1. ჩვენ ვიკვლევთ ქართული ენის ბუნებრივ ლოგიკას - ქართულ ენასა და აზროვნებას. ანუ, სხვა სიტყვებით, ჩვენ ვიკვლევთ ქართულ სამწერლობო ანუ წერით, სამეტყველო ანუ ზეპირ, და სააზროვნო ანუ ფიქრით ენებს როგორც მათი ერთმანეთთან, ისე მათი მათემატიკურ ენასთან ბუნებრივი კავშირების გათვალისწინებით.

ამასთან, ჩვენი ამ კვლევების მიზანია ქართულ ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის სრული და ზუსტი აღწერა. - ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვცდილობთ ქართული ენისა და აზროვნების ჩვენში ქვეცნობიერი ანუ თანდაყოლილი სახით არსებული ბუნებრივი ფორმის გაცნობიერებასა და ამ გზით ქართველებში ქართული ენით ბუნებრივად არსებული იმ მათემატიკური თეორიის მკაცრ მათემატიკურ აღწერას,

რომლის ჩვენში ჩვენგან დამოუკიდებელი ანუ ბუნებრივი არსებობა ჩვენი კვლევების ერთ-ერთი სასაფუძვლოდ წარმართველი წინჭვრეტაა.

2. ჩვენ ვიკვლევთ ქართულ სამეტყველო ენას ქართული მეტყველების მასინთეზებელი და ამომცნობი სისტემების აგების მიზნით.

3. ჩვენი მიზანია კომპიუტერის აღჭურვა ქართულ ენაში მეტყველების, სმენისა და ფიქრის უნარებით. ამასთან, ჩვენ ვცდილობთ ამის მიღწევას ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიითა და ქართული მეტყველების ამომცნობი და მასინთეზებელი სისტემებით კომპიუტერის სრული პროგრამული აღჭურვის გზით.

05. მოკლედ იმის შესახებ თუ როგორ გვაქვს გაგებული ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანის ანუ ქართული ენის და აზროვნების სრული მათემატიკური და ავტომატური დაფუძნების ამოცანა:

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი პირველეტაპობრივი მიზანია ქართულ ენაში არა საუბრის, არამედ ფიქრის დაფუძნება! - უფრო მეტიც, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საუბრის სრული მათემატიკური და ავტომატური დაფუძნება შეუძლებელიც კია!

ჩვენთვის შიდა ენობრივი ნიშანი არის 'აღმნიშვნელი ← ენობრივი ავტომატი → აღსანიშნი' სახის სამეული, სადაც 'აღსანიშნი' და 'აღმნიშვნელი' ენობრივი გამოსახულებებია. ამასთან, ენობრივ ავტომატში ენობრივი ნიშანი, ანუ მისი 'აღმნიშვნელი' და 'აღსანიშნი' თავად ამ 'ენობრივი ავტომატის' მიერვე გაბმულ უწყვეტ კავშირში არიან.

გარდა ამისა, ჩვენი ხედვით, ენობრივი ავტომატი, ნებისმიერი სახის ენობრივი საჭიროების შემთხვევაში, მისი პროგრამულადვე წინასწარ განსაზღვრული უნარებით შემძლეა:

1. შექმნას არარსებული ანუ ახალი ენობრივი ნიშანი (მაგალითად დაასახელოს ანუ სახელი მისცეს ახალ მანამდე არარსებულ ან მანამდეც არსებულ თუმცა მხოლოდ ახლა შემჩნეულ საგანს);

2. შეცვალოს ძველი ანუ უკვე არსებული ენობრივი ნიშანი (მაგალითად ან გააუქმოს, ან გააფართოოს, ან დაავიწროოს, ან სრულიად ახალი მნიშვნელობა მისცეს რომელიმე უკვე არსებულ ენობრივ ნიშანს);

3. გაიაზროს როგორც ძველი ანუ მისივე შექმნილი, ისე მისთვის ახალი ანუ მოსმენით გაგებული ენობრივი ნიშანი (მაგალითად, ასეთ ენობრივ ნიშანთან დაკავშირებითაც პასუხი გასცეს შეკითხვას - რა არის აღნიშნული ამ აღმნიშვნელით ან/და ამ ენობრივი გამოსახულებით?).

უკვე აღნიშნულთან ერთად, ცხადია რომ, ენობრივი კომუნიკაციისგან ანუ ორი ან ბევრი პირის საუბრისგან განსხვავებით ენობრივი თვითკომუნიკაცია ანუ ფიქრი ანუ ერთი პირის თავის თავში თავისთავთან საუბარი არ ხასიათდება სინტაქსური თუ სემანტიკური სახის ორაზროვნებებით განპირობებული რაიმე სახის სირთულეებით.

ამგვარად, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საუბრის სრული ავტომატური დაფუძნებისათვის, რომლის ამგვარი დაფუძნება, ჩვენი აზრით, შესაძლებელია მხოლოდ დიალოგური სახით ანუ მხოლოდ დამაზუსტებელი შეკითხვების მეშვეობით გამყარებული კომუნიკაციის შემთხვევაში, პირველყოვლისა, უნდა მოხდეს ფიქრის ანუ თვითკომუნიკაციის სრული ავტომატური დაფუძნება, რაც ჩვენი ხედვით არის „სწორად ფორმირებული“ ანუ წესთა მიერ მართებულად მიმდინარე თვითკომუნიკაცია.

ამგვარად, ჩვენ, აქ, ზემოთ, ძალიან მოკლედ და ზოგადად მიმოვიხილეთ ქართული ენის და აზროვნების სრული მათემატიკური და ავტომატური დაფუძნების ჩვენეული გზის ამოსავალი ანუ საყრდენი წერტილები.

06. მოკლედ სამწერლობო, სამეტყველო და სააზროვნო ენების შესახებ: ჩვენი თვალთახედვით, ქართული სამწერლობო ენა სრულად არის ჩადგმული ქართულ სამეტყველო ენაში, მაგრამ არა პირიქით. ასევე, ქართული სამეტყველო ენა სრულად არის ჩადგმული ქართულ სააზროვნო ენაში, მაგრამ არა პირიქით (იხილეთ ფიგურა 1).


აქედან გამომდინარე, ქართული ენის ბუნებრივი კანონები ქართულ სამწერლობო ენაში არის მხოლოდ ნაწილობრივ, ეს კანონები არის ქართულ სამეტყველო ენაში უფრო სრულად, მთელი ანუ ამომწურავი სისრულით ეს კანონები არის მხოლოდ ქართულ სააზროვნო ენაში.

ამგვარად, ამ აქ ზემოთ უკვე აღნიშნულ მეტად ცხად გარემოებებზე დაყრდნობით ჩვენ ვაცხადებთ:

ნებისმიერი ბუნებრივი ენობრივი სისტემის სრული მათემატიკური და ავტომატური დაფუძნების მიზნით მიმდინარე ნებისმიერი კვლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს წარმატებული თუ ეს კვლევა ცდილობს გადაჭრას სამწერლობო და სამეტყველო ენების ფარგლებში დასმული პრობლემატური საკითხები სააზროვნო ენის ფარგლებში.

ჩვენ აქ ზემოთ ძალიან მოკლედ წარმოვადგინეთ ქართული ენის სრული მათემატიკური და ავტომატური დაფუძნების მიზნით მიმდინარე ჩვენი კვლევითი გზის მიმართულების მიმცემი ერთ-ერთი ძირითადი ხაზი.

კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ: ჩვენი უპირველესი მიზანია არა საუბრის, არამედ ფიქრის ავტომატური დაფუძნება, სადაც უკვე არანაირი ადგილი თუნდაც რაიმე სახის სინტაქსური თუ სემანტიკური ორაზროვნებისათვის არ რჩება.



ფიგურა 1

ქართული სამწერლობო, სამეტყველო და სააზროვნო ენების ზემოთ წარმოდგენილი ბუნებრივი ურთიერკავშირის გრაფიკული გამოსახვა. აქ:

1. GWL აღნიშნავს ქართულ სამწერლობო ენას;
2. GSL აღნიშნავს ქართულ სამეტყველო ენას;
3. GTL აღნიშნავს ქართულ სააზროვნო ენას.

07. მოკლედ ქართული ენობრივი იდეოლოგიისა და შალვა ფხაკაძის აღნიშვნათა თეორიის შესახებ:² ქართული ენობრივი იდეოლოგია ფუნდამენტურად ემყარება ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკურ თავისებურებებს, ფხაკაძის აღნიშვნათა თეორიასა და მისეულ ზოგად სემანტიკურ პროგრამას, რომლის ენობრივ მოდიფიკაციას ჩვენ ბუნებრივ სემანტიკურ პროგრამას ვუწოდებთ.

საზოგადოდ, შალვა ფხაკაძის აღნიშვნათა თეორია ფორმალური ენებისა და თეორიების ფორმალურად გაფართოების ანუ განვითარების ფორმალურ წესთა სისტემაა. ამასთან, ფორმალურ ენას (თეორიას) ვუწოდებთ ფორმალურად განვითარებადს, შესაბამისად, ფორმალურად არაგანვითარებადს იმისდამიხედვით, აქვს მას თუ არა ფორმალურად განვითარების უნარები.

ამგვარად, ფხაკაძის აღნიშვნათა თეორიაში, რომელიც \mathfrak{N} საკმარისად ზოგადი მათემატიკური ენის ფარგლებში შემუშავდა,³ აღწერილია ფორმალური თეორიების ფორმალურად გამაფართოებელი სხვადასხვა ტიპის ფორმალური წესები, რომლებიც შემამოკლებელ წესებად არიან წოდებულნი.

ამასთან, ამ შემამოკლებელი წესების დამხარებით თითქმის ნებისმიერი სახის მათემატიკური საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია \mathfrak{N} საკმარისად ზოგადი მათემატიკური ენის გაფართოება ახალი შემამოკლებელი სიმბოლოთი. ეს იმას ნიშნავს, რომ ფხაკაძის აღნიშვნათა თეორია იძლევა \mathfrak{N} ფორმალურად განვითარებადი მათემატიკური ენის მკაცრად დაფუძნებულ მეცნიერულ გაგებას.

ამავდროულად, \mathfrak{N} საკმარისად ზოგად მათემატიკურ ენაზე დაყრდნობით განისაზღვრება \mathfrak{N} საკმარისად ზოგად მათემატიკურ თეორია, რომელიც ზემოაღნიშნულ შემამოკლებელ წესებთან ერთად იძლევა \mathfrak{N} ფორმალურად განვითარებადი მათემატიკური თეორიის ასევე მკაცრად დაფუძნებულ მეცნიერულ გაგებას.

გარდა ამისა, აღნიშვნათა თეორიაში დამტკიცებულია, რომ თუ \mathfrak{N}^* არის რომელიმე სემანტიკურად სრულად გაგებული ანუ ინტერპრეტირებული ანუ არაწინააღმდეგობრივი

² მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე პროფესორი შალვა ფხაკაძე, რომლის სახელიც 1999 წელს მიენიჭა ზესტაფონის 1 საშუალო სკოლას და რომლის ხსოვნისადმი იყო მიძღვნილი თბილისის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმში „ენა, ლოგიკა და გამოთვლები“ (1999 წელი), თბილისის პირველი საერთაშორისო კონფერენცია „ლოგიკური პროგრამირება და ხელოვნური ინტელექტი“ (1999 წელი), პირველი რესპუბლიკური სასემინარო კვირეული „ლოგიკა, ენა, ინფორმატიკა“ (2005 წელი), საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მეხუთე საერთაშორისო ყოველწლიური კონფერენციის „გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების“ და „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და გამოთვლითი ლინგვისტიკის“ სექციები (2015 წელი), მათემატიკური ლოგიკის ქართული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ამასთან, ფხაკაძის აღნიშვნათა თეორია შემუშავდა 1972 - 1977 წლებში კლასიკური მათემატიკური თეორიების დაფუძნების მიზნით. იხილეთ: 1. შალვა ფხაკაძე, აღნიშვნათა თეორიის ზოგიერთი საკითხი, 1977; 2. შალვა ფხაკაძე, ა. ნ. ბურბაკის ზოგადი ტიპის თეორია და შემამოკლებელი სიმბოლოებისა და შესაბამისი შემამოკლებელი ფორმების თვისებები, 1999; 3. შალვა ფხაკაძე, მათემატიკური ლოგიკა - საფუძვლები, ნაწილი I (1996 წელი), ნაწილი II (1999 წელი), ნაწილი III (2009 წელი). მიუხედავად იმისა, რომ მისი ფუნდამენტური ნაშრომი „აღნიშვნათა თეორიის ზოგიერთი საკითხი“ შეიქმნა არა ტერმთა გადაწერის, არამედ მათემატიკის დაფუძნების მიზნებით, ის შეფასდა როგორც მაღალი რიგის ტერმთა გადამწერი სისტემების ერთ-ერთ პირველწყარო (იხილეთ: ფენკე ვან რამსდელუი, მაღალი რიგის გადამწერათა გაერთიანება და ნორმალიზება, ამსტერდამი, 1996). აგრეთვე, კარგადაა ცნობილი მისი შრომები ზოგად სიმრავლეთა თეორიასა და ზომათა თეორიაში.

³ ზოგჯერ, \mathfrak{N} საკმარისად ზოგად მათემატიკურ ენას ფხაკაძის მათემატიკურ ენას ვუწოდებთ. ქვემოთ მოკლედაა მიმოხილული ფრეგესა და ფხაკაძის მათემატიკური ენების ურთიერთკავშირები.


ჰ საკმარისად ზოგადი მათემატიკური თეორიის რაიმე სახის შალვა ფხაკადისეული გაფართოება ანუ გაფართოება, რომელიც ზემოხსენებული შემამოკლებელი წესებით გაკეთდა, მაშინ \mathcal{N}^* ასევე სემანტიკურად სრულად გაგებულ ანუ ინტერპრეტირებულ ანუ არაწინააღმდეგობრივი თეორია.

ჩვენ აქ ზემოთ არაფორმალურად და ძალიან მოკლედ აღვწერეთ შალვა ფხაკადის ზოგადი სემანტიკური პროგრამა, რომელიც მისეული აღნიშვნათა თეორიის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგია. - ამგვარად: იმის გათვალისწინებით, რომ ფრეგესეული მათემატიკური ენა არის კერძო სახის \mathcal{N} საკმარისად ზოგადი მათემატიკური ენა და, შესაბამისად, ჰილბერტისეული მათემატიკური თეორია არის კერძო სახის \mathcal{N} ფორმალურად განვითარებადი მათემატიკური თეორია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფხაკადის აღნიშვნათა თეორია მანამდე ფორმალურად არაგანვითარებად ფრეგესეულ მათემატიკურ ენებსა და ჰილბერტისეულ მათემატიკურ თეორიებს ფორმალურად განვითარებადობის შესაძლებლობებით ღჭურავს.

08. ქართული ენის ზოგადი თეზისი: ზემოაღწერილი სახის ფორმალურად განვითარებადი მათემატიკური ფორმალიზმი ანუ \mathcal{N} ფორმალურად განვითარებადი მათემატიკური ენა და თეორია იძლევა რთული ანუ საკმარისად მოცულობითი და საკმარისად მაღალი გამომხატველობითი ძალის ინტელექტუალური სისტემების შედარებით მარტივად აგების ახალ - მეტად ნაყოფიერ საშუალებებს. ასევე, ასე გაგებულ \mathcal{N} ფორმალურად განვითარებადი მათემატიკური ენები და თეორიები იძლევა ადამიანის ენობრივ ბუნებაზე მეცნიერულად დაფუძნებულ გაგებას და, აგრეთვე, ეს ქართული ენის იმ მათემატიკურ თავისებურებებთან ერთად, რომელთაგან ნაწილი ქვემოთაა მიმოხილული, იძლევა უფლებას თეზისის სახით შემდეგი მოსაზრების ჩამოყალიბებაზე:

ქართული ენის ზოგადი თეზისი: ნებისმიერი ბუნებრივი ენობრივი სისტემა პირველადი მათემატიკური თეორიის თანდათანობითი გაფართოების შედეგია. ამასთან:

1. პირველადი მათემატიკური თეორიის როგორც ალფაბეტი ანუ პირველადი მათემატიკური ენა, ისე მისი აქსიომები, და გამოყვანისა და გაფართოების წესები პირველადი მათემატიკური კონცეპტებია;




ფიგურა 2

პირველად მათემატიკურ ენასა და ბუნებრივ ენებს შორის არსებული ბუნებრივი კავშირის გრაფიკული წარმოდგენა. - ზოგჯერ ამ გრაფიკულ წარმოდგენას ვუწოდებთ როგორც „ენობრივი ყვავილი მათემატიკური გულით“.

2. როგორც პირველადი მათემატიკური ენა, ისე სხვა პირველადი მათემატიკური კონცეპტები ის ყველა ადამიანში ბუნებით თანდაყოლილი მონაცემებია, რომლებიც პირველადი მათემატიკური თეორიის ფარგლებში მოქმედებენ ავტომატურად ანუ ინსტიქტურად.⁴ - იხილეთ, ზემოთ, ფიგურა 2, სადაც:

1. NL_k აღნიშნავს k -ურ ბუნებრივ ენას;
2. ML_k აღნიშნავს მათემატიკურ ენას, რომელიც პირველად მათემატიკურ ენასა და ამ NL_k ენას შორისაა განთავსებული.⁵

09. ქართული ენის კერძო თეზისი: ქართული ენის ზოგადი თეზისისგან განსხვავებით, ქართული ენის ლოგიკური გრამატიკით წარმოებული კვლევების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უკვე საკმარისი სისრულითაა დასაბუთებული ქართული ენის ის კერძო თეზისი, რომელიც ქვემოთაა წარმოდგენილი.



ფიგურა 3

ქართული გამაფართოებელი წესებით პირველადი მათემატიკური ენის თანდათანობითი გაფართოება ქართულ ენასა და აზროვნებამდე.

⁴ ამგვარად, ზოგადი თვალსაზრისით, ჩვენ ვეთანხმებით სტივენ პინკერს. - იხილეთ: 1. სტივენ პინკერი, ენის ინსტიქტი, 1994; 2. სტივენ პინკერი, როგორ მუშაობს გონება, 1997. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ, ჩვენი ხედვით, დღეს ეგრეთწოდებული ადამიანისეული ცნობიერი აზროვნება მეტწილ ემყარება ადამიანებში უნივერსალურად არსებულ ქვეცნობიერ სააზროვნო ენას. - ანუ, ჩვენი ხედვით, ენა, ისევე როგორც აზროვნება, უფრო ქვეცნობიერი ანუ ინსტიქტური მოცემულობებია, ვიდრე არაინსტიქტური ანუ ცნობიერი. აგრეთვე, ჩვენ ჩვენს თავს მივიჩნევთ ბლუზ პასკალის მიმდევრებად, რომელიც ბუნებით თანდაყოლილი სიტყვებისა შინაარსების არსებობას ამტკიცებდა. - ქვემოთ თქვენ ნახავთ ასეთი შინაარსების არსებობის ჩვენეულ მკაცრ მტკიცებულებას. გარდა ამისა, გარკვეული აზრით, ჩვენ ჩვენ თავს მივიჩნევთ აგრეთვე გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცის მიმდევრებად, რომელმაც წინ წამოსწია ენობრივად მოცემული და ლოგიკურად განვითარებადი ცოდნის მათემატიკური დაფუძნების პროგრამა. - თუმცა, ჩვენ, ნაცვლად ენობრივად მოცემული და ლოგიკურად განვითარებადი ცოდნის დაფუძნების ნაცვლად წინა პლანზე ვწევთ ენობრივად მოცემული და ლოგიკურად ორგანიზებული ფიქრის უნარის დაფუძნების საკითხს. რაც შეეხება ჩვენი და და ჯერი ალან ფოდორის ხედვების მჭიდრო ურთიერთკავშირს, ამას ჩვენ ქვემოთ შევეხებით.

⁵ აქ და ქვემოთ, ზოგჯერ, როდესაც საუბარი გვექნება პირველად მათემატიკურ ენაზე (მათემატიკურ ენაზე), (ბუნებრივ ენაზე) მხედველობაში გვექნება აგრეთვე პირველადი მათემატიკური თეორია, (მათემატიკური თეორია), (ბუნებრივი ენობრივი თეორია).

ქართული ენის კერძო თეზისი: ბუნებრივი ქართული ენა არის პირველადი მათემატიკური ენის იმ ფორმალური გაფართოების შედეგი, რომელიც გაკეთდა იმ გამაფართოებელი წესებით, რომლებსაც ჩვენ ქართულ გამაფართოებელ წესებს ვუწოდებთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბუნებრივი ქართული ენა და აზროვნება არის პირველადი მათემატიკური თეორიის ქართული გამაფართოებელი წესებით გაფართოების შედეგი -

იხილეთ, ზემოთ, ფიგურა 3, სადაც:

1. PML (PMT) აღნიშნავს პირველად მათემატიკურ ენას (თეორიას);
2. GSL (GWL) (GNL ანუ GT&L) აღნიშნავს ქართულ სამეტყველო ენას (ქართულ სამწერლობო ენას) (ქართულ ბუნებრივ ენას ანუ ქართულ ენასა და აზროვნებას);
3. GML (GMT) აღნიშნავს ქართულ მათემატიკურ ენას (თეორიას), რომელიც PML-თან (PMT-თან) ერთად არის 3 ფორმალურად განვითარებადი მათემატიკური ენის (თეორიის) ტიპის ენა (თეორია).⁶

10. მოკლედ ლინგვისტურ უნივერსალებზე:⁷ როგორც ცნობილია ჩომსკის მიზანი იყო ბუნებრივი ენების არამარტო ავტომატური დაფუძნება, არამედ ის ეძიებდა აგრეთვე უნივერსალურ ლინგვისტურ პროგრამას.⁸ ასევე, მონტეგიუს სამეცნიერო მიზანი იყო არა მხოლოდ ინგლისური ენის მათემატიკური დაფუძნება, არამედ ის მიზნად ისახავდა აგრეთვე უნივერსალური გრამატიკის აგებას.⁹ ასევე, ცნობილია აგრეთვე ვეიჟბიცკას ცდები მოეძია ყველა ის ლინგვისტური უნივერსალი ანუ პირველადი კონცეპტი (შინაარსული ერთეული), რომლებიც აუცილებელი და საკმარისი იქნებოდა სხვადასხვა ბუნებრივი ენების გასაგებად ანუ ამ ენებში სემანტიკის პრობლემის სრული და ამომწურავი სახით გადასაწყვეტად.¹⁰

ყოველივე ამ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ ვაცხადებთ: ლინგვისტური უნივერსალები სრულად და ამომწურავად თავმოყრილია პირველად მათემატიკურ ენასა

⁶ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ, რომ ჩვენი მოძრაობა ანუ ის, თუ როგორ გვესმის ქართული ენის მათემატიკური და ავტომატური დაფუძნება, გარკვეული გაგებით, ძალიან ახლოსაა ენობრივად მოცემული და ლოგიკურად განვითარებადი ცოდნის მათემატიკური დაფუძნების ლაიბნიცისეულ ხედვებთან (თუმცა, ისევ ვიძიებთ, ჩვენ წინა პლანზე ვწევთ არა იმდენად ცოდნის, არამედ ფიქრის უნარის ავტომატური დაფუძნების საკითხს). იხილეთ: 1. ლაიბნიცი, ახალი ესე ადამიანისეულ გაგებადობაზე - წინათქმა და წიგნი 1: საწყისი ცნებები, 2005 (პირველად გამოქვეყნდა 1765 წელს); 2. ლაიბნიცი, ადამიანისეულ გაგებადობაზე მიმართული ესე, დანართთან ერთად, სრული ვერსია, 2005 (პირველად გამოქვეყნდა 1765 წელს).

⁷ იხილეთ: ნიკოლას ევანსი, სტეფან ლევინსონი, მითი ენობრივ უნივერსალებზე: ენობრივი მრავალფეროვნება და მისი მნიშვნელობა კოგნიტიურ მეცნიერებებში, 2009.


⁸ იხილეთ: 1. ჩომსკი ნ., ლინგვისტური თეორიის ლოგიკური სტუქტურა, 1975 (პირველად გამოქვეყნდა 1955 წელს); 2. ჩომსკი ნ., სინტაქსური სტუქტურები, 1957; 3. ჩომსკი ნ., კარტეზიანული ლინგვისტიკა - თავი რაციონალური აზრის ისტორიაში, (რუსულად - მთარგმნელი ვ. პ. ნარუმოვა), 2005 (პირველად გამოქვეყნდა 1966 წელს); 4. ჩომსკი ნ. ენის ცოდნა: მისი ბუნება, წარმოშობა, და გამოყენება, 1986; 5. ჩომსკი ნ., მინიმალისტური პროგრამა, 1995; 6. ჩომსკი ნ., სინტაქსის თეორიის ასპექტები, 1995; 7. ჩომსკი ნ., ენა და გონება, (მესამე გამოცემა) 2005.

⁹ იხილეთ: 1. მონტეგიუ რ., რიჩარდ მონტეგიუს რჩეული ნაშრომები (რ. პ. ტომასონის რედაქციით), 1974; 2. ი. ვან ბენტემი, ა. ტერ მიულენი (რედაქტორები), სახელმძღვანელო წიგნი ენასა და ლოგიკაში, 1977.

¹⁰ იხილეთ: 1. ვეიჟბიცკა ა., ენობრივი მენტალიზმი, 1980; 2. ვეიჟბიცკა ა., სემანტიკა, კულტურა და შემეცნება, 1992; 3. ვეიჟბიცკა ა., სემანტიკა: პირველადები და უნივერსალები, 1996.

და პირველად მათემატიკურ თეორიაში, რომელიც, თავის მხრივ, მისი სხვადასხვა სახის შემამოკლებელ წესთა სისტემით გაფართოებების შედეგად იძლევა სხვადასხვა ბუნებრივ ენებს (იხილეთ, ზემოთ, ფიგურა 2).

11. უნივერსალურად შეთანხმებული ანუ ენათა შორისი უნივერსალური მათემატიკური ენა და ავტომატური მთარგმნელისა და ერთ ენაში ფიქრის მარეალიზებელი ინტელექტუალური სისტემის აგების პრობლემა:




ფიგურა 4

NL₁ ბუნებრივი ენიდან NL₂ ბუნებრივი ენაში და, პირიქით, NL₂-დან NL₁-ში ენობრივი გამოსახულების გადათარგმნა ამ ბუნებრივი ენების ქვეცნობიერ საფეხურზე მდგარი ML₁ და ML₂ მათემატიკური ენების საშუამავლო მონაწილეობით.

დღეს-დღეობით როგორც ზოგად სამეცნიერო, ისე ზოგად კულტურული თვალსაზრისებით ავტომატური თარგმნის პრობლემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. ასევე, დღეს-დღეობით, აქტიური კვლევები წარმოებს ენებს შორისი საშუამავლო ენის აგებისა და მოძიების მიზნით.

ამასთან, დღემდე, მთარგმნელი სისტემები როგორც წესი იგება ენათა წინასწარ განსაზღვრული წყვილებისათვის და ამ მთარგმნელი სისტემების ასაგებად საშუამავლო ენის მეშვეობით წარმოებული წესებზე დამყარებული ზუსტი სემანტიკური თარგმნის მარეალიზებული მეთოდების ნაცვლად მეტწილ გამოიყენება სტატისტიკურ მეთოდებზე დამყარებული თარგმნის მეთოდები.

ყოველივე ამ აქ აღნიშნულზე ჩვენ ვაცხადებთ: ერთადერთი გზა სრული მოცულობით გადაწყდეს ავტომატური თარგმნის ამოცანა ნებისმიერად აღებულ ბუნებრივ ენათა წყვილისათვის გადის შუალედურ ენად უნივერსალურად შეთანხმებული მათემატიკური ენის გამოყენებაზე (იხილეთ, ზემოთ, ფიგურა 2 და 4. ასევე, იხილეთ, ქვემოთ, ფიგურა 5).



ფიგურა 5

ენათაშორისი უნივერსალური მათემატიკური ენის შუალედური მონაწილეობით განხორციელებული ქართულ, გერმანულ ინგლისური ორმხრივ მთარგმნელი სისტემის ფუნქციონირების ამსახველი დიაგრამა. აქ:

1. GeoML (GerML) (EngML) აღნიშნავს ქართულ (გერმანულ) (ინგლისურ) მათემატიკურ ენას ანუ, რაც ჩვენთვის იგივეა, ქვეცნობიერ ქართულ (გერმანულ) (ინგლისურ) ბუნებრივ ენას;
2. GeoSL (GerSL) (EngSL) აღნიშნავს ქართულ (გერმანულ) (ინგლისურ) სამეტყველო ენას ანუ, რაც ჩვენთვის იგივეა, ცნობიერ ქართულ (გერმანულ) (ინგლისურ) ბუნებრივ ენას;
3. GeoWL (GerWL) (EngWL) აღნიშნავს ქართულ (გერმანულ) (ინგლისურ) სამწერლობო ენას, რომელიც სხვა არაფერი არ არის თუ არა ქართული (გერმანული) (ინგლისური) ბუნებრივი ენის თითქმის სრული (თუმცა არა სრული!) ნაწილის წერილობითი ფორმა.

საქმე ისაა, რომ ენაში ფიქრის მარეალიზებული ინტელექტუალური სისტემის ანუ, სხვა სიტყვებით, ენის ტექნოლოგიური ანბანის აგება აუცილებლობით ითხოვს ამ ენის

ენობრივი გამოსახულებების რედუცირებას ანუ დაყვანას ანუ თარგმნას ამავე ენის ქვეცნობიერ საფეხურზე მდგარ მათემატიკურ ენაში. - ეს ცხადია. გარდა ამისა, ასევე ცხადია, რომ უნივერსალურად შეთანხმებული მათემატიკური ენა, სხვა არაფერია თუ არა ყველა დღეს არსებული ბუნებრივი ენების ქვეცნობიერ საფეხურზე მდგარი მათემატიკური ენების სისტემური კონგლომერატი ანუ სისტემური გაერთიანება.

ამგვარად, ეს ყველაფერი, როგორც მაღალხარისხიანი ავტომატურად მთარგმნელი სისტემების, ისე ერთ ენაში ფიქრის მარეალიზებელი ინტელექტუალური სისტემების აგების მიზნის გათვალისწინებით გასაგებს ხდის სხვადასხვა ენების ქვეცნობიერ საფეხურზე მდგარი მათემატიკური ენების კონგლომერატიზაციის ანუ სისტემური გაერთიანების გზით უნივერსალურად შეთანხმებული მათემატიკური ენის ანუ, სხვა სიტყვებით, ენათაშორისი უნივერსალური მათემატიკური ენის აგების როგორც მეტად მაღალ ღირებულებასა და მნიშვნელობას, ისე სიიაფეს.

12. ჩვენეული ხედვა სემანტიკის პრობლემაზე: დღემდე სემანტიკის პრობლემა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როგორც მათემატიკური, ისე ლინგვისტური, ასევე ფილოსოფიური, აგრეთვე ტექნოლოგიური თვალსაზრისებით.

ამასთან, ზემოწარმოდგენილი ქართული ენობრივი იდეოლოგია იძლევა ამ თვალსაზრისით ახალი ხედვების ჩამოყალიბების საშუალებას. კერძოდ:

1. ქართული ენობრივი იდეოლოგიის თანახმად ნებისმიერი ბუნებრივი ენა არის ბუნებრივი სემანტიკური სისტემა და ნებისმიერი მცდელობა გაგებულ და წარმოდგენილი იქნეს ის როგორც არასემანტიკური ფორმალური თეორია არის გზა წარუმატებლობისაკენ;

2. ამავდროულად, ჩვენი მიდგომებით, ნებისმიერ ბუნებრივ ენაში სემანტიკის პრობლემა დაიყვანება გაგებადობის პრობლემაზე, რომელიც, თავის მხრივ, დაიყვანება შეკითხვაზე - რას ნიშნავს ეს (სიტყვა / ენობრივი გამოსახულება)? - სრული და ამომწურავი პასუხის გაცემის შესაძლებლობაზე;

3. ჩვენი მიდგომის თანახმად ვაცხადებთ: თუ ენები არიან პირველადი მათემატიკური ენის ზემოაღწერილი ფხაკამის ტიპის თანდათანობითი გაფართოების შედეგი, მაშინ ზემოთ დასმული სახის შეკითხვაზე არსებობს არაწინააღმდეგობრივი პასუხი ნებისმიერ ენაში.

ამგვარად, კეთდება დასკვნა იმის თაობაზე, რომ ენაში არ იქნება რაიმე სახის სემანტიკური ანუ, სხვა სიტყვებით, ენობრივი პრობლემა თუ ჩვენ სრულად გადავწყვეტთ ენის გამაფართოებელი წესების გაცნობიერების პრობლემას.

13. ზემოთ მოკლედ აღწერილი მიდგომებით ცხადი ხდება, რომ ჩვენი მოძრაობა ქართული ენისა და აზროვნების სრული მათემატიკური და ავტომატური დაფუძნებისკენ მიმართულია ქართული ენისა და აზროვნების ქვეცნობიერი ნაწილის გაცნობიერებაზე.

ანუ, სხვა სიტყვებით, ქართული ენის ქვეცნობიერი ნაწილის შემადგენლების თანდათანობითი მიგნება-გაცნობიერების გზით ჩვენ ვცდილობთ პირველადი მათემატიკური ენის შემადგენლების სრულ აღწერა-გაცნობიერებას, რაზე დაყრდნობითაც არის აგებული პირველადი მათემატიკური თეორია, რომელიც, თავის მხრივ, როგორც

პირველადი ენობრივი ცოდნა ბუნებრივი თანდაყოლილობით ჩადებულია ყველა ადამიანში.

კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ შემდეგს: აქ ჩვენ თითქმის სრულად ვემთხვევით პასკალის წინჭვრეტას ბუნებით თანდაყოლილი შინაარსის მქონე სიტყვების აუცილებელ არსებობაზე, რომელთა არ არსებობის შემთხვევაშიც, მისი აზრით, და ამ აზრს ჩვენც ვიზიარებთ, ჩვენ ვერც ამ სიტყვებსა და მათ შინაარსებს გავიგებდით და ვერც ვერცერთ სხვა ისეთ სიტყვასა და შინაარსს, რომელთაც დღეს ვგებულობთ ამ თვითგაგებადი ანუ ბუნებით თანდაყოლილი სიტყვებისა და შინაარსების მეშვეობით.

თუმცა, აქვე, ხაზს ვუსვამთ იმასაც, რომ ქვემოთ, თხრობითი კილოს ოპერატორის არსებობის დასაბუთებით ჩვენ მკაცრად ვასაბუთებთ როგორც პასკალის ამ, ისე ფოდორის იმ გენიალურ წინჭვრეტის მართებულობას, რომლითაც ის სააზროვნო ენის არსებობას ასაბუთებს. გარდა ამისა, ცხადია ისიც, რომ ჩვენი ზემოთ მოხაზული ხედვების მართებულობის შემთხვევაში მათემატიკა ბუნების, კერძოდ კი - სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ნაწილი ხდება.

14. ქართული ენის და აზროვნების სრული მათემატიკური დაფუძნების ანუ ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის შემუშავების მიზნით მიმდინარე ჩვენი კვლევების თეორიული მეთოდები ძირითადად განსაზღვრულია ზემოთ მოკლედ მიმოხილული ქართული ენობრივი იდეოლოგიით.

გარდა ამისა, ჩვენი მეთოდები ემყარება შემდეგ მარტივად გასაგებ მოსაზრებას: თუ ქართული ენა არ არის მკაცრად ანუ მათემატიკურად ორგანიზებული თეორიული სისტემა, მაშინ, ცხადია, შეუძლებელი იქნება მისი მკაცრი მათემატიკური თეორიული სისტემის სახით ორგანიზება. - ჩვენი ღრმა შინაგანი რწმენით, ქართული ენა ანუ ამ ენით ჩვენში ბუნებრივად ანუ ცნობიერად და ქვეცნობიერად არსებული ფიქრის ანუ აზროვნების მაწარმოებელი წესთა სისტემა, სწორედ ასეთია.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ჩვენი კვლევებისას ვცდილობთ მივყვეთ ჩვენში ქართული ენისა და აზროვნების ბუნებრივად არსებულ წესებსა და კანონებს და მათი ამ თავისთავადი ბუნების ზედმიწევნითი გააზრებით ვცდილობთ სრულად და ამომწურავად გავაცნობიეროთ ჩვენში ქვეცნობიერი სახით არსებული ენობრივი ცოდნა.¹¹

15. ამგვარად, ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ჩვენი კვლევის მეთოდები ძირითად ემყარება ქართული ენისა და აზროვნების ბუნებრივ თავისებურებებს.

ამასთან, ჩვენი ფორმალური მეთოდების ძირითადი ფორმალური საფუძვლებია ის ახალი ფორმალისტური შესაძლებლობები, რომლებიც შემუშავებულია შალვა ფხაკაძისეული 3 საკმარისად ზოგად მათემატიკური ენისა და აღნიშვნათა თეორიის ფარგლებში. ამავდროულად, ჩვენ ძირეულად ვეყრდნობით აგრეთვე ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერის კ. ფხაკაძისეულ

¹¹ ანუ ჩვენი შემდეგ ხედვას ვემყარებით: ყველაში ვფიქრობთ, თუმცა არცერთმა ვიცით როგორ! - ანუ, იმის გასაგებად თუ როგორ წარმოებს ჩვენში ეს ფიქრის პროცესი, საკმარისია ფიქრის ცნობიერ ნაწილთან ერთად მისი იმ ქვეცნობიერი ნაწილის გაცნობიერებაც, რომლის საფუძველზეც და რომელთანაც ერთად ჩვენ გვეძლევა რომ არ ვიცით როგორ იმ ფიქრის როგორც გვინდა ისე წარმოების უნარი.

მეთოდს. აღწერის ამ მეთოდს ვუწოდებთ პირდაპირს, რადგან აღწერის ამ მეთოდით ქართული სიტყვები აღიწერება კონტექსტისგან დამოუკიდებელი პირდაპირი მოცემულობების სახით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ მიდგომით ქართული სიტყვების აღწერისას ჩვენ არ ვიყენებთ სწორად ფორმირებულ ანუ მართებულად აგებულ ენობრივ გამოსახულებებსა და ჩორჩის λ -ოპერატორს.¹²

როგორც უკვე აღინიშნა, ქართული ბუნებრივი ენობრივი სისტემის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერის მეთოდი საშუალებას იძლევა მათემატიკურად აღვწეროთ ქართული სიტყვები ჩორჩის λ -ოპერატორის გამოყენებლად. - აქ ისმის კითხვა - რატომ არ არის ჩორჩის λ -ოპერატორი ქართული სიტყვების მათემატიკური აღწერისათვის ისე საჭირო და აუცილებელი, როგორც ეს არის ინგლისური ენის სიტყვებისათვის?

ჩვენში ქართული ენით არსებულ ენობრივ ინტუიციასზე დაყრდნობით ჩვენ ვაცხადებთ, რომ ზემოაღნიშნულის ძირითადი მიზეზია CN ტიპის ინგლისური სიტყვები, რომლებსაც სინტაქსური და სემანტიკური ფუნქციონალობის თვალსაზრისით დაუსრულებელი ენობრივი ბუნება აქვთ.

ინგლისური ენის CN ტიპის სიტყვების ეს ბუნება შეუძლებელს ხდის მათი მათემატიკური აღწერების გაკეთებას მართებულად აგებული ინგლისური ფრაზებისა და წინადადებების გარეშე, რადგან ისინი თავიანთ სინტაქსურ და სემანტიკურ მნიშვნელობებს მხოლოდ ამ მართებულად აგებულ ენობრივ გამოსახულებებსა და წინადადებებში იძენენ.¹³

ამგვარად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთადერთი გზა გაკეთდეს ფუნქტორ/არგუმენტული ანუ მათემატიკური აღწერა ინგლისური სიტყვებისა გადის ინგლისური ენის მართებულად აგებული გამოსახულებების ჩორჩისეულ λ -აბსტრაქციაზე ანუ λ -განზოგადებაზე.

ინგლისურ CN ტიპის სიტყვებს, რომლებიც თავიანთ სინტაქსურ და სემანტიკურ მნიშვნელობებს ღებულობენ იმისდამიხედვით თუ რა ადგილზე არიან განთავსებულნი მართებულად აგებულ ენობრივ გამოსახულებებში, არც აქვთ არანაირი ფუნქტორ/არგუმენტული შინაარსი ამ მართებულად აგებული ენობრივი გამოსახულებების გარეთ, რაც იმას, რომ მათი პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერა შეუძლებელია, სრულიად ცხადს ხდის!

ამავდროულად, როგორც უკვე აღინიშნა, ქართულში არ არის ინგლისურ CN ტიპის სიტყვები და, როგორც წესი, ნებისმიერი ქართული სიტყვა სრულად ხასიათდება ყოველგვარი კონტექსტისაგან დამოუკიდებელი იმ მხოლოდ მისი საკუთარი სინტაქსური და სემანტიკური მნიშვნელობით ანუ შინაარსით, რომელიც, იმისდამიხედვით, თუ რომელ გამართულად აგებულ ენობრივ გამოსახულებაშია იგი და კერძოდ რომელ ადგილზე, არ იცვლება.

¹² პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერის მეთოდი, რომლის გაძლიერებულ ფორმას ჩვენ ბუნებრივი მათემატიკური აღწერის მეთოდს ვუწოდებთ, ეყრდნობა შემამოკლებელი სიმბოლოების ფხაკადისეულ გაგებას და, ასევე, მათემატიკური სიმბოლოს ფრეგე-ფხაკადისეულ გაგებებს. - ქვემოთ მოკლედაა მიმოხილული ფხაკადისა და ფრეგეს სიმბოლოს ურთიერთკავშირები.

¹³ ამის საპირისპიროდ, ქართული სიტყვების სინტაქსური და სემანტიკური მნიშვნელობები, როგორც წესი, არაა დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ ფრაზაში და/ან წინადადებაშია იგი განთავსებული.

16. ეს ზემოთ ხაზგასმული სიღრმისეული განსხვავება ბუნებრივ ქართულ და ინგლისურ ენობრივ სისტემებს შორის უკვე ცხადად გამოიკვეთა ჩვენი კვლევების პირველ ეტაპზევე.

კვლევების ამ ეტაპზევე გამოიკვეთა მეტად მნიშვნელოვანი წინჭვრეტა ქართული სიტყვებისა და ფრეგეს მათემატიკური სიმბოლოების ზოგად ერთგვარობაზე. სწორედ ამიტომაც, კვლევების ამ პირველ ეტაპზე ჩვენ ვაცხადებდით, რომ ზოგადი თვალსაზრისით ქართული ენა და ფრეგესეული მათემატიკური ენა ერთიდაიგივე ტიპის ენებია.

შალვა ფხაკაძის აღნიშვნათა თეორიასა და N საკმარისად ზოგად მათემატიკურ ენაზე დაყრდნობილმა ჩვენმა შემდგომმა კვლევებმა გააღრმავა და დააზუსტა ჩვენი მანამდე არსებული ხედვები.

ამ ყველაფერში, გარდა ზემოაღნიშნულისა, გადამწყვეტი როლი ითამაშა აგრეთვე ქართული სახელებისა და სახელური ფრაზების შეზღუდულ მათემატიკურ ცვლადებად და/ან კონსტანტებად გადააზრების მაშინ უკვე დასაბუთებულმა ხედვებმა.¹⁴ - ქართლი ენის ეს აქ გამოთქმული ერთ-ერთი ბუნებრივი მახასიათებელი ნიშანი ამავდროულად არის არაუმნიშვნელო არგუმენტი ზემოთ უკვე გაცხადებული ქართული ენის თეზისების მართებულობისა.

ამავდროულად, ქართული ენის სახელებისა და სახელური ფრაზების ამ აქ უკვე ხაზგასმულ აზროვნებით ბუნებაზე დაყრდნობით ჩვენ ვაკეთებთ შემდეგ ასევე მეტად მნიშვნელოვან განაცხადს: მათემატიკური ცვლადები და კონსტანტები არ არიან წმინდა ანუ ხელოვნური მათემატიკური იდეები, არამედ ქართული სახელებისა და სახელური ფრაზების სახით ისინი ბუნებრივად არიან წარმოდგენილი ქართულ ენასა და აზროვნებაში. - ეს გვიბიძგებს იქითკენ, რომ ცვლადები და კონსტანტები, როგორც ბუნებრივად არსებულნი, პირველადი მათემატიკური კონცეპტების შემადგენლებად მივიჩნიოთ.

17. რამდენადაც ჩვენი ფორმალური მეთოდები ძირითადად ეყრდნობა შალვა ფხაკაძის ფორმალურ მიდგომებს, ქვემოთ ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ მათემატიკური სიმბოლოს იმ მისეულ გააზრებას,¹⁵ რასაც ძირეულადვე ეყრდნობა მისივე N საკმარისად ზოგად მათემატიკური ენა და აღნიშვნათა თეორია.

¹⁴ აქ ხაზი ესმება ჩვენი კვლევების პირველი ეტაპის ერთ-ერთ სასაფუძვლო შედეგს. კერძოდ, პირველად, 2001 წელს, თბილისის მეოთხე საერთაშორისო კონფერენციაზე „ლოგიკა, ენა და გამოთვლები“, გაკეთდა განაცხადი იმის თაობაზე, რომ მათემატიკური ცვლადი/კონსტანტა არ არის ხელოვნური მათემატიკური იდეა, რადგან ქართულ ენაში ისინი წარმოდგენილი არიან სახელებით და სახელური ფრაზებით. მაშინ, ჩვენი ეს განაცხადი შეფასდა როგორც „ახალი მნიშვნელოვანი წინჭვრეტა ლოგიკაში“. თუმცა ითქვა ისიც, რომ „საჭიროა წარმოდგენილ იქნას ხედვის მამტიკიცებელი ენობრივი მასალა“. არადა, ნებისმიერისთვის, ვისაც აქვს ქართული ენის ბუნებრივი ცოდნა და აგრეთვე გააზრებული აქვს მათემატიკური ცვლადისა და კონსტანტის ცნებები, ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულში ცხადი და უდაო ჭეშმარიტებაა. - ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ის სიღრმისეული ბუნებრივი კანონები, რომლებიც ბუნებრივი ქართული ენით ბუნებრივადვე არსებობენ ჩვენში ანუ ქართულში, არ არის ადვილად გასაგები და გასააზრებელი მათთვის, ვისაც არ აქვს შინაგანი ცოდნა ქართული ენის ამ თავისთავადი აზროვნებითი ბუნებისა!

¹⁵ ქვემოთ ვნახავთ, რომ შალვა ფხაკაძის მათემატიკური სიმბოლო, რომელიც ცხადია მათემატიკური სიმბოლოს მინამდელ ფრეგესეულ გააზრებას ემყარება, ფრეგეს სიმბოლოს ამოსავალი მოცემულობებიდან

ფრეგესული მათემატიკური სიმბოლო არის ოპერატორი და ის ხასიათდება ადგილიანობით, რომელიც მოიცემა n ($n \in \{1, 2, \dots\}$) ნატურალური რიცხვით, მაშინ როდესაც ფხაკადის მათემატიკური სიმბოლო ოპერატორული ნიშანია და ის ხასიათდება წონით, რომელიც მოიცემა ნატურალური რიცხვების (m, n) წყვილით ($m, n \in \{1, 2, \dots\}$), სადაც თუ $n=0$, მაშინ $m=0$.

ის, რომ σ არის ფრეგეს n -ადგილიანი მათემატიკური სიმბოლო, აღინიშნება σ^n -ით. ამასთან, ასეთი σ^n იწოდება n -ადგილიან ოპერატორად. ის, რომ σ არის ფხაკადის (m, n) წონის მათემატიკური სიმბოლო, აღინიშნება $\sigma^{(m, n)}$ -ით. ამასთან, ასეთი $\sigma^{(m, n)}$ იწოდება m -არულ n -ადგილიან ოპერატორულ-ნიშნად ანუ (m, n) წონის ოპერატორულ ნიშნად.

ამგვარად, ძირითადი პრინციპული განსხვავება ფრეგესა და ფხაკადის მათემატიკურ სიმბოლოებს შორის ისაა, რომ პირველი მათგანი ოპერატორია, მეორე კი - ოპერატორული ნიშანი. - ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ეს მართლაც ძირეული პრინციპული განსხვავებაა.¹⁶

ოპერატორული ნიშნები მათი წონებისდამიხედვით ბუნებრივად იყოფა შემდეგ სამ განსხვავებულ კლასად: 1. $m=0$ და $n=0$; 2. $m=0$ და $n>0$; 3. $m>0$ და $n>0$. - განვიხილოთ თითოეული ეს კლასი დეტალურად:

1. თუ $m=0$ და $n=0$, მაშინ $\sigma^{(0, 0)}$ იწოდება 0-არულ 0-ადგილიან ოპერატორულ ნიშნად. ამ ტიპის სიმბოლოები არის როგორც ფრეგეს, ისე ფხაკადის მათემატიკურ ენებში. ზოგჯერ ამ სიმბოლოებს არაოპერატორულ სიმბოლოებს ვუწოდებთ. ნებისმიერი არაოპერატორული სიმბოლო არის ან e ან t ტიპის ასო ანუ ან ცვლადი ან კონსტანტა.

2. თუ $m=0$ და $n>0$, მაშინ $\sigma^{(0, n)}$ იწოდება 0-არულ n -ადგილიან ოპერატორულ ნიშნად. ზოგჯერ, 0-არული n -ადგილიანი ოპერატორული ნიშანი იწოდება როგორც (მარტივი) n -ადგილიანი ოპერატორი. ასეთ შემთხვევებში, ჩვენ ნაცვლად $\sigma^{(0, n)}$ აღნიშვნისა ზოგჯერ ვიყენებთ ხოლმე σ^n აღნიშვნასაც.

σ^n ოპერატორის ტიპობრივი მახასიათებელი არის ან $((\alpha)_n, e)$ ან $((\alpha)_n, t)$ სახის დალაგებული წყვილი, სადაც $(\alpha)_n = (\alpha_1, \dots, \alpha_n)$ (აქ ნებისმიერი k -სთვის ($1 \leq k \leq n$), $\alpha_k \in \{e, t\}$). σ^n ოპერატორის ტიპობრივი მახასიათებლის პირველი (მეორე) კომპონენტი იწოდება როგორც ადგილთა ტიპის (მნიშვნელობის ტიპის) მაჩვენებელი. σ^n ოპერატორი არის სუბსტანტიური (რელაციური), თუ მისი მნიშვნელობათა ტიპის მაჩვენებელია e (t). σ^n ოპერატორის k -ური ადგილის ტიპის მაჩვენებელი არის σ^n ოპერატორის ადგილთა ტიპის მაჩვენებლის k -ური ელემენტი. ამასთან, σ^n სპეციალური (ლოგიკური) ოპერატორია, თუ მისი ნებისმიერი k -ური ადგილის ტიპის მაჩვენებელია e (t). ჩვენთვის, ფრეგეს ოპერატორი არის ზოგადი სახელი ლოგიკური და სპეციალური ოპერატორებისა. σ^n ლოგიკო-სპეციალური ოპერატორია, თუ ის არ არის ფრეგეს ოპერატორი. ასეთ ოპერატორებს ფხაკადის ოპერატორებსაც ვუწოდებთ ხოლმე.

არაგანსაზღვრებადი და, ამდენად, მისგან არაგენერირებადი ანუ ძირეულადვე ახალი - პრინციპულად განსხვავებული განზოგადებაა.

¹⁶ აქ t და e მონტეგიუს ძირითადი ტიპებია.

ზოგჯერ, σ^n ოპერატორის ადგილთა ტიპის მაჩვენებელი მოიცემა e^e/t^t სახის გამოსახულებით, სადაც $e^e \cap t^t = \emptyset$ და $e^e \cup t^t = \{1,2,\dots,n\}$. ეს გულისხმობს, რომ თუ σ^n ოპერატორის k -ური ადგილის ტიპის მაჩვენებელია e , შესაბამისად t , მაშინ k ეკუთვნის e^e , შესაბამისად t^t , სიმრავლეს. აქედან გამომდინარე, ამ აქ განსაზღვრული მიდგომით, მარტივ გასაგებია, რომ σ^n სპეციალური (ლოგიკური) ოპერატორის ადგილთა ტიპის მახასიათებელია $\{1, 2, \dots, n\}/\emptyset$ ($\emptyset/\{1, 2, \dots, n\}$). ამასთან, შევთანხმდეთ, რომ ქვემოთ e^n (t^n) არის მოკლე აღნიშვნა აქ განსაზღვრული $\{1, 2, \dots, n\}/\emptyset$ ($\emptyset/\{1, 2, \dots, n\}$) გამოსახულებებისა.

ახლა უკვე ჩვენ მზად ვართ დავაკლასიფიციროთ შალვა ფხაკაძის მარტივი ოპერატორული ნიშნები ანუ ოპერატორები. კერძოდ, აქ გამოიყოფა შემდეგი ექვსი განსხვავებული ტიპი. ესენია:

1. $e^n \rightarrow e$ ტიპის ანუ n -ადგილიანი სპეციალური სუბსტანციური ოპერატორი;
2. $e^n \rightarrow t$ ტიპის ანუ n -ადგილიანი სპეციალური რელაციური ოპერატორი;
3. $t^n \rightarrow e$ ტიპის ანუ n -ადგილიანი ლოგიკური სუბსტანციური ოპერატორი;
4. $t^n \rightarrow t$ ტიპის ანუ n -ადგილიანი ლოგიკური რელაციური ოპერატორი;
5. $e^e/t^t \rightarrow e$ ტიპის ანუ n -ადგილიანი ლოგიკო-სპეციალური სუბსტანციური ოპერატორი;
6. $e^e/t^t \rightarrow t$ ტიპის ანუ n -ადგილიანი ლოგიკო-სპეციალური რელაციური ოპერატორი.

3. თუ $m > 0$ და $n > 0$, მაშინ $\sigma^{(m, n)}$ იწოდება როგორც m -არული n -ადგილიანი ოპერატორული ნიშანი, მოკლედ m -არული ოპერატორული ნიშანი. თუ $\sigma^{(m, n)}$ არის m -არული n -ადგილიანი ოპერატორული ნიშანი და v_1, \dots, v_m ოპერატორული ასოებია, მაშინ $\sigma^{(m, n)}v_1 \dots v_m$ იწოდება როგორც n -ადგილიანი შედგენილი ანუ რთული ოპერატორი. $\sigma^{(m, n)}$ ოპერატორული ნიშნის ბმულობის მაჩვენებელი არის $\{1, 2, \dots, n\}$ სიმრავლის $\{k_1, k_2, \dots, k_j\}$ არაცარიელი ქვესიმრავლე. ამასთან, $\sigma^{(m, n)}$ იწოდება როგორც სრული (ნაწილობრივი) ოპერატორული ნიშანი, თუ მისი ბმულობის მაჩვენებელი $\{k_1, k_2, \dots, k_j\} = \{1, 2, \dots, n\}$ ($\{k_1, k_2, \dots, k_j\} \subset \{1, 2, \dots, n\}$). თუ $\sigma^{(m, n)}$ არის სრული ოპერატორული ნიშანი, მაშინ $\sigma^{(m, n)}v_1 \dots v_m$ როგორც შედგენილი n -ადგილიანი ოპერატორი აბამს v_1, \dots, v_m ოპერატორული ასოების ყველა თავისუფალ შემოსვლას მის ყველა ოპერანდში და მეტს არაფერს. თუ $\sigma^{(m, n)}$ არის არასრული ანუ ნაწილობრივი ოპერატორული ნიშანი $\{k_1, k_2, \dots, k_j\}$ ბმულობის მაჩვენებლით, მაშინ $\sigma^{(m, n)}v_1 \dots v_m$ როგორც შედგენილი n -ადგილიანი ოპერატორი აბამს v_1, \dots, v_m ოპერატორული ასოების ყველა თავისუფალ შემოსვლას მხოლოდ k_1, k_2, \dots, k_j ადგილებზე განთავსებულ ოპერანდებში. დაბოლოს, ნებისმიერი შედგენილი n -ადგილიანი ოპერატორი, ისევე როგორც n -ადგილიანი მარტივი ოპერატორი, არის ერთ-ერთი ტიპისა ზემოაღწერილი ექვსი ტიპიდან.

18. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ფხაკაძის მათემატიკური ენის ზემოაღწერილი ექვსი ტიპის მარტივი ოპერატორებიდან მხოლოდ ოთხია ფრეგეს მათემატიკურ ენაში.

იმის გამო, რომ ის ორი ტიპის მარტივი ოპერატორი, რომლებსაც ფხაკაძის ოპერატორები ვუწოდეთ და რომლებიც არ არიან ფრეგესეულ მათემატიკურ ენებში, შეიძლება წარმოებულ იქნეს ფრეგეს ოპერატორებიდან e და t ტიპებზე დამყარებული

კატეგორიული მიდგომებით, ჩვენ არ განვიხილავთ მათ ფხაკადისა და ფრეგეს მათემატიკური ენების პრინციპულად ანუ არსებითად წყალგამყოფ ხაზებად.

თუმცა, სრულიად ცხადია ის, რომ იმავე კატეგორიული მიდგომებით შეუძლებელია ფრეგეს მარტივი ოპერატორებისაგან ფხაკადის (m, n) წონის შედგენილი ანუ რთული ოპერატორული ნიშნებისა და ოპერატორების წარმოება. - ეს ცალსახად ამტკიცებს, რომ შალვა ფხაკადის ოპერატორული ნიშანი ის ძირეულად ახალი ენობრივი იდეა, რაც უკვე პრინციპულად ანუ არსებითად განასხვავებს ერთმანეთისაგან ფრეგესა და ფხაკადის მათემატიკურ ენებს.

19. წმინდა მათემატიკური თვალსაზრისებით ფხაკადის ფორმალური მიდგომების მაღალი მნიშვნელობები კარგად არის ცნობილი, თუმცა ყველა ის ახალი ფორმალური შესაძლებლობები, რომლებსაც ეს ჯერ ისევ ახალი ფორმალური მიდგომები იძლევა, ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გააზრებული! - ამგვარად, ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის შემუშავების მიზნით წარმოებული კვლევების შედეგების გათვალისწინებით ვაცხადებთ:

1. ზემოჩამოთვლილი ფხაკადის ოპერატორული ნიშნებიდან მხოლოდ პირველი ოთხი ტიპის ანუ მხოლოდ მარტივი 0-არული ოპერატორული ნიშნები არის ფრეგეს მათემატიკურ ენაში. არადა ქართული ენისა და აზროვნების სრული მათემატიკური აღწერა ითხოვს ყველა ამ ზემოაღწერილ სახის ოპერატორულ ნიშნებს. ამავდროულად, ჩვენი კვლევებით უკვე საკმარისი სიმკაცრით საბუთდება, რომ ძირეული სახით ქართულ ენაში მხოლოდ ეს ექვსი განსხვავებული ტიპის ოპერატორია. - ეს კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია:

1.1. ამ მიდგომებით ლინგვისტური კვლევების წარმოების პროდუქტულობისა;

1.2. ზემოთ უკვე გაცხადებული ქართული ენის თეზისების მართებულობისა.

2. ის, რომ ქართული სახელები და სახელური ფრაზები ბუნებრივად გაგებულია როგორც შეზღუდული ცვლადები ან/და კონსტანტები, რომელთა განსაზღვრის არეა ამავე სახელებითა და სახელური ფრაზებით ქართულ აზროვნებაში ბუნებრივადვე მოცემული სიმრავლეები, უზრუნველყოფს იმას, რომ ქართულ ენაში კვანტორული სიტყვების ფხაკადისეულ ოპერატორულ ნიშნებად გაგება თითქმის სრულ თანმთხვევაშია ქართულ აზროვნებაში მათ ბუნებრივ შინაარსულ გაგებებთან. - ეს კიდევ ერთი ცხადი დამატებითი არგუმენტია:

2.2. ამ მიდგომებით ლინგვისტური კვლევების წარმოების პროდუქტულობისა;

2.3. ზემოთ უკვე გაცხადებული ქართული ენის თეზისების მართებულობისა.

3. უფრო მეტიც, მას შემდეგ რაც ქართული ენა და აზროვნება გადააზრდა როგორც ქართული სააზროვნო, სამეტყველო და სამწერლობო ენების სისტემური ერთმთლიანობა ანუ როგორც ქართული ცნობიერი და ქვეცნობიერი ენობრივი ცოდნების ინტერაქცია, დამტკიცდა აგრეთვე ის,¹⁷ რომ ქართული სამეტყველო და სამწერლობო ენების თითქმის ნებისმიერი სიტყვა ზოგადი სახით არის ქართულ სააზროვნო ენაში განსაზღვრებადი ფხაკადის შემამოკლებელი სიმბოლოს ტიპის სიმბოლო. - ამგვარად:

¹⁷ ამ აქ აღნიშნულის მტკიცებულობა იხილეთ ქვემოთ.

- 3.1. ყველაფერი ეს საკმარისი სიცხადით ასაბუთებს ქართული ენის კერძო თეზისის მართებულებას;
- 3.2. ყველაფერი ეს საკმარისი სიცხადით ასაბუთებს ჩვენი მიზნებისათვის ანუ ქართული ენის სრული და ამომწურავი შესწავლის მიზნებისათვის შალვა ფხაკაძის აღნიშვნათა თეორიისა და Σ საკმარისად ზოგადი მათემატიკური ენის განსაკუთრები მაღალ პროდუქტულობასა და სავარაუდო უალტერნატიობას;
- 3.3. ყველაფერი ეს საკმარისი სიცხადით ასაბუთებს ზოგადი ხასიათის ლინგვისტურ კვლევებში შალვა ფხაკაძის აღნიშვნათა თეორიისა და Σ საკმარისად ზოგადი მათემატიკური ენის მაღალ პროდუქტულობას.

20. იმ მიზნით, რომ ზემოთ წარმოდგენილი მეთოდური ხასიათის ხედვები უფრო სარწმუნო გავხადოთ და, ასევე, იმ მიზნითაც, რომ გავაშუქოთ ჩვენი მეთოდური მიდგომების რიგი თეორიული საყრდენები ქვემოთ, მოკლედ მიმოვიხილავთ ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის რიგ ჩვენთვის სასაფუძვლო საკითხს:

1. მოკლედ ქართული სახელების სიმრავლურ-თეორიულ ბუნებაზე: ქართულში მარტივი სახელი გაიგება ან როგორც სიმრავლე, რომელიც ბუნებრივად ისაზღვრება აზროვნებაში ამავე სახელით, ან როგორც ცვლადი ან/და კონსტანტა, რომლის განსაზღვრის არეა ეს ზემოაღნიშნული ანუ აზროვნებაში ამავე სახელით ბუნებრივად მოცემული სიმრავლე. მაგალითად:

1. წინადადებაში 'ის არის ადამიანი = he/she is a human', სახელი 'ადამიანი \approx human'¹⁸ გაგებულია როგორც ყველა ადამიანების სიმრავლე. ამ სიმრავლეს ჩვენ '{ადამიანი}={human}' გამოსახულებით აღვნიშნავთ.¹⁹

2. წინადადებაში 'ადამიანი მოკვდავია \approx human is mortal', სიტყვა 'ადამიანი \approx human' გაგებულია '{ადამიანი}={human}' სიმრავლეზე განსაზღვრული ცვლადი. - ეს აშკარად დასტურდება იმით, რომ წინადადებებს 'ადამიანი მოკვდავია \approx human is mortal' და 'ყველა ადამიანი მოკვდავია \approx all humans are mortal' ერთი და იგივე შინაარსი აქვთ.²⁰

3. წინადადებაში 'ადამიანი მოკვდა \approx human died', სიტყვა 'ადამიანი \approx human' გაგებულია '{ადამიანი}={human}' სიმრავლეზე განსაზღვრული კონსტანტა. - ეს აშკარად

¹⁸ ნიშანი '≈' გვანიშნებს იმ ცხად ფაქტზე, რომ 'human' და 'ადამიანი' სიტყვების ლექსიკური „იგივეობიდან“ არ გამომდინარეობს ამ სიტყვების იგივეობა ქართულ და ინგლისურ სააზროვნო თეორიებში.

¹⁹ გამოსახულებას {ადამიანი} ჩვენ ვიყენებთ ყველა ადამიანებისგან შემდგარი ძირეული ანუ არაგანსაზღვრებადი სიმრავლის აღსანიშნად.

ანუ, თუ სიტყვა ენაში ძირეულია, მაშინ ამ ენაში მისი მნიშვნელობა შეუძლებელია განსაზღვრულ იქნეს ენის სხვა სიტყვების მეშვეობით. შესაბამისად, ასეთი სიტყვებით აზროვნებაში მოცემული სიმრავლეების განსაზღვრა ან წევრების ან განმსაზღვრელი თვისების დასახელებით ან რაიმე სახის რეკურსული განსაზღვრებით აზრს მოკლებულია. - აქ დაახლოებით იგივე ვითარებაა, რაც ევკლიდეს გეომეტრიაშია ძირითადი ცნებებისათვის.

²⁰ ეს იმით იხსნება, რომ თავისუფალი ცვლადის განზოგადებით ანუ კვანტიფიცირებით შინაარსულად ისედაც განზოგადებული ანუ კვანტიფიცირებული მოცემულობა შინაარსულად არ შეიცვალა.

დასტურდება წინადადებების 'ადამიანი მოკვდა ≈ human died' და 'ყველა ადამიანი მოკვდა ≈ all humans died' ჩვენთვის გასაგები და ერთმანეთისგან განსხვავებული შინაარსებით.²¹

ამგვარად, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ შემდეგს: მათემატიკური ცვლადები, კონსტანტები და სიმრავლეები არ არიან წმინდა მათემატიკური ანუ ხელოვნური იდეები! - ეს საბუთდება იმით, რომ ისინი ბუნებრივად არიან წარმოდგენილი ქართული სახელური ფრაზებით ბუნებრივ ქართულ ენასა და აზროვნებაში.²²

2. მოკლედ მორფემებისა და ქართული ზედსართავების სიმრავლურ-თეორიულ ბუნებაზე: დღეს არსებული ხედვების თანახმად, მორფემები არიან ან დერივაციული ან ფლექსიური. ამასთან:

1. ფლექსიური მორფემები მოქმედებენ სიტყვებზე (ძირებზე) და მოქმედების შედეგად იძლევიან იგივე ლექსიკური და განსხვავებული გრამატიკული შინაარსის მქონე სიტყვებს.

2. დერივაციული მორფემები მოქმედებენ სიტყვებზე (ძირებზე) და მოქმედების შედეგად იძლევიან ან იმავე ან სხვა მეტყველების ნაწილის შემადგენელ ახალ სიტყვებს - ახალ ლექსიკურ შინაარსებს.

ჩვენი კვლევებით საბუთდება, რომ მორფემების ეს კლასიფიკაცია არასრულია. მაგალითად: სიტყვა 'წითელ ≈ ts'itel ≈ (red)' არის A ტიპის სიტყვა ანუ როგორც მეტყველების ნაწილი არის ზედსართავი, მაშინ როდესაც სიტყვა 'წითელს ≈ ts'itel-s ≈ (red_ in Ns case (i.e. in DAT case))' ამოკლებს სახელურ ფრაზას 'წითელ Ns ≈ ts'itel Ns ≈ (the / a red N)', რომელიც, და ეს სრულიად ცხადია, არ არის ახალი გრამატიკული ფორმა 'წითელ ≈ ts'itel ≈ (red)' ზედსართავისა და, აგრეთვე, როგორც ზედსართავული სახელური ფრაზა ის არ მიეკუთვნება და არც შეიძლება მიეკუთვნებოდეს თუნდაც რომელიმე მეტყველების ნაწილს.

ამგვარად, ჩვენ დავასაბუთეთ, მარჯვნივ 1-ადგილიანი მორფემა '(-1)ს' სიტყვაში '(წითელ)ს'²³ არც დერივაციულია და არც ფლექსიური. - ამ ახალი ტიპის მორფემებს ჩვენ ვუწოდებთ შემამოკლებელ მორფემებს, რადგან, როგორც უკვე ვნახეთ, სიტყვა 'წითელს' ამოკლებს 'წითელ Ns ≈ ts'itel Ns ≈ (the / a red N)'. კერძოდ, ჩვენ ვამბობთ, რომ სიტყვა 'წითელს' არის შიდაენობრივი შემამოკლებელი სიტყვა, რადგან მის მიერ შემოკლებული შინაარსი თითქმის სრულად ისაზღვრება ქართული ენიდან ანუ ქართული ცნობიერი ენიდან გასვლის გარეშე ანუ თავადვე ქართული ცნობიერი ენობრივი საშუალებებით.

ჩვენი კვლევებით საბუთდება, რომ ქართული ენის სიტყვების არამცირე ნაწილი სწორედ ასეთი შიდაენობრივი შემამოკლებელი სიტყვაა. მართლაც, 'წითელია ≈ ts'itelia ≈ is

²¹ ეს იმით იხსნება, რომ არასაკუთრივი კონსტანტის განზოგადებით ანუ კვანტიფიცირებით შინაარსულად ერთ ადამიანზე მიმართული მოცემულობა სრულად განზოგადდა ადამიანთა სიმრავლეზე.

²² ქართულ სახელებზე ეს აქ გაშუქებული ხედვა 2001 წელს დარგის ექსპერტების მიერ შეფასდა როგორც ახალი ხედვა ლოგიკაში, რადგან ამ განცხადებამდე ცვლადები და კონსტანტები გაიგებოდა მხოლოდ როგორც ხელოვნური მათემატიკური კონცეპტები.

²³ აქ, '(წითელ)ს = (ts'itel)s' არის 'წითელს = ts'itels' სიტყვის მორფოლოგიური ფორმა.

red' ზმნის მსგავსი ქართული ზმნები ასეთივე სახის შიდაენობრივი შემამოკლებელი სიტყვებია.²⁴

გარდა ამისა, ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის თანახმად, მარტივი ქართული ზედსართავები შემამოკლებელი სიტყვებია. მაგალითად, 'წითელი(-ი)' არის მარჯვნივ 1-ადგილიანი ოპერატორი და ის ამოკლებს '{წითელი}ᵣ_1' ენობრივ-მათემატიკურ გამოსახულებას, რომელიც აგებულია {წითელი}²⁵ სიმრავლითა და ჩვენთან (L₁ᵣ_2) სიმბოლოთი აღნიშნული თანაკვეთის ორადგილიანი, კერძოდ კი - მარჯვნივ და მარცხნივ 1-ადგილიანი სიმრავლური ოპერაციით.

ამგვარად, ამით საბუთდება, რომ 'წითელი' როგორც ზედსართავი ასევე შემამოკლებელი სიტყვაა. ასეთ შემამოკლებელ სიტყვებს ჩვენ ზოგჯერ - გარე ენობრივ, ზოგჯერ - ღრმა ენობრივ შემამოკლებელ სიტყვებს ვუწოდებთ, რადგან მათ მიერ შემოკლებული შინაარსების განსასაზღვრავად ჩვენ გვიწევს ენიდან ანუ, ჩვენი ტერმინოლოგიით, ცნობიერი ენიდან გასვლა და ქვეცნობიერი ენობრივი მონაცემების გამოყენება.

3. თხრობითი წინადადებების ლოგიკური ოპერატორი როგორც კიდევ ერთი ცხადი დასტური ჩვენი ზემოთ წარმოდგენილი ახალი ხედვების მართებულობისა: ქვემოთ თხრობითი წინადადებების ლოგიკური ოპერატორის არსებობის მკაცრი მათემატიკური ანუ ლოგიკური დასაბუთებით აგრეთვე საბუთდება ის, რომ ქართული თხრობითი კილოს ზმნები და წინადადებები გარე ენობრივი ანუ ღრმა ენობრივი შემამოკლებელი სიმბოლოებია, რაც, ცხადია, ზემოგამოთქმული ახალი ენობრივი ხედვების მართებულობის მასაბუთებელი კიდევ ერთი მეტად მყარი არგუმენტია. - მივყვეთ თანმიმდევრულად.

კლასიკური მიდგომებით „თხრობითია წინადადება, რომელიც გადმოგვცემს რაიმე ცნობას ამ თუ იმ ფაქტის ან მოვლენის შესახებ, ადასტურებს რასმეს ან უარყოფს“²⁶ – ეს განსაზღვრება ჩვენთვის მისაღებიცაა გასაგებიც, მაგრამ ჩვენ ამაზე არ ვჩერდებით.

კერძოდ, კ. ფხაკაძემ [120]-ში კითხვა შემდეგნაირად დააყენა: როგორ ახერხებს თხრობითი წინადადება რაიმე ცნობის ანუ შეტყობინების გადმოცემას? - ანუ, როგორ ახერხებს იგი ამ რაიმე ფაქტის ან მოვლენის ან დადასტურებას, ან უარყოფას?

ამ მიზნით განვიხილოთ წინადადებები (1) 'წვიმს.' და (2) 'არ წვიმს.' - და დავსვათ კითხვა: რა შეტყობინებას იძლევა ეს წინადადებები და როგორ? - ცხადია, რომ:

1. თუ (1) წინადადებას ჭეშმარიტად ჩავთვლით, მაშინ ჩვენ ამ წინადადებით იგივე შეტყობინება გვეწოდება, რაც (2) წინადადების მცდარად ჩათვლის შემთხვევაში მოგვეწოდებოდა;

2. თუ (1) წინადადებას მცდარად ჩავთვლით, მაშინ ჩვენ ამ წინადადებით იგივე შეტყობინება გვეწოდება, რაც (2) წინადადების ჭეშმარიტად ჩათვლის შემთხვევაში მოგვეწოდებოდა;

²⁴ ჩვენი ხედვით, ინგლისურ ენაში ასეთი ანუ შიდა ენობრივი შემამოკლებელი სიტყვების მაგალითებია "it's, don't, can't, won't".

²⁵ გამოსახულებას {წითელი} ჩვენ ვიყენებთ ყველა ადამიანებისგან შემდგარი ძირეული ანუ არაგანსაზღვრებადი სიმრავლის აღსანიშნად, რომელიც ქართულ აზროვნებაში ამავე სიტყვით მოიცემა.

²⁶ იხილეთ: აკაკი შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თსუ, 1953.

3. თუ ჩვენ არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს (1)/(2) წინადადების ჭეშმარიტობა - მცდარობის თაობაზე, მაშინ, ცხადია, (1)/(2) წინადადები ჩვენ არანაირ ინფორმაციას არ გვაწვდიან.

ამგვარად, მსმენელი პირისთვის წინადადება მხოლოდ იმ შემთხვევაშია თხრობითი ანუ იძლევა შეტყობინებას რაიმეს შესახებ, თუ იგი ამ წინადადებასთან ერთად იღებს მონაცემს იმის შესახებაც გამოითქვა ის როგორც ჭეშმარიტი, თუ როგორც მცდარი მოცემულობა.

ანუ, წინადადებას, რომელიც გამოითქვა, თუ გამოთქმისთანავე არ ახლავს მოცემულობა იმის თაობაზე გამოითქვა ის როგორც ჭეშმარიტი, თუ როგორც მცდარი მოცემულობა, მაშინ ის არის არა რაიმე შეტყობინების მატარებელი მოცემულობა ანუ არა რაიმე წინადადება, არამედ უბრალოდ ხმა ანდა ხმაური. - ახლა უკვე სრულიად ცხადი უნდა იყოს ისიც, რომ თუ მეტყველი პირი მის მიერ ე.წ. თხრობითი კილოთი გამოთქმულ წინადადებას განუყოფელი ანუ თანრთული მოცემულობის სახით არ აყოლებს შეტყობინებას იმის თაობაზე, თუ ამ მის მიერ გამოთქმულ წინადადებას იგი გამოთქვამს როგორც ჭეშმარიტ თუ როგორც მცდარ მოცემულობას, მაშინ მან რაღაცა კი თქვა, მაგრამ რაც მან თქვა, როგორც მისთვის, ასევე მსმენელისთვის არ შეიძლება იყოს რაიმეზე რაიმეს ან დადასტურების ან უარყოფის ანუ რაიმე ცოდნის ანუ შეტყობინების ანუ რაიმე შინაარსის მატარებელი მოცემულობა ანუ თხრობითი წინადადება.

ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა გვაქვს ჩვენ ეს გაცნობიერებული თუ არა (1) და (2) თხრობითი წინადადებებს აზრით საფეხურზე აქვს [- = t] ოპერატორით აგებული შემდეგი ფორმა: (3) [წვიმს = t] (4) [არ წვიმს = t]. - აქ [- = t] ოპერატორი, რომლის დახმარებითაცაა აგებული (3) / (4) ფორმები, მსმენელს აძლევს ქვეცნობიერ გაგებას იმისა, რომ (1) / (2) გამოითქვა როგორც ჭეშმარიტი მოცემულობები. - ანუ, ამით, ჩვენ უკვე დავასაბუთეთ, რომ იმ [- = t] ოპერატორის ქვეცნობიერი არსებობის გარეშე, რომელსაც ჩვენ თხრობითი წინადადებების ლოგიკური ოპერატორი ვუწოდებთ, შეუძლებელია თუნდაც რაიმე სახის თხრობითი წინადადების - შეტყობინების გამოთქმა. ანუ, კ. ფხაკაძის ქართული ენის ლოგიკური გრამატიკით სრული სიმკაცრით საბუთდება, რომ:

1. თხრობითი კილოს ოპერატორი არის პირველადი მათემატიკური კონცეპტი და, ამდენად, ის პირველადი მათემატიკური თეორიის შემადგენელია;

2. ქართული თხრობითი კილოს წინადადებები გარე ენობრივი შემამოკლებელი სიმბოლოებია;

3. ქართული თხრობითი კილოს ზმნები, რომლებიც ქართულ ენაში ამავდროულად თხრობით წინადადებებსაც იძლევიან, გარეენობრივი შემამოკლებელი სიტყვებია.

21. ამგვარად, ახლა უკვე, ნაშრომის ამ ნაწილის დასასრულს, შეჯამების მიზნით, მოკლედ წარმოვადგენთ ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის ჩვენთვის მეთოდური მნიშვნელობის მქონე მთავარ თეორიულ შედეგებს:

1. ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის ჩვენთვის მეთოდური მნიშვნელობის ერთ-ერთი მთავარი შედეგია ბუნებრივ ენებში და, შესაბამისად, ადამიანებში თხრობითი წინადადებების ლოგიკური ოპერატორის ანუ, როგორც ჩვენ მას ზოგჯერ ვუწოდებთ, კ.

ფხაკადის თხრობითი კილოს ოპერატორის უნივერსალური ანუ საყოველთაო ქვეცნობიერი არსებობის დასაბუთება.

მართლაც, როგორც უკვე ვნახეთ, კ. ფხაკადის თხრობითი კილოს ოპერატორი, რომელსაც ჩვენ ზოგჯერ [S := t] გამოსახულებითაც აღვნიშნავთ, უნდა იყოს ნებისმიერ ენაში. თუმცა, ცხადი სახით ის არ არის არცერთში. ეს ამტკიცებს იმას, რომ ნებისმიერი ენის ქვეცნობიერ საფეხურზე არის ენა, რომელშიც ეს ოპერატორი ცხადი სახითაა. ამ ენას ჩვენ ზოგჯერ ბუნებრივ სააზროვნო ენას, ზოგჯერ კი - ბუნებრივ მათემატიკურ ენას ვუწოდებთ.²⁷

2. ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის კიდევ ერთი მთავარი შედეგია მტკიცება იმისა, რომ ქართული ენის ძირეული ნაწილი არის მის ქვეცნობიერ საფეხურზე მდგარი ფხაკადის ტიპის პირველი რიგის შეზღუდულკვანტორებიანი \exists საკმარისად ზოგადი მათემატიკური თეორიის მორფოლოგიური გაფართოება.²⁸

ამგვარად, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ქართული ენის ძირეული ნაწილი არის მორფოლოგიური ტიპის მათემატიკური თეორია, რომელსაც აქვს თავის საკუთარი სინტაქსური, ლოგიკური და სემანტიკური აქსიომათა სისტემა, თავისი საკუთარი გამოყვანის წესები და, ასევე, თავისი საკუთარი მთარგმნელი წესები, რომელთა დახმარებით ქართული ენის ძირეული ნაწილის ნებისმიერი მართებულად აგებული ენობრივი გამოსახულება შეიძლება გადაითარგმნოს ანუ გადაიწეროს ქვეცნობიერი საფეხურის ბუნებრივ ქართულ მათემატიკურ ენაში.

3. ქართული სამეტყველო ენის ანბანი როგორც ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის კიდევ ერთი მთავარი შედეგი: სამეტყველო ენის განუყოფელ ანუ არადაშლად ანუ მარტივ სამეტყველო ხმას ამ სამეტყველო ენის სამეტყველო ერთეულს ვუწოდებთ. ამასთან, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ნებისმიერი სამეტყველო ენის ანბანი უნდა შედგებოდეს ამ ენის სამეტყველო ერთეულებისაგან.

ამგვარად, ქართული სამეტყველო ენის ანბანი უნდა შედგებოდეს ქართული სამეტყველო ერთეულებისაგან. ქვემოთ, GWLAlpabet-ით აღნიშნულია ქართული სამწერლობო ენის ანბანი. ამასთან:

1. GWLAlpabet=GWLAlpabet(V)UGWLAlphabet(C) - აქ, GWLAlphabet(V), შესაბამისად, GWLAlpabet(C) არის ქართული ხმოვანი, შესაბამისად, თანხმოვანი ასოების სიმრავლე;

²⁷ ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვიზიარებთ ფოდორის გენიალურ წინჭვრეტას აზრის ანუ ფიქრის ენის არსებობაზე. თუმცა, ამ საკითხზე ჩვენი ხედვები რიგ საკითხებში არსებითად განსხვავდება მისეული ხედვებისაგან. - მართლაც, ის წერდა: „ამბავში „მენტალიზმზე“ არც ვგულისხმობ და არც არასდროს ვგულისხმობდი სემანტიკის ერთ-ერთ ვერსიას. პირიქით, თუ (როგორც მე ვიმედოვნებ) მენტალიზმი არის ენა (კერძოდ ის ენა რომელზედაც ფიქრობენ), მაშინ ის მსგავსად სხვა ენებისა თავად ითხოვს სემანტიკას“ (იხილეთ ReVel, Semantics – An Interview with Jerry Fodor, Vol.5, n.8, 2007). ანუ, ის დასაბუთებით ვერ ამბობს, თუმცა კი იმედოვნებს ფიქრის ენის არსებობას, მაშინ როდესაც ჩვენ თხრობითი კილოს ოპერატორის უკვე დამტკიცებული ქვეცნობიერი არსებობით მკაცრად ვამტკიცებთ მისი ანუ ფიქრის ენის არსებობას. უფრო მეტიც, თუ ფოდორის თქმით მისი ფიქრის ენა თავად ითხოვს სემანტიკურ ახსნებს, ჩვენი ფიქრის ენა ანუ ქვეცნობიერი საფეხურის მათემატიკური ენა შალვა ფხაკადის ტიპის შემამოკლებელი სიმბოლოებით გაფართოების შედეგად თავადვე აწარმოებს როგორც ენას, ისე მის სემანტიკას.

²⁸ ენის ბირთვული ნაწილია მისი ის ნაწილი, რომლის გაფართოებითაც ენა წარმოიქმნება სრულად.

2. $GWLAlphabet(V) = \{a, e, i, o, u\}$;

3. $GWLAlphabet(C) = \{b, g, d, v, z, t', k, l, m, n, p, \check{z}, r, s, t, p', k', \acute{g}, q, \check{s}, \acute{c}', c', j, c, \acute{c}, x, \acute{y}, h\}$.

$GSLAlphabet$ -ით აღნიშნულია ქართული სამეტყველო ენის ანბანი. ამგვარად, ჩვენი ხედვით:

1. ნებისმიერი ქართული ხმოვანი ასოს გამოთქმით წარმოიქმნება ერთი - ამ ასოზე ცალსახად მიზმული სამეტყველო ერთეული, რადგან არცერთი ქართული ხმოვანი ბგერა არ შეიძლება იქნეს დაშლილი ანუ დანაწევრებული უფრო მარტივ სამეტყველო ხმებად. - ანუ, ქართულ სამეტყველო ენაში არის $GSLAlphabet(V)=\{a^*, e^*, i^*, o^*, u^*\}$ სიმრავლით წარმოდგენილი 5 ხმოვანი სამეტყველო ერთეული;

2. ქართულ მეტყველებაში არცერთი ქართული თანხმოვანი არ შეიძლება გამოთქმულ იქნას ხმოვნისგან დამოუკიდებლივ ანუ მისგან სრულად მოწყვეტილი სახით. ანუ, ქართულ სამეტყველო ენაში არის: ა) $140(=28 \times 5)$ მარტივი მარჯვენა მარცვალი, რომელთა სიმრავლესაც ჩვენ $GSLAlphabet(CV)$ -ით აღვნიშნავთ; ბ) $140(=5 \times 28)$ მარტივი მარცხენა მარცვალი, რომელთა სიმრავლესაც ჩვენ $GSLAlphabet(VC)$ -ით აღვნიშნავთ.

ამგვარად, ჩვენი მტკიცებით, $GSLAlphabet$ შეიცავს 285 სამეტყველო ერთეულს. ანუ ჩვენი მტკიცებით $GSLAlphabet = GSLAlphabet(V) \cup GSLAlphabet(CV) \cup GSLAlphabet(VC)$.

4. ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის მთავარ შედეგებს შორისაა აგრეთვე ისეთი ქართული ენის მათემატიკური თეორიისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე გრამატიკულ ცნებებზე გამოკვეთილი ახალი ხედვები როგორცაა ბრუნება, უღლება, თხრობითი წინადადება, მორფემები, მარცვლები და სხვა. - ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის ამ ახალ ხედვებს ეყრდნობა ის უნიკალური ქართული ენობრივი ტექნოლოგიები და რესურსები, რომელთაგან ნაწილს ჩვენ წინამდებარე ნაშრომის ამავე ნაწილის შემდგომ თავებში მიმოვიხილავთ და რომელთა არსებობა ცხადად ასაბუთებს ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის მაღალ პროდუქტულობას ქართული ენის სრული და ამომწურავი ტექნოლოგიური დამუშავების ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი მიზნების გათვალისწინებით.

1.3. ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსის განვითარების მიზნით აგებული ქართული ტექსტის მანალიზებელი და სასწავლო ტექნოლოგიების ამგები მეთოდები და გამოყენებები

ქვემოთ წარმოდგენილია ერთი ნაწილი ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსის განვითარების მიზნით შემუშავებული იმ ქართული ტექსტის მანალიზებელი ტექნოლოგიებისა, რომლებიც უკვე აიგო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის გრძელვადიანი პროექტის „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ ფარგლებში ქართული ენის ტექნოლოგიური დამუშავების ერთ-ერთი ისეთი ძირეული მიმართულებით როგორცაა ტექსტის ანალიზი, რომელიც გარკვეულ წილ თავის თავში მოიცავს აგრეთვე ისეთი მაღალპრაქტიკული მნიშვნელობის მიმართულებასაც, როგორცაა ქართული სასწავლო ტექნოლოგიები.

კერძოდ, ქვემოთ, ძალიან მოკლედ, სურათებისა და მათზე თანრთული კომენტარების მეშვეობით წარმოდგენილია კ. ფხაკაძის ქართული ენის ლოგიკური გრამატიკით გამოკვეთილ ახალ მეთოდებზე დაყრდნობით და, ასევე, დღეს სხვადასხვა კარგად ცნობილი ინსტრუმენტებისა და პლატფორმების გამოყენებით აგებული ქართული ტექსტის მანალიზებელი და სასწავლო ტექნოლოგიები, რომელთაგან უმეტესობა უნიკალურია იმ გაგებით, რომ არ არსებობს მათი სხვა ალტერნატიული ქართული ტექნოლოგიური სისტემები. ასევე, მოკლედაა მიმოხილული ამ უნიკალური ქართული ტექნოლოგიური სისტემების ამგები მეთოდები და გამოყენებები.

ამასთან, აქვე, ხაზს ვუსვამთ შემდეგს: ქვემოთ წარმოდგენილი ქართული ტექსტის მანალიზებელი და სასწავლო ტექნოლოგიური სისტემების გაცნობის შემდეგ მკითხველი ადვილად დარწმუნდება, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წლების განმავლობაში უწყვეტად მიმდინარე მხარდაჭერის შედეგად ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრის გრძელვადიანი პროექტის „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ ფარგლებში ქართული ენის ლოგიკურ გრამატიკაზე დაყრდნობით ტექსტის ანალიზის მიმართულებით უკვე წარმოებული კვლევების შედეგად საგრძნობლივ შემცირდა ის დღესაც საგანგაშო ჩამორჩენა, რაც ქართულს სხვა ტექნოლოგიურად დაწინაურებულ ენებთან შედარებით 2012 წლამდე ანუ ამ გრძელვადიანი პროექტის ამოქმედებამდე ამ მიმართულებით ჰქონდა. - ეს ცხადად ასაბუთებს ამ უმნიშვნელოვანესი მიმართულებით ცენტრში წარმოებული კვლევების შემდგომი გაგრძელებისა და განვითარების აუცილებლობას, რასაც ჩვენ, ქართული ენის ციფრული კვდომის

(3) „თუ ბიჭი, რომელიც გოგოს უყვარს, დედას წერილმა წერს, მაშინ ჩიტი გალობს.“ წინადადების შემთხვევაში მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „სახელური ფრაზის ბრუნვა არ შეესაბამება ზმნას“ გვატყობინებს „წერილმა წერს“ შეწყვილებაში ანუ სინტაქსისში დაშვებული უზუსტობის თაობაზე;

(4) „თუ ბიჭი, რომელმაც გოგოს უყვარს, დედას წერილს წერს, მაშინ ჩიტი გალობს.“ წინადადების შემთხვევაში მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „სიტყვის - „რომელიც“ ბრუნვა არ შეესაბამება ზმნას“ გვატყობინებს „რომელმაც ... წერს“ შეწყვილებაში ანუ სინტაქსისში დაშვებული უზუსტობის თაობაზე;


(5) „თუ ბიჭი, რომელიც გოგოს უყვარს, დედა წერილს წერს, მაშინ ჩიტი გალობს.“ წინადადებისთვის მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „სახელური ფრაზის ბრუნვა არ შეესაბამება ზმნას“ გვატყობინებს „ბიჭი დედა ... წერს“ შეწყვილებაში ანუ სინტაქსისში დაშვებული უზუსტობის თაობაზე. - ანუ, ამ შემთხვევაში, მართლმწერი მიხვდა იმას, რომ წინადადებაში „ბიჭი, რომელიც გოგოს უყვარს, დედა წერილს წერს“ არ შეიძლება ერთდროულად იყოს სახელობით ანუ Ni ბრუნვაში ორი არსებითი სახელი (ესენია: „ბიჭი“ და „დედა“).

(6) „თუ ბიჭი, რომელიც გოგოს უყვარს, დედას წერილს წერს, მაშინ ჩიტს გალობს“ წინადადებისთვის მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „სახელური ფრაზის ბრუნვა არ შეესაბამება ზმნას“ გვატყობინებს „ჩიტს გალობს“ შეწყვილებაში ანუ სინტაქსისში დაშვებული უზუსტობის თაობაზე;

(7) „თუ ბიჭი, რომელიც გოგოს უყვარს, დედას წერილს წერს, მაშინ ჩიტმა გალობს.“ წინადადებისთვის მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „სახელური ფრაზის ბრუნვა არ შეესაბამება ზმნას“ გვატყობინებს „ჩიტმა გალობს“ შეწყვილებაში ანუ სინტაქსისში დაშვებული უზუსტობის თაობაზე;

(8) „ბიჭი, რომელიც გოგოს უყვარს, დედას წერილს წერს, მაშინ ჩიტი გალობს.“ წინადადებისთვის მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „არ შეიძლება ფრაზაში სიტყვა ‘მაშინ’ იყოს სიტყვა ‘თუ’-ს გარეშე ან წინ უსწრებდეს მას“ გვატყობინებს იმის თაობაზე, რომ წინადადებას პირველ სიტყვად ანუ დასაწყისში აკლია ‘თუ’.

სინტაქსური ანალიზი	მორფოლოგიური ანალიზი	ფორმალური ჩანაწერი
--------------------	----------------------	--------------------



სურათი 2

კომენტარი: სინტაქსურ მართლმწერს დასამუშავებლად მივეცით ტექსტი, რომელიც აგებული იყო ერთი სწორად აგებული წინადადებით „ყველა კარგი მოსწავლე კითხულობს წიგნს და მასწავლებელი გაკვეთილს ამზადებს“ და მისი შემდეგი შვიდი სინტაქსურად დამახინჯებული ვარიანტით: „(1) ყველა კარგი მოსწავლე კითხულობს წიგნს მასწავლებელი გაკვეთილს ამზადებს. (2) ყველას კარგი მოსწავლე კითხულობს წიგნს და მასწავლებელი გაკვეთილს ამზადებს. (3) ყველა კარგმა მოსწავლე კითხულობს წიგნს და

მასწავლებელი გაკვეთილს ამზადებს. (4) ყველა კარგი მოსწავლემ კითხულობს წიგნს და მასწავლებელი გაკვეთილს ამზადებს. (5) ყველა კარგი მოსწავლე კითხულობს წიგნი და მასწავლებელი გაკვეთილს ამზადებს. (6) ყველა კარგი მოსწავლე კითხულობს წიგნს და მასწავლებელმა გაკვეთილს ამზადებს. (7) ყველა კარგი მოსწავლე კითხულობს წიგნს და მასწავლებელს გაკვეთილს ამზადებს. (8) ყველა კარგი მოსწავლე კითხულობს წიგნს და მასწავლებელი გაკვეთილი ამზადებს.

როგორც სურათიდანაც ჩანს, სინტაქსურმა მართლმწერმა შვიდივე შემთხვევაში შეამჩნია დაშვებული სინტაქსური უზუსტობა და ყველა ეს არასწორი წინადადება ყვითლად შეაფერადა.

ამასთან, არასწორ წინადადებაზე კურსორის მიტანით იხსნება საინფორმაციო ფანჯარა, რომლის მეშვეობითაც მართლმწერი გვაწვდის ტექსტობრივ შეტყობინება იმის თაობაზე, თუ რა ტიპის სინტაქსური შეცდომაა დაშვებული წინადადებაში. - ასე მაგალითად:

(1) „ყველა კარგი მოსწავლე კითხულობს წიგნს მასწავლებელი გაკვეთილს ამზადებს.“ წინადადებისთვის მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „ზმნა უნდა იყოს ერთი“ გვატყობინებს წინადადებაში ‘და’ კავშირის ნაკლულობაზე;

(2) „ყველას კარგი მოსწავლე კითხულობს წიგნს და მასწავლებელი გაკვეთილს ამზადებს.“ წინადადებისთვის მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „სახელური ფრაზის ბრუნვა არ შეესაბამება ზმნას“ გვატყობინებს „ყველას კარგი მოსწავლე“ შეწყვილებაში ანუ სინტაქსისში დაშვებული უზუსტობის თაობაზე;

(3) „ყველა კარგ მოსწავლე კითხულობს წიგნს და მასწავლებელი გაკვეთილს ამზადებს.“ წინადადებისთვის საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „სახელური ფრაზაში ბრუნვები არ შეესაბამება სახელის ბრუნვას“ გვატყობინებს იმის თაობაზე, რომ წინადადებაში „კარგ მოსწავლე“ შეწყვილებაში ანუ სინტაქსისში დაშვებული უზუსტობის თაობაზე;

(4) „ყველა კარგი მოსწავლემ კითხულობს წიგნს და მასწავლებელი გაკვეთილს ამზადებს.“ წინადადების შემთხვევაში მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „სახელური ფრაზის ბრუნვა არ შეესაბამება ზმნას“ გვატყობინებს „მოსწავლემ კითხულობს“ შეწყვილებაში ანუ სინტაქსისში დაშვებული უზუსტობის თაობაზე;

(5) „ყველა კარგი მოსწავლე კითხულობს წიგნი და მასწავლებელი გაკვეთილს ამზადებს.“ წინადადების შემთხვევაში მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „სახელური ფრაზის ბრუნვა არ შეესაბამება ზმნას“ გვატყობინებს „კითხულობს წიგნი“ შეწყვილებაში ანუ სინტაქსისში დაშვებული უზუსტობის თაობაზე;


(6) „ყველა კარგი მოსწავლე კითხულობს წიგნს და მასწავლებელმა გაკვეთილს ამზადებს.“ წინადადების შემთხვევაში მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „სახელური ფრაზის ბრუნვა არ შეესაბამება ზმნას“ გვატყობინებს „მასწავლებელმა ამზადებს“ შეწყვილებაში ანუ სინტაქსისში დაშვებული უზუსტობის თაობაზე;

(7) „ყველა კარგი მოსწავლე კითხულობს წიგნს და მასწავლებელს გაკვეთილს ამზადებს“ წინადადების შემთხვევაში მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში

გამოტანილი ტექსტით „სახელური ფრაზის ბრუნვა არ შეესაბამება ზმნას“ გვატყობინებს „მასწავლებელმა გაკვეთილს ამზადებს“ შეწყვილებაში ანუ სინტაქსისში დაშვებული უზუსტობის თაობაზე;

(8) „ყველა კარგი მოსწავლე კითხულობს წიგნს და მასწავლებელი გაკვეთილი ამზადებს“ წინადადების შემთხვევაში მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „სახელური ფრაზის ბრუნვა არ შეესაბამება ზმნას“ გვატყობინებს „მასწავლებელი გაკვეთილი ამზადებს“ შეწყვილებაში ანუ სინტაქსისში დაშვებული უზუსტობის თაობაზე.

სინტაქსური ანალიზი მორფოლოგიური ანალიზი ფორმალური ჩანაწერი



სურათი 3

კომენტარი: სინტაქსურ მართლმწერს დასამუშავებლად მივეცი ტექსტი, რომელიც აგებული იყო ერთი სწორად აგებული წინადადებით „ან გოგო კითხულობს წიგნს ან ხატავს სურათს ან ჭამს წითელ ვაშლს.“ და მისი შემდეგი შვიდი სინტაქსურად დამახინჯებული ვარიანტით: „(1) ან გოგო კითხულობს წიგნს ხატავს სურათს ან ჭამს წითელ ვაშლს. (2) ან გოგომ კითხულობს წიგნს ან ხატავს სურათს ან ჭამს წითელ ვაშლს. (3) ან გოგო კითხულობს წიგნი ან ხატავს სურათს ან ჭამს წითელ ვაშლს. (4) ან გოგო ვკითხულობ წიგნს ან ხატავს სურათს ან ჭამს წითელ ვაშლს. (5) ან გოგო კითხულობს წიგნს ან ხატავს სურათმა ან ჭამს წითელ ვაშლს. (6) ან გოგო კითხულობს წიგნს ან ხატავს სურათს ან ჭამს წითელ ვაშლს. (7) ან გოგო კითხულობს წიგნს ან ხატავს სურათს ან ჭამს წითელ ვაშლი. (8) ან გოგო კითხულობს წიგნს ან ხატავს სურათს ან ჭამს წითელ ვაშლმა.“

(1) „ან გოგო კითხულობს წიგნს ხატავს სურათს ან ჭამს წითელ ვაშლს.“ წინადადებისთვის მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „ზმნა უნდა იყოს ერთი“ გვატყობინებს წინადადებაში ‘ან’ კავშირის ნაკლებობაზე;

(2) „ან გოგომ კითხულობს წიგნს ან ხატავს სურათს ან ჭამს წითელ ვაშლს.“ წინადადებისთვის მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „სახელური ფრაზის ბრუნვა არ შეესაბამება ზმნას“ გვატყობინებს „გოგომ კითხულობს“ შეწყვილებაში ანუ სინტაქსისში დაშვებული უზუსტობის თაობაზე;

(3) „ან გოგო კითხულობს წიგნი ან ხატავს სურათს ან ჭამს წითელ ვაშლს.“ წინადადებისთვის მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „სახელური ფრაზის ბრუნვა არ შეესაბამება ზმნას“ გვატყობინებს „კითხულობს წიგნი“ შეწყვილებაში ანუ სინტაქსისში დაშვებული უზუსტობის თაობაზე;

(4) „ან გოგო ვკითხულობ წიგნს ან ხატავს სურათს ან ჭამს წითელ ვაშლს.“ წინადადებისთვის მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „სახელური ფრაზის ბრუნვა არ შეესაბამება ზმნას“ გვატყობინებს „გოგო ვკითხულობ“ შეწყვილებაში ანუ სინტაქსისში დაშვებული უზუსტობის თაობაზე;


(5) „ან გოგო კითხულობს წიგნს ან ხატავს სურათმა ან ჭამს წითელ ვაშლს.“ წინადადებისთვის მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „სახელური ფრაზის ბრუნვა არ შეესაბამება ზმნას“ გვატყობინებს „ხატავს სურათმა“ შეწყვილებაში ანუ სინტაქსისში დაშვებული უზუსტობის თაობაზე;

(6) „ან გოგო კითხულობს წიგნს ან ხატავს სურათს ან ჭამს წითელმა ვაშლს.“ წინადადებისთვის მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „სახელური ფრაზაში ბრუნვები არ შეესაბამება სახელის ბრუნვას“ გვატყობინებს „წითელმა ვაშლს“ შეწყვილებაში ანუ სინტაქსისში დაშვებული უზუსტობის თაობაზე;


(7) „ან გოგო კითხულობს წიგნს ან ხატავს სურათს ან ჭამს წითელ ვაშლი.“ წინადადებისთვის მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „სახელური ფრაზაში ბრუნვები არ შეესაბამება სახელის ბრუნვას“ გვატყობინებს „წითელ ვაშლი“ შეწყვილებაში ანუ სინტაქსისში დაშვებული უზუსტობის თაობაზე;

(8) „ან გოგო კითხულობს წიგნს ან ხატავს სურათს ან ჭამს წითელ ვაშლმა.“ წინადადებისთვის მართლმწერი საინფორმაციო ფანჯარაში გამოტანილი ტექსტით „სახელური ფრაზაში ბრუნვები არ შეესაბამება სახელის ბრუნვას“ გვატყობინებს „წითელ ვაშლმა“ შეწყვილებაში ანუ სინტაქსისში დაშვებული უზუსტობის თაობაზე;

02. მეორე საფეხურის ქართულ-მათემატიკური ორმხრივ მთარგმნელი სისტემის პირველი საცდელ-სამომხმარებლო საინტერნეტო ვერსია - ავტორები: კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე (იხ., ქვემოთ, სურათი 4, სურათი 5, სურათი 6, სურათი 7 და სურათი 8):



სურათი 4



სურათი 5

კომენტარი: სურათი 4-დან ჩანს, რომ ტექნოლოგიურ სისტემას მათემატიკურ ენაში სათარგმნელად მივეცით „ბიჭმა დაწერა წერილი“ წინადადების ყველა შესაძლო ვარიაცია

ანუ ამ წინადადების ამგები სიტყვების ადგილების ყველა შესაძლო გადაადგილებით აგებული წინადადებებისგან შედგენილი შემდეგი 6 წინადადებიანი ტექსტი „ბიჭმა წერილი დაწერა. წერილი ბიჭმა დაწერა. ბიჭმა დაწერა წერილი. წერილი დაწერა ბიჭმა. დაწერა ბიჭმა წერილი. დაწერა წერილი ბიჭმა.“


ამასთან, 5-ე სურათზე ნაჩვენებია ამ ექვს წინადადებიანი ტექსტის თარგმანი მათემატიკურ ანუ, ამ შემთხვევაში, ქართულ მათემატიკურ ენაში.

როგორც სურათიდანაც ჩანს სათარგმნი ქართული ტექსტის ექვსივე წინადადება მათემატიკურ ენაში თარგმნისას იძლევა $\{t_1 < t_1[\text{და}] \text{წერა}(\text{ბიჭი}, \text{წერილი})\}$ ჩანაწერს.

ამასთან, ეს ჩანაწერი ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის თანახმად ქართული მათემატიკური ენის 2-ადგილიანი „[და]წერა (- , -)“ პრედიკატით აგებული დროში შედეგობრივად კლასიფიცირებული ატომალური გამონათქვამია.


ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ჩანაწერი არის ქართული მათემატიკური ენის ის მარტივი წინადადება, რომელიც ჩვენი მიდგომით - არც მეტი, არც ნაკლები - არის სათარგმნი ქართული ტექსტის შემადგენელი წინადადებების მარტივი ფაქტობრივი შინაარსი.

ანუ, ქართული ენის ბუნებრივ შინაარსულ წესრიგთან თანხმობაში მყოფი ჩვენი მიდგომით სათარგმნი ტექსტის ექვსივე წინადადებას აქვს ერთიდაიგივე ფაქტობრივი შინაარსი და ეს ფაქტობრივი შინაარსი ქართულ აზროვნებაში მოიცემა ქართული მათემატიკური ენის $\{t_1 < t_1[\text{და}] \text{წერა}(\text{ბიჭი}, \text{წერილი})\}$ სახის ჩანაწერით.



სურათი 6

კომენტარი: 6-ე სურათზე ნაჩვენებია, როგორ ითარგმნა მათემატიკურ ენაში „ბიჭი წერილს წერს. წერილს ბიჭი წერს. ბიჭი წერს წერილს. წერილს წერს ბიჭი. წერს ბიჭი წერილს. წერს წერილს ბიჭი.“ ტექსტი, საიდანაც ჩანს რომ ტექსტის შემადგენელი წინადადებების შინაარსია $\{t_1 < t_2[\text{და}] \text{წერა}(\text{ბიჭი}, \text{წერილი})\}$.



სურათი 7

კომენტარი: 6-ე სურათზე ნაჩვენებია, როგორ ითარგმნა მათემატიკურ ენაში „ბიჭი წერილს წერდა. წერილს ბიჭი წერდა. ბიჭი წერდა წერილს. წერილს წერდა ბიჭი. წერდა

03. მეორე საფეხურის ქართული ლოგიკური ამოცანების ამომხსნელ-შემომწმებელი საინტერნეტო სისტემის საცდელი ვერსია - ავტორები: კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვნიძე (იხ., ქვემოთ, სურათი 9, სურათი 10, სურათი 11, სურათი 12, სურათი 13, სურათი 14, სურათი 15 და სურათი 16):

ქვემოთ, ამ განაკვეთში, ჩვენ ყველგან ვეყრდნობით იმას, რომ ქართული ენის ლოგიკური გრამატიკით ნებისმიერი „S.“ თხრობითი წინადადება გაგებულია როგორც $[S = t]$ სახის ენობრივ-ლოგიკური განტოლება.

ბიჭი წერს და გოგო ხატავს.

კითხვები	ლოგიკური ანალიზი	პასუხის შემოწმება
----------	------------------	-------------------

ბიჭი წერს
გოგო ხატავს

სურათი 9

კომენტარი: სურათზე ნაჩვენებია, „ბიჭი წერს და გოგო ხატავს“ თხრობითი წინადადების გაანალიზების ანუ და-დახურდავების ანუ, რაც იგივეა, $[$ ბიჭი წერს და გოგო ხატავს $= t]$ ენობრივ-ლოგიკური განტოლების ამოხსნის შედეგი. ეს ემყარება (1)-ით მოცემულ ენობრივ-ლოგიკური სქემას:

$$[S1 \text{ და } S2 = t] \Leftrightarrow [S1 = t] \text{ და } [S2 = t] \quad (1).$$

ამასთან, (1)-ის თანახმად სისტემამ იცის, რომ:

$$[\text{ბიჭი წერს და გოგო ხატავს}] = t \Leftrightarrow [\text{ბიჭი წერს} = t] ; [\text{გოგო ხატავს} = t].$$

ანუ, სისტემამ იცის $[[\dots]\text{და}[\dots]]$ ლოგიკური კავშირის შინაარსი და, შესაბამისად, მის ამ ცოდნაზე დაყრდნობით მან ამავედროულად იცის:

1. ის, რომ „ბიჭი წერს და გოგო ხატავს“ ჭეშმარიტი მოცემულობაა იმ და მხოლოდ იმ სამყაროში, სადაც ჭეშმარიტი მოცემულობებია აგრეთვე „ბიჭი წერს“ და „გოგო ხატავს“ წინადადებები.

2. „ბიჭი წერს და გოგო ხატავს“ წინადადების ენობრივ-ლოგიკური ანალიზის შედეგები;

3. შეკითხვის „რა შეიძლება დავასკვნათ, თუ ცნობილია, რომ ბიჭი წერს და გოგო ხატავს?“ პასუხები.

4. შეკითხვით „რა შეიძლება დავასკვნათ, თუ ცნობილია, რომ ბიჭი წერს და გოგო ხატავს?“ წამოჭრილი ლოგიკური ამოცანის ამოხსნის შედეგები;

5. [ბიჭი წერს და გოგო ხატავს] = t ენობრივ-ლოგიკური განტოლების პასუხები.

ან ბიჭი წერს ან გოგო ხატავს.		
კითხვები	ლოგიკური ანალიზი	პასუხის შემოწმება
ბიჭი წერს გოგო ხატავს		

ბიჭი წერს გოგო არ ხატავს		

ბიჭი არ წერს გოგო ხატავს		

სურათი 10

კომენტარი: სურათზე ნაჩვენებია, „ან ბიჭი წერს ან გოგო ხატავს.“ თხრობითი წინადადების გაანალიზების ანუ ან-დახურდავების ანუ, რაც იგივეა, [ან ბიჭი წერს ან გოგო ხატავს = t] ენობრივი-ლოგიკური განტოლების ამოხსნის შედეგი. ეს ემყარება (2)-ით მოცემულ ენობრივ-ლოგიკური სქემას:

$$[ან S1 ან S2 = t] \Leftrightarrow [S1 = t] ; [S2 = t] // [S1 = t] ; [არა S2 = t] // [არა S1 = t] ; [S2 = t] \quad (2).$$

ამასთან, (2)-ის თანახმად სისტემამ იცის, რომ:

$$[ან ბიჭი წერს ან გოგო ხატავს] = t \Leftrightarrow [ბიჭი წერს = t]; [გოგო ხატავს = t] // [ბიჭი წერს = t]; [გოგო არ ხატავს = t] // [ბიჭი არ წერს = t]; [გოგო ხატავს = t].$$

ანუ, სისტემამ იცის [ან [...]] ან [...] ლოგიკური კავშირის შინაარსი და, შესაბამისად, მის ამ ცოდნაზე დაყრდნობით მან ამავედროულად იცის:

1. ის, რომ „ან ბიჭი წერს ან გოგო ხატავს“ ჭეშმარიტი მოცემულობაა იმ და მხოლოდ იმ სამყაროში, სადაც ჭეშმარიტი მოცემულობებია აგრეთვე ან „ბიჭი წერს“ და „გოგო ხატავს“ ან „ბიჭი წერს“ და „გოგო არ ხატავს“, ან „ბიჭი არ წერს“ და „გოგო ხატავს“ წინადადებები.

2. „ან ბიჭი წერს და ან გოგო ხატავს“ წინადადების ენობრივ-ლოგიკური ანალიზის შედეგები;

3. შეკითხვის „რა შეიძლება დავასკვნათ, თუ ცნობილია, რომ ან ბიჭი წერს ან გოგო ხატავს?“ პასუხები.

4. შეკითხვით „რა შეიძლება დავასკვნათ, თუ ცნობილია, რომ ან ბიჭი წერს ან გოგო ხატავს?“ წამოჭრილი ლოგიკური ამოცანის ამოხსნის შედეგები;

5. [ან ბიჭი წერს ან გოგო ხატავს] = t ენობრივ-ლოგიკური განტოლების პასუხები.

თუ ბიჭი წერს, მაშინ გოგო ხატავს.		
კითხვები	ლოგიკური ანალიზი	პასუხის შემოწმება
ბიჭი წერს გოგო ხატავს		

ბიჭი არ წერს გოგო არ ხატავს		

ბიჭი არ წერს გოგო ხატავს		

სურათი 11

კომენტარი: სურათზე ნაჩვენებია, „თუ ბიჭი წერს, მაშინ გოგო ხატავს.“ თხრობითი წინადადების გაანალიზების ანუ თუ, ... მაშინ-დახურდავების ანუ, რაც იგივეა, [თუ ბიჭი წერს, მაშინ გოგო ხატავს = t] ენობრივ-ლოგიკური განტოლების ამოხსნის შედეგი. ეს ემყარება (3)-ით მოცემულ ენობრივ-ლოგიკური სქემას:

$$[თუ S1, მაშინ S2 = t] \Leftrightarrow [S1 = t] ; [S2 = t] // [არა S1 = t] ; [არა S2 = t] // [არა S1 = t] ; [S2 = t] (3).$$

ამასთან, (3)-ის თანახმად სისტემამ იცის, რომ:

[თუ ბიჭი წერს, მაშინ გოგო ხატავს] = t \Leftrightarrow [ბიჭი წერს = t]; [გოგო ხატავს = t] // [ბიჭი წერს = t]; [გოგო არ ხატავს = t] // [ბიჭი არ წერს = t]; [გოგო ხატავს = t].

ანუ, სისტემამ იცის [თუ [...], მაშინ [...]] ლოგიკური კავშირის შინაარსი და, შესაბამისად, მის ამ ცოდნაზე დაყრდნობით მან ამავდროულად იცის:

1. ის, რომ „თუ ბიჭი წერს, მაშინ გოგო ხატავს“ ჭეშმარიტი მოცემულობაა იმ და მხოლოდ იმ სამყაროში, სადაც ჭეშმარიტი მოცემულობებია აგრეთვე ან „ბიჭი წერს“ და „გოგო ხატავს“ ან „ბიჭი არ წერს“ და „გოგო არ ხატავს“, ან „ბიჭი არ წერს“ და „გოგო არ ხატავს“ წინადადებები.

2. „თუ ბიჭი წერს, მაშინ გოგო ხატავს“ წინადადების ენობრივ-ლოგიკური ანალიზის შედეგები;

3. შეკითხვის „რა შეიძლება დავასკვნათ, თუ ცნობილია, რომ თუ ბიჭი წერს, მაშინ გოგო ხატავს?“ პასუხები.

4. შეკითხვით „რა შეიძლება დავასკვნათ, თუ ცნობილია, რომ თუ ბიჭი წერს, მაშინ გოგო ხატავს?“ წამოჭრილი ლოგიკური ამოცანის ამოხსნის შედეგები;

5. [თუ ბიჭი წერს, მაშინ გოგო ხატავს]=t ენობრივ-ლოგიკური განტოლების პასუხები.

ბიჭი წერს. თუ ბიჭი წერს, მაშინ გოგო ხატავს.		
ბიჭი წერს და გოგომ ხატავს.		
კითხვები	ლოგიკური ანალიზი	პასუხის შემოწმება
პასუხის ტექსტი გაუმართავია		

სურათი 12

კომენტარი: სურათიდან ჩანს, რომ სისტემა, გარდა ლოგიკური ანალიზის უნარისა, აღჭურვილია აგრეთვე სინტაქსური ანალიზის უნარით. - მართლაც, სისტემა მიხვდა რომ

პასუხის ველში განთავსებული წინადადება „ბიჭი წერს და გოგომ ხატავს“ ენობრივად გაუმართავია.

ბიჭი წერს. თუ ბიჭი წერს, მაშინ გოგო ხატავს.		
ბიჭი წერს და გოგო ხატავს.		
კითხვები	ლოგიკური ანალიზი	პასუხის შემოწმება
დასკვნა ცალსახად გამომდინარეობს მოცემულობიდან		

სურათი 13

კომენტარი: სურათიდან ჩანს, რომ სისტემამ შეამოწმა ორ წინადადებიანი ლოგიკური ამოცანის მომხმარებლის მიერ შემოთავაზებული ამოხსნა და დაადასტურა მისი სისწორე. - ამას ადასტურებს პასუხის ქვედა ველში სისტემის მიერ გამოტანილი ჩანაწერი - „დასკვნა (ცალსახად) გამომდინარეობს მოცემულობიდან“.

ბიჭი წერს და გოგო წერს. თუ ბიჭი წერს, მაშინ გოგო ხატავს.		
ბიჭი წერს და გოგო არ ხატავს.		
კითხვები	ლოგიკური ანალიზი	პასუხის შემოწმება
დასკვნა ეწინააღმდეგება მოცემულობას		

სურათი 14

კომენტარი: სურათიდან ჩანს, რომ სისტემამ შეამოწმა ორ წინადადებიანი ლოგიკური ამოცანის მომხმარებლის მიერ შემოთავაზებული ამოხსნა და შეამჩნია იქ

არსებული უზუსტობა. - ამას ადასტურებს პასუხის ქვედა ველში სისტემის მიერ გამოტანილი ჩანაწერი - „დასკვნა ეწინააღმდეგება მოცემულობას“.

ბიჭი წერს და გოგო წერს. თუ ბიჭი წერს, მაშინ გოგო ხატავს.

|

კითხვები	ლოგიკური ანალიზი	პასუხის შემოწმება
----------	------------------	-------------------

ბიჭი წერს
გოგო წერს
გოგო ხატავს

სურათი 15

ბიჭი წერს და გოგო წერს და თუ ბიჭი წერს, მაშინ გოგო ხატავს.

ბიჭი წერს და გოგო არ ხატავს.

კითხვები	ლოგიკური ანალიზი	პასუხის შემოწმება
----------	------------------	-------------------

ბიჭი წერს
გოგო წერს
გოგო ხატავს

სურათი 16

კომენტარი: 15-ე სურათიდან ჩანს, რომ სისტემას ამოსახსნელად ანუ, რაც იგივეა, გასაანალიზებლად მიეცა ორი რთული წინადადებით აგებული ლოგიკური ამოცანა ანუ, რაც იგივეა, ტექსტი (ეს ტექსტია „ბიჭი წერს და გოგო წერს. თუ ბიჭი წერს, მაშინ გოგო ხატავს.“). - ამასთან, ამ ამოხსნის ანუ, რაც იგივეა, ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ

მოცემული ლოგიკური ამოცანის პირობა ანუ მოცემული ტექსტი მართებული მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ასეთივეა წინადადებები „ბიჭი წერს“, „გოგო წერს“, „გოგო ხატავს“. ამასთან, 16-ე სურათიდან ჩანს, რომ სისტემამ ზუსტად იგივე შედეგი მოგვცა „ბიჭი წერს და გოგო წერს და თუ ბიჭი წერს, მაშინ გოგო ხატავს.“ ტექსტის გაანალიზებისას, რაც, ცხადია, ასეც უნდა ყოფილიყო.

04. ქართული კითხვებზე მოპასუხე საინტერნეტო სისტემის პირველი საცდელი ვერსია - ავტორები: კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, დ. კურცხალია (იხ., ქვემოთ, სურათი 17, სურათი 18, სურათი 19, სურათი 20, სურათი 21):

ბიჭი დედას წერს წერილს	
კითხვები	ლოგიკური ანალიზი
<p>ვინ წერს დედას წერილს? ბიჭი. ბიჭი წერს. ბიჭი წერს დედას წერილს.</p> <p>ვის წერს ბიჭი წერილს? დედას. დედას წერს. დედას წერს ბიჭი წერილს.</p> <p>რას წერს ბიჭი დედას? წერილს. წერილს წერს. წერილს წერს ბიჭი დედას.</p>	

სურათი 17

კომენტარი: კითხვებზე მოპასუხე სისტემა იმ ცოდნის ფარგლებში, რაც მას ცოდნის ველში ჩაწერილი წინადადებით მიეწოდა, სვამს კითხვებს და სცემს პასუხებს. ასე მაგალითად, როგორც ეს 17-ე სურათიდან ჩანს, სისტემის ცოდნის ველში ჩაწერილია წინადადება „ბიჭი დედას წერილს წერს“. ამასთან, როგორც ეს სისტემის კითხვებისა და

პასუხების ველიდან ჩანს, სისტემამ დაუსვა კითხვა წინადადებაში შემავალ თითოეულ სახელს და თითოეულ ასეთ კითხვას გასცა როგორც მოკლე, ისე მოკლე პრედიკატული, ასევე სრული პასუხი. მართლაც, როგორც ეს სურათიდანაც ჩანს, კითხვაზე „რას წერს ბიჭი დედას?“ სისტემა იძლევა: 1. მოკლე პასუხად - „წერილს.“; 2. მოკლე პრედიკატულ პასუხად - „წერილს წერს.“; 3. სრულ პასუხად - „წერილს წერს ბიჭი დედას.“

ბიჭი დედამ წერილს წერს.		
კითხვები	ლოგიკური ანალიზი	პასუხის შემოწმება
წინადადებაში შეცდომაა		

სურათი 18

კომენტარი: როგორც ეს სურათიდანაც ჩანს, სისტემა აღჭურვილია სინტაქსური ანალიზის უნარით. - სისტემამ შეამჩნია ცოდნის ველში ჩაწერილ მონაცემში „ბიჭი დედამ წერილს წერს“ არსებული სინტაქსური შეცდომა.

ანუ, მსგავსად ზემომომოხილული ქართული ლოგიკური ამოცანების ამომხსნელ-შემომწმებელი სისტემისა, ქართული კითხვებზე - მოპასუხე სისტემა აღჭურვილია ქართული ტექსტობრივი მონაცემების როგორც სემანტიკური, ისე სინტაქსური ანალიზის უნარებით.

ამგვარად, მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ ეს აქ წარმოდგენილი ქართული კითხვებზე მოპასუხე საცდელი საინტერნეტო სისტემა საცდელი სახით უკვე აღჭურვილია ქართული კომპიუტერული ტვინით.¹ იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილი სურათები:

¹ ამავე ნაწილის 1.4. თავში წარმოდგენილია ამ სისტემის ის ვერსია, რომელიც საცდელი სახით აღჭურვილია ქართულ ენაში სმენითი და მეტყველებითი უნარებით, რაც მომხმარებელს სისტემასთან ქართული ენით სასაუბრო ურთიერთობის დამყარების ანუ სისტემის ხმოვანი ბრძანებებით მართვის

გოგო ხატავს სურათს.		
კითხვები	ლოგიკური ანალიზი	პასუხის შემოწმება
ვინ ხატავს სურათს? გოგო. გოგო ხატავს. გოგო ხატავს სურათს. რას ხატავს გოგო? სურათს. სურათს ხატავს. სურათს ხატავს გოგო.		

სურათი 19

კომენტარი: სურათის მარცხენა მხარეს წარმოდგენილია თავად სისტემა, მარცხენა მხარეს კი - მასთან ქართული ენით სასაუბრო ურთიერთობის ანუ სამეტყველო ინტერაქციის დამამყარებელი ინსტრუმენტი.

ამასთან, როგორც ეს სურათიდანაც ჩანს, სისტემამ იცის, რომ „გოგო ხატავს სურათს“. - ეს სისტემის საწყისი მდგომარეობაა.

ამგვარად, მომხმარებელს შეუძლია ასეთ მდგომარეობაში მყოფ სისტემას მისცეს ბრძანება - „დაუსვი კითხვა პირველ სახელს!“ ან ბრძანება - „დაუსვი კითხვა მეორე სახელს!“.

შესაბამისად მომხმარებლის ამ ბრძანებებისა სისტემა წარმოქმნის ანუ ავტომატურად აგენერირებს კითხვებს. ასე მაგალითად, როგორც ეს სურათიდანაც ჩანს, ბრძანებაზე:

1. „დაუსვი კითხვა პირველ სახელს!“, სისტემამ დასვა ანუ წარმოქმნა კითხვა - „ვინ ხატავს სურათს?“. ამ კითხვაზე სისტემის მოკლე პასუხია - „გოგო“, მოკლე პრედიკატული პასუხია - „გოგო ხატავს“, სრული პასუხია - „გოგო ხატავს სურათს“;

შესაძლებლობას აძლევს. ეს მთლიანობაში იძლევა სისტემას, რომელიც ქართულ კომპიუტერულ ტვინთან ერთად საცდელი სახით აღჭურვილია აგრეთვე ქართული კომპიუტერული ყურითა და ყელით.

2. „დაუსვი კითხვა მეორე სახელს!“, სისტემამ დასვა ანუ წარმოქმნა კითხვა - „რას ხატავს გოგო?“. ამ კითხვაზე სისტემის მოკლე პასუხია - „სურათს“, მოკლე პრედიკატული პასუხია - „სურათს ხატავს“, სრული პასუხია - „სურათს ხატავს გოგო“.

გოგო სურათს ხატავს.		
კითხვები	ლოგიკური ანალიზი	პასუხის შემოწმება
<p>ვინ ხატავს სურათს? გოგო. გოგო ხატავს. გოგო ხატავს სურათს.</p> <p>რას ხატავს გოგო? სურათს. სურათს ხატავს. სურათს ხატავს გოგო.</p>		

სურათი 20

სურათს გოგო ხატავს.		
კითხვები	ლოგიკური ანალიზი	პასუხის შემოწმება
<p>რას ხატავს გოგო? სურათს. სურათს ხატავს. სურათს ხატავს გოგო.</p> <p>ვინ ხატავს სურათს? გოგო. გოგო ხატავს. გოგო ხატავს სურათს.</p>		

სურათი 21

კომენტარი: ზემოგანთავსებული 20-ე და 21-ე სურათები გვარწმუნებენ, რომ სისტემა მუშაობს არა მექანიკურად ანუ ცოდნის ველში განთავსებულ წინადადებაში

სიტყვათა რიგზე დაყრდნობით, არამედ ის რეალურად აკეთებს ცოდნის მომცემი წინადადების სინტაქსურ და სემანტიკურ ანალიზს, რის საფუძველზეც მხოლოდ სვამს კითხვებს და იძლევა პასუხებს.

ამგვარად, დასკვნის სახით, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ, რომ ეს აქ წარმოდგენილი ქართული კითხვებზე - მოპასუხე სისტემა საცდელი სახით უკვე აღჭურვილია ქართული კომპიუტერული ტვინით ანუ ქართული ტექსტობრივი მონაცემების სინტაქსური და სემანტიკური ანალიზის უნარებით.

ამასთან, ხაზგასასმელია ისიც, რომ ზემოთ უკვე განხილული ქართული ლოგიკური ამოცანების ამომხსნელ-შემომწმებელი სისტემისა და ქართული კითხვებზე - მოპასუხე სისტემის ინტეგრირებით ჩვენ უკვე მზად ვართ უფრო ინტელექტუალური ქართული ანალიზატორის ანუ უფრო ღრმად და უფრო მოცულობითად მოქმედი ქართული კომპიუტერული ტვინის ასაგებად.

05. ქართული ლოგიკური ამოცანების გენერირების (ანუ წარმოქმნის) და ამოხსნის უნარების ტესტირების ავტომატური სისტემების პირველი საცდელი საინტერნეტო ვერსიები - ავტორები: კ. ფხაკაძე, დ. კურცხალია, მ. ჩიქვინიძე (იხ., ქვემოთ, სურათი 22, სურათი 23, სურათი 24, სურათი 25, სურათი 26, სურათი 27):

პროპოზიციული ცვლადების რაოდენობა:

კონსტანტების რაოდენობა:

წინადადებების რაოდენობა:

ამოცანის სირთულე:

ნუში ყვავის, მცდარია. ან მცდარია, ბულბული გალობს, ან ნუში ყვავის, მცდარია. მცდარია, ნუში ყვავის და მცდარია, ზღვა ღელავს. ატამი გემრიელია, მცდარია. თუ ზღვა ღელავს, მაშინ მცდარია, ბულბული გალობს, მცდარია.

სურათი 22

კომენტარი: სურათზე წარმოდგენილია ქართული ლოგიკური ამოცანების ავტომატურად მაგენერირებელი ანუ ავტომატურად მაწარმოებელი სისტემის საცდელი

ვერსია. - ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით ეს ერთადერთი ამ ტიპის სისტემაა არა მხოლოდ ქართულისთვის, არამედ საზოგადოდ.

ანუ, ჩვენ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თუნდაც რომელიმე ენისთვის არსებობს ამ ენაში ლოგიკური ამოცანების ავტომატურად მაწარმოებელი სისტემა, არ გაგვაჩნია.

22-ე სურათზე ნაჩვენებია მომხმარებლის მიერ მიცემული „დაკვეთის“ მიხედვით სისტემის მიერ ავტომატურად შედგენილი „მარტივი“ ლოგიკური ამოცანა.

ამასთან, ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის მიხედვით სისტემას ამოცანის შემადგენელი წინადადებები გაგებულა აქვს როგორც ენობრივ-ლოგიკური განტოლებები. ასე მაგალითად:

1. „ნუში ყვავის, მცდარია.“ წინადადება სისტემაში გაგებულა როგორც „ნუში ყვავის = F“ სახის უმარტივესი ენობრივ-ლოგიკური განტოლება.

2. „მცდარია, ნუში ყვავის და მცდარია, ზღვა ღელავს“ წინადადება სისტემაში გაგებულა როგორც „[ნუში ყვავის = F და ზღვა ღელავს = F] = T“ სახის ენობრივ-ლოგიკური განტოლება.

3. „თუ ზღვა ღელავს, მაშინ მცდარია, ბულბული გალობს, მცდარია“ წინადადება სისტემაში გაგებულა როგორც „[თუ [ზღვა ღელავს = T], მაშინ [ბულბული გალობს = F]] = T“ სახის ენობრივ-ლოგიკური განტოლება.

ამგვარად, დასკვნის სახით:

1. ჩვენთვის, ქართული თხრობითი წინადადებებით მოცემული ტექსტი გაგებულა როგორც ქართული ენობრივ-ლოგიკური განტოლებათა სისტემა. შესაბამისად, ასეთი ტექსტის ანალიზი ამ ტექსტით მოცემული ენობრივ-ლოგიკური განტოლებათა სისტემის ამოხსნაზე დაიყვანება;

ამასთან, აქვე, ხაზს ვუსვამთ შემდეგს: ქვემოთ წარმოდგენილი ქართული მეტყველების დამამუშავებელი და სასწავლო და სამეტყველო ინტერაქციის მარეალიზებელი ტექნოლოგიური სისტემების გაცნობის შემდეგ მკითხველი ადვილად დარწმუნდება, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წლების განმავლობაში უწყვეტად მიმდინარე მხარდაჭერის შედეგად ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრის გრძელვადიანი პროექტის „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ ფარგლებში ქართული ენის ლოგიკურ გრამატიკაზე დაყრდნობით მეტყველების დამამუშავების მიმართულებით უკვე წარმოებული კვლევების შედეგად საგრძნობლივ შემცირდა ის დღესაც საგანგაშო ჩამორჩენა, რაც ქართულს სხვა ტექნოლოგიურად დაწინაურებულ ენებთან შედარებით 2012 წლამდე ანუ ამ გრძელვადიანი პროექტის ამოქმედებამდე ამ მიმართულებით ჰქონდა.

- ეს ცხადად ასაბუთებს ამ უმნიშვნელოვანესი მიმართულებით ცენტრში წარმოებული



სურათი 83

კომენტარი: 82-ე, 83-ე და 84-ე სურათებზე წარმოდგენილია ქართული მკითხველის სამეტყველო ბაზების შემმუშავებელი სისტემის ახალი ვერსია.

ეს კომპლექსური სისტემა, ისევე როგორც მისი ძველი - ბევრად უფრო მარტივი ვერსია, იძლევა ქართული ენის ლოგიკური გრამატიკით განვითარებული ახალი ხედვების საფუძველზე ახალი სახმო ანუ სამეტყველო ბაზების შექმნისა და უკვე შექმნილი ბაზების გამართვის ანუ რეგულირების შესაძლებლობებს.

ამასთან, სისტემა, მისი ძველი ვერსიისგან განსხვავებით, რომელშიც მხოლოდ მარტივი კითხვის რეჟიმი იყო რეალიზებული, უზრუნველყოფს კითხვის სამ განსხვავებულ რეჟიმს. ესენია: მარტივი კითხვა (იხ., ზემოთ, სურათი 82), ბუნებრივი კითხვა (იხ., ზემოთ, სურათი 83) და დამარცვლით კითხვა (იხ., ქვემოთ, სურათი 84).


მარტივი, შესაბამისად ბუნებრივი კითხვისას სისტემა იყენებს დამარცვლის მარტივ, შესაბამისად ბუნებრივ ალგორითმს. კერძოდ:

1. მარტივი კითხვისას სისტემა მარტივი მარჯვენა და მარცხენა მარცვლების ხმოვან ჩანაწერებთან ერთად იყენებს აგრეთვე ასო-ბგერების ჩანაწერებს. ასე მაგალითად, ის, რომ 82-ე სურათის დამარცვლის ველში „ს“ გალურჯებულად ჩანს, გვანიშნებს იმაზე, რომ სისტემამ სიტყვა „ბაზების“ წასაკითხად გამოიყენა „ს“ ასო-ბგერის ჩანაწერი, რომელიც სახმო მონაცემის ფანჯარაში მწვანე და წითელი ხაზებით არის მონიშნული. ამასთან, ამ „ს“ ასო-ბგერის ჩანაწერის სიგრძე არის 50, რაზეც „სიგრძე“ ველში არსებული მონაცემი გვანიშნებს. გარდა ამისა, მარტივი კითხვისას სიტყვებში სახმო ანუ სამეტყველო ბაზის მონაცემების გადაბმა ანუ სინთეზირება ერთგვაროვანია და იგი ხდება „შელწევა მარცვლის გარეთ“ სიტყვით დასახელებულ ფანჯარაში ჩაწერილი რიცხვის მიხედვით. 81-ე სურათზე ამ ფანჯარაში ჩაწერილია რიცხვი 1200;

2. ბუნებრივი კითხვისას სისტემა მარტივი მარჯვენა და მარცხენა მარცვლების ხმოვან ჩანაწერებთან ერთად ნაცვლად ასო-ბგერების ჩანაწერებისა იყენებს მარცვლებისგან გენერირებად სხვადასხვა საფეხურის მარჯვენა და მარცხენა მარცვლოიდებს. ასე მაგალითად, ის, რომ 75-ე სურათის მარჯვენა დამარცვლის ველში „ის“ გალურჯებულად

ჩანს, გვანიშნებს იმაზე, რომ სისტემამ სიტყვა „ბაზების“ წასაკითხად გამოიყენა „ის“ მარცვლოიდი, რომელიც სახმო მონაცემის ფანჯარაში მწვანე და წითელი ხაზებით არის მონიშნული და რომლის სიგრძეც „ს“ ასო-ბგერისგან განსხვავებით არის არა 50, არამედ 45, რაზეც ისევ და ისევ „სიგრძე“ ველში არსებული მონაცემი გვანიშნებს. ხაზგასასმელია ისიც, რომ „ის“ მარცვლოიდი წარმოქმნილია „ის“ მარცვლისგან ამოჭრის ოპერაციის გამოყენებით, მაშინ როდესაც მარტივი კითხვისას „ს“ მარცვალი „ს“ ასო-ბგერის ჩაწერის შედეგია. ამასთან, ბუნებრივი კითხვისას სიტყვებში სახმო ანუ სამეტყველო ბაზის მონაცემების გადაბმა ანუ სინთეზირება არაერთგვაროვანია და იგი ხდება „შელწევა მარცვლის შიგნით“ და „შელწევა მარცვლის გარეთ“ სიტყვებით დასახელებულ ფანჯრებში ჩაწერილი მონაცემების მიხედვით. 82-ე სურათზე „შელწევა მარცვლის შიგნით“ არის 3000, ხოლო „შელწევა მარცვლის გარეთ“ – 1200;

3. ბუნებრივი კითხვიდან სისტემის დამარცვლით კითხვაზე გადასაყვანად საკმარისია „დამარცვლით კითხვის“ ღილაკის ჩართვა და „უარყოფითი შელწევა“ ჩანაწერის გააქტიურება ანუ მასზე დაწკაპება, რის შემდეგაც „უარყოფითი შელწევა“ ფანჯარაში ჩაწერილი მონაცემის მიხედვით სისტემა დამარცვლით კითხვისას ან უფრო მეტ ან უფრო ნაკლებ დაყოვნებას აკეთებს მარცვლებს შორის. ასე მაგალითად, 83-ე სურათზე „უარყოფითი შელწევა“ არის - 9000, რაც მშვიდ და ბუნებრივ დამარცვლით კითხვას უკეთებს რეალიზებას.




სურათი 84

კომენტარი: სურათზე გამოსახულია სისტემა, როცა ის -9000 მონაცემით განსაზღვრულ დამარცვლით კითხვის რეჟიმშია. ამასთან, სურათზე გამოტანილი გალურჯებული „ის“ მარცვლოიდი, როგორც ეს 83-ე და 84-ე სურათებიდან ჩანს, სრულად ემთხვევა „ბაზების“ სიტყვის „ის“ მარცვლოიდს.

02. ვორდის ქართული მკითხველი ღილაკებიანი და ხმოვანი მართვით და მასში ჩადგმული ქართული მეტყველების ამომცნობი სისტემები - ავტორები: კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა (იხ., ქვემოთ, სურათი 85, სურათი 86, სურათი 87, სურათი 88, სურათი 89, სურათი 80, სურათი 91, სურათი 92, სურათი 93, სურათი 94, სურათი 95, სურათი 96, სურათი 97, სურათი 98, სურათი 99):

ვორდის ქართული მკითხველი, რომლის სხვადასხვა შემადგენელი დეტალები და ფუნქციონალური ასპექტები ქვემოთაა წარმოდგენილი, მომხმარებელს საშუალებას აძლევს წამოიწყოს, შეწყვიტოს, თავიდან დაიწყოს და/ან გააგრძელოს ქართული ვორდის დოკუმენტის კითხვა, გაამეორებინოს უკვე წაკითხული ბოლო ან ბოლოს წინა წინადადება.

ამასთან, მომხმარებელს საშუალება აქვს ვორდის მკითხველი მისი სურვილის შესაბამისად მართოს როგორც ღილაკებით, ისე ხმოვანი ბრძანებებით. ამის გათვალისწინებით, ქვემოთ, მიმოვიხილავთ რა სისტემის ხმოვანი მართვის თავისებურებებს, ხაზგასმას იმაზე, რომ სისტემა იმავე ბრძანებებს შესაბამისი ტექსტობრივი ღილაკების გააქტიურებითაც ასრულებს, როგორც წესი ადარ გავაკეთებთ.




სურათი 85

კომენტარი: სურათზე წარმოდგენილია ქართული ვორდის მკითხველი ღილაკებიანი მართვით, რომლის შემდგომი განვითარებითაც იქნა აგებული ქართული ხმოვანმართვიანი ვორდის მკითხველი (იხ., ქვემოთ, სურათი 86, სურათი 80, სურათი 92, სურათი 95, სურათი 97, სურათი 98, სურათი 99).

ეს სისტემა, ისევე როგორც მისი ახალი ხმოვანმართვიანი ვერსია, აგებულია ქართული ენის ლოგიკური გრამატიკით ქართული სამეტყველო ენის მარტივ მარცვლებზე ანუ, რაც იგივეა, ქართული სამეტყველო ენის ანბანზე განვითარებულ ახალ ხედვებსა და, ასევე, ამ ახალ ხედვებზე დაყრდნობით შემუშავებულ ბუნებრივი დამარცვლის ალგორითმებზე დაყრდნობით.

გარდა ამისა, სისტემის ხმოვანმართვიანი ვერსია ეყრდნობა ჩვენს მიერ სრულიად დამოუკიდებლად და, ასევე, უცხოურ პლატფორმაზე დაყრდნობით შემუშავებულ ქართული მეტყველების ამომცნობ სისტემებს (იხ., ქვემოთ, სურათი 97, სურათი 88, სურათი 89, სურათი 91, სურათი 93, სურათი 94, სურათი 96).




სურათი 86

კომენტარი: 86-ე სურათზე თქვენ ხედავთ ხმოვანმართვიანი ვორდის ქართულ მკითხველს მოქმედებაში. ანუ, როგორც ეს სურათიდანაც ჩანს, ვორდის მკითხველმა უკვე მიიღო ხმოვანი ბრძანება „დაიწყე კითხვა“ (ამაზე გვანიშნებს ვორდის მკითხველის მართვის გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში „ბრძანება:“ ველში არსებული „დაიწყე კითხვა“ ჩანაწერი. ანუ, მკითხველი იმ ხმოვან ბრძანებას, რომელიც მიიღო, ყოველთვის წერს ამ ველში) და შესაბამისად ამ ბრძანებისა კითხულობს ეკრანზე გახსნილ ვორდის დოკუმენტს.

მკითხველის პანელზე ანუ გარეფორმაზე განთავსებული:


1. ლილაკი „სმენის გამორთვა“ საშუალებას გვაძლევს გამოვრთოთ სისტემის სმენით აღქმის სექტორი ანუ „ყური“. საქმე ისაა, რომ, ზოგჯერ, სისტემამ, კითხვით ან კითხვის დროს რაიმე მიზეზით წარმოქმნილი რაიმე ხმა შეიძლება შესასრულებელ ბრძანებად აღიქვას, რაც, ბუნებრივია, გარკვეულ უხერხულობებს იწვევს სისტემის მოხმარების თვალსაზრისით;
2. „ინსტრუქცია“ ბრძანების მიცემით სისტემა გვიკითხავს მიმდინარე მდგომარეობაში შესასრულებელ ბრძანებს, რაც მხედველობა შეზღუდულ მომხმარებელს ეხმარება სისტემით სარგებლობაში;
3. დიდი ზომის თეთრ ფანჯარაში, რომელსაც ჩვენ ბრძანებათა ფანჯარას ვუწოდებთ, მოცემულია ფრაზები: „გამორთე ვორდის ქართული მკითხველი“ (87-ე სურათზე ნაჩვენებია როგორ გამოიცნო ეს ბრძანება იმ ჩვენმა მეტყველების ამომცნობმა საცდელმა სისტემამ, რომელსაც ეყრდნობა აგრეთვე ამავე ქვეთავში მიმოხილული

ქართული საინტერნეტო მეტყველების ამომცნობისა და ხმოვანი ბროუზერის პირველი საცდელი ვერსიები), „ინსტრუქცია“, „კითხვის პარამეტრები“, ნავიგაციის რეჟიმი“, „ჩემი მონაცემები“, „გაიმეორე ბოლო წინადადება“, „წინა წინადადება“, „გააგრძელე კითხვა“, „დაიწყე კითხვა“, „შეწყვიტე კითხვა“, „დახურე ფაილი“. - ყველა ეს ცალკე სტრიქონების სახით მოცემული ფრაზები არის სია იმ ხმოვანი და ლილაკებიანი ბრძანებებისა, რასაც სისტემა მიმდინარე მდგომარეობაში ანუ რეჟიმში ასრულებს. ანუ, ნებისმიერი ფრაზის თქმით ან ფრაზაზე „მაუსის“ მიტანითა და გააქტიურებით სისტემა ასრულებს ამ ფრაზის შესაბამის ბრძანებას;



სურათი 87


4. 86-ე სურათზე წარმოდგენილ მდგომარეობაში ანუ კითხვისას სისტემა იმყოფება ე.წ. „კითხვის რეჟიმში“. ამასთან, ზემოჩამოთვლილი ბრძანებებიდან ბრძანებებზე „კითხვის პარამეტრები“ (88-ე სურათზე ნაჩვენებია, როგორ გამოიწვოს ეს ბრძანება ჩვენმა მეტყველების ამომცნობმა საცდელმა სისტემამ), „ნავიგაციის რეჟიმი“, „ჩემი მონაცემები“ მიბმულია სისტემის ამავე ბრძანებებით დასახელებული სხვადასხვა რეჟიმები. ანუ ამ ბრძანებებიდან ნებისმიერის მიცემით სისტემა გადადის შესაბამისად დასახელებულ ფუნქციონირების რეჟიმში;




სურათი 88

5. ამგვარად, ზემოჩამოთვლილი ბრძანებებიდან საკუთრივ „კითხვის რეჟიმის“ ბრძანებებია მხოლოდ „გაიმეორე ბოლო წინადადება“ (89-ე სურათზე ნაჩვენებია, როგორ

გამოიგნო ეს ბრძანება ჩვენმა მეტყველების ამომცნობმა საცდელმა სისტემამ), „წინა წინადადება“, „გააგრძელე კითხვა“, „დაიწყე კითხვა“, „შეწყვიტე კითხვა“, „დახურე ფაილი“ და, ასევე, „ინსტრუქცია“ ბრძანება, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ამავე სახელით სისტემის ოთხივე რეჟიმში მეორდება, ფუნქციონირების ანუ, ამ შემთხვევაში, ინსტრუქტირების თვალსაზრისით სხვადასხვა რეჟიმში სხვადასხვა ანუ რეჟიმის შესაბამის ისტრუქტაჟებს იძლევა.



სურათი 89




სურათი 90

კომენტარი: 90-ე სურათზე თქვენ ხედავთ ვორდის ქართულ მკითხველს, როცა ის იმყოფება ეგრეთ წოდებულ „ჩემი მონაცემების“ რეჟიმში.

ამ რეჟიმში მოქმედ ბრძანებათა სია მომხმარებელს ეწოდება „ბრძანებათა ფანჯარაში“ არსებული სტრიქონული მონაცემებით. ამჯერად ეს ბრძანებებია: „გამორთე ვორდის ქართული მკითხველი“, „ნავიგაციის რეჟიმი“, „გიორგი ჩიჩუა“, „ზოგადი მომხმარებელი“, „კონსტანტინე ფხაკაძე“. საქმე ისაა, რომ ამ მომენტისათვის სისტემაზე

კერძო მომხმარებლის სახით მიერთებულია მხოლოდ „გიორგი ჩიჩუა“ და „კონსტანტინე ფხაკაძე“. ამასთან, სისტემას ამ ბრძანებების ხმით მიღების საშუალებას აძლევს მისი „ყური“ ანუ ქართული მეტყველების ამომცნობი (იხ. ქვემოთ, სურათი 91), რომელიც ჩვენს მიერ შემუშავებული ქართული ხმოვანი მართვის მოდულის მთავარი ქვესისტემაა (იხ., ქვემოთ, მომდევნო განაკვეთი).




სურათი 91

კომენტარი: სურათზე ნაჩვენებია როგორ გამოიძნო ქართული ხმოვანი მართვის მოდულის „ყურმა“ „ჩემი მონაცემები“ რეჟიმში მოქმედი ხმოვანი ბრძანებები.

ეს რეჟიმი სისტემაზე უკვე მიერთებულ მომხმარებელს საშუალებას აძლევს შევიდეს სისტემაში ან როგორც ზოგადი მომხმარებელი ან მისი პირადი მონაცემებით. ანუ, რეჟიმი სისტემაზე ჯერ კიდევ არმიერთებულ მომხმარებელს სისტემის ზოგადი მომხმარებლის სტატუსით სარგებლობის საშუალებას აძლევს. ასევე, სისტემა ასეთ მომხმარებელს საშუალებას აძლევს მიუერთდეს სისტემას მისი სახელით და გვართ, როგორც კერძო მომხმარებელი.

გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც მომხმარებელმა გაიარა „ჩემი მონაცემების“ ანუ, რაც ფაქტობრივ იგივეა, მომხმარებლის რეგისტრაციის რეჟიმი და გადაწყვიტა ისარგებლოს სისტემით ან როგორც ზოგადად ან როგორც კერძო მომხმარებელმა, მას ამის საშუალებას აძლევს ბრძანება „ნავიგაციის რეჟიმი“ (იხ., ქვემოთ, სურათი 92).

გასაგებია, რომ ბრძანება „გამორთე ვორდის ქართული მკითხველი“ გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელმა უკვე დაასრულა სისტემასთან ურთიერთობა.




სურათი 92

კომენტარი: 92-ე სურათზე სისტემა მომხმარებლის შესაბამისი ბრძანების თანახმად ჩაყენებულია ნავიგაციის რეჟიმში.

ამ რეჟიმში მოქმედ ბრძანებათა სია მომხმარებელს ეწოდება „ბრძანებათა ფანჯარაში“ არსებული სტრიქონული მონაცემებით. ეს ბრძანებებია: „გამორთე ვორდის ქართული მკითხველი“, „კითხვის რეჟიმი“, „დისკები“, „საქალაქდები“, „ფაილები“, „რჩეული საქალაქდები“, „რჩეული ფაილები“, „წინა“, „მომდევნო“, „შემდეგი“, „გაიმეორე“, „გახსენი“, „გამოსვლა გარე დონეზე“, „ჩემი მონაცემები“, „ინსტრუქცია“. ამასთან, სისტემას

ამ ბრძანებების ხმით მიღების საშუალებას აძლევს ჩვენს მიერ შემუშავებული ქართული ხმოვანი მართვის მოდული (იხ., ქვემოთ, სურათი 93).



სურათი 93

კომენტარი: სურათზე ნაჩვენებია როგორ გამოიყენო ქართული ხმოვანი მართვის მოდულის „ყურმა“ „ნავიგაციის რეჟიმში“ მოქმედი ხმოვანი ბრძანებები.

სისტემაში როგორც ზოგად მომხმარებელზე, ისე ნებისმიერ კერძო მომხმარებელზე მიბმულია მისი ანუ ამ მომხმარებლის „საქალაქები“, „ფაილები“ „რჩეული საქალაქები“, „რჩეული ფაილები“. ამის გათვალისწინებით, ხაზს ვუსვამთ, რომ ზემოჩამოთვლილი ბრძანებებიდან ამ ოთხი ბრძანების გარდა ყველა სხვა ერთფუნქციონალური ანუ კერძო მომხმარებლისგან დამოუკიდებელი ბრძანებებია. ამასთან:

1. ბრძანებებით: „დისკები“, „საქალაქები“, „ფაილები“, „რჩეული საქალაქები“, „რჩეული ფაილები“ შესაბამისად აქტიურდება კომპიუტერის დისკები და მომხმარებლის „საქალაქები“, „ფაილები“, „რჩეული საქალაქები“, „რჩეული ფაილები“ და, ასევე, სისტემა გააქტიურებულ მოცემულობაზე ხმით აწვდის ინფორმაციას მომხმარებელს;

2. ამასთან, თუ ეს ხმით მიწოდებული ინფორმაცია მომხმარებელმა ვერ გაიგო, ბრძანებით „გაიმეორე“, სისტემა მომხმარებელს კიდევ ერთხელ უკითხავს ანუ კიდევ ერთხელ აწვდის ხმით ინფორმაციას აქტიურ მდგომარეობაში მყოფ მოცემულობაზე;

3. ამ მდგომარეობაში ბრძანება „გახსენი“ ხსნის გააქტიურებულ მოცემულობას ანუ ან დისკს, ან ფოლდერს „საქალაქები“ ან ფოლდერს „ფაილები“ ან ფოლდერს „რჩეული საქალაქები“ ან ფოლდერს „რჩეული ფაილები“;

4. ამასთან, ამავე მდგომარეობაში ბრძანებები „წინა“, „მომდევნო“, „შემდეგი“, „გამოსვლა გარე დონეზე“ მომხმარებელს სისტემაში ანუ, ამ შემთხვევაში, ან დისკებში ან

„საქალაქებში“ ან „ფაილებში“ ან „რჩეულ საქალაქებში“ ან „რჩეული ფაილებში“ მოძრაობის ანუ ნავიგაციის საშუალებას აძლევს;


5. გარდა ამისა, ყოველი ახალი მოცემულობის გააქტიურებისას სისტემა მოხმარებელს გააქტიურებულ მოცემულობაზე ინფორმაციას აწვდის წაკითხვით ანუ ხმით, რისი ვერ გაგების შემთხვევაშიც მოხმარებელს ყოველთვის აქვს საშუალება ბრძანებით „გაიმეორე“ კიდევ ერთხელ მოისმინოს გააქტიურებული მოცემულობის სახელი;

6. ბრძანება „გამოსვლა გარე დონეზე“ გვაბრუნებს „საქალაქებში“/„რჩეულ საქალაქებში“, შესაბამისად „ფაილებში“/„რჩეულ ფაილებში“ თუ გახსნილი გვაქვს რომელიმე საქალაქი, შესაბამისად ფაილი. - აქვე შევნიშნავთ, რომ ამ და ყველა სხვა „შეზღუდული“ ბრძანების (ანუ ბრძანების, რომელიც გარკვეულ პირობებში არ სრულდება) „შეზღუდვის“ ფარგლებში გააქტიურებისას სისტემა მოხმარებელს აწვდის ხმოვან ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ეს ბრძანება ამ შემთხვევაში არ სრულდება;

7. ბრძანებები „გამორთე ვორდის ქართული მკითხველი“ და „ინსტრუქცია“ ზოგადი ხასიათის ბრძანებებია და ისინი ამ და ყველა სხვა რეჟიმში ფუნქციონირებენ უკვე აღწერილი სახით;

8. ბრძანებას „კითხვის რეჟიმი“ სისტემა გადაყავს კითხვის რეჟიმში (იხ., ქვემოთ, სურათი 95).

როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, კითხვის რეჟიმის ბრძანებებია: „გამორთე ვორდის ქართული მკითხველი“, „ინსტრუქცია“, „კითხვის პარამეტრები“, ნავიგაციის რეჟიმი“, „ჩემი მონაცემები“, „გაიმეორე ბოლო წინადადება“, „წინა წინადადება“, „გააგრძელე კითხვა“, „დაიწყე კითხვა“, „შეწყვიტე კითხვა“, „დახურე ფაილი“. ამასთან, სისტემას ამ ბრძანებების ხმით მიღების საშუალებას აძლევს ჩვენს მიერ შემუშავებული ქართული ხმოვანი მართვის მოდული.




სურათი 94

კომენტარი: სურათზე ნაჩვენებია როგორ გამოიყენო ქართული ხმოვანი მართვის მოდულის „ყურმა“ „კითხვის რეჟიმში“ მოქმედი ხმოვანი ბრძანებები.

ამ ბრძანებებიდან ჩვენ უკვე ვიცით „გამორთე ვორდის ქართული მკითხველი“, „ინსტრუქცია“, „ნავიგაციის რეჟიმი“, „ჩემი მონაცემები“ ბრძანებების შინაარსი.

ახლა ძალიან მოკლედ სხვა ბრძანებებზე:

1. „დაიწყე კითხვა“ / „შეწყვიტე კითხვა“ / „გააგრძელე კითხვა“ ბრძანებით სისტემა იწყებს უკვე გახსნილი ქართული ვორდის დოკუმენტის კითხვას / წყვეტს უკვე წამოწყებულ კითხვის პროცესს / აგრძელებს შეწყვეტილ კითხვას შეწყვეტის ადგილიდან;
2. „გაიმეორე ბოლო წინადადება“/„წინა წინადადება“ ბრძანებით სისტემა იმეორებს ანუ ხელმეორედ კითხულობს ბოლო/ბოლოს წინა წინადადებას;
3. „დახურე ფაილი“ ბრძანებით სისტემა ხურავს იმ ფაილს რომელიც ნავიგაციის რეჟიმში წაკითხვის მიზნით უკვე ქონდა გახსნილი;
4. „კითხვის პარამეტრები“ ბრძანებით სისტემა გადადის კითხვის პარამეტრების არჩევის რეჟიმში (იხ., ქვემოთ, სურათი 95).




სურათი 95

კომენტარი: 95-ე სურათზე სისტემა მომხმარებლის ბრძანების შესაბამისად ჩაყენებულია კითხვის რეჟიმში. მსგავსად სხვა რეჟიმებისა ამ რეჟიმშიც ბრძანებათა სია მომხმარებელს ეწოდება „ბრძანებათა ფანჯარაში“ არსებული სტრიქონული მონაცემებით, რომლებიც, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, შესაბამისი ბრძანების მიმცემი ღილაკებიცაა.

ქვემოთ, 97-ე სურათზე, სისტემა მომხმარებლის ბრძანების შესაბამისად ჩაყენებულია „კითხვის პარამეტრების“ არჩევის რეჟიმში.

„ბრძანებათა ფანჯარაში“ განთავსებულია ამ რეჟიმში მოქმედი ბრძანებები. ესენია: „გამორთე ვორდის ქართული მკითხველი“, „სწრაფი კითხვა“, „ნელი კითხვა“, „საშუალო კითხვა“, „დამარცვლით კითხვა“, „ბუნებრივი კითხვა“, „ხმის ფილტრის ჩართვა“, „ხმის ფილტრის გამორთვა“, „კითხვის რეჟიმი“, „კაცის ხმა“, „ქალის ხმა“, „ინსტრუქცია“.

ამასთან, სისტემას ამ ბრძანებების ხმით მიღების საშუალებას აძლევს ჩვენს მიერ შემუშავებული ქართული ხმოვანი მართვის მოდული.



სურათი 96

კომენტარი: სურათზე ნაჩვენებია როგორ გამოიყენო ქართული ხმოვანი მართვის მოდულის „ყურმა“ „კითხვის პარამეტრების“ რეჟიმში მოქმედი ხმოვანი ბრძანებები.


„კითხვის პარამეტრების“ რეჟიმის ბრძანებებიდან ჩვენ უკვე ვიცით „გამორთე ვორდის ქართული მკითხველი“, „ინსტრუქცია“, „კითხვის რეჟიმი“ ბრძანებების შინაარსი. ახლა ძალიან მოკლედ სხვა ბრძანებებზე:

1. „სწრაფი კითხვა“ / „ნელი კითხვა“ / „საშუალო კითხვა“ ბრძანებით მომხმარებელი ირჩევს პირობითად სწრაფი / ნელი / საშუალო სიჩქარის კითხვას (იხ. ქვემოთ, სურათი 97, სურათი 98);


2. „ბუნებრივი კითხვა“ / „დამარცვლით კითხვა“ ბრძანებით მომხმარებელი ირჩევს ბუნებრივი ანუ ჩვეულებრივი / დამარცვლითი კითხვის ფორმატს (იხ. ქვემოთ, სურათი 99);

3. „ხმის ფილტრის ჩართვა“ / „ხმის ფილტრის გამორთვა“ ბრძანებით მომხმარებელს შეუძლია ჩართოს / გამართოს ხმის ფილტრი;

4. „კაცის ხმა“ / „ქალის ხმა“ ბრძანებით მომხმარებელს შეუძლია კითხვისთვის აირჩიოს კაცის / ქალის ხმა.




სურათი 97



სურათი 98

კომენტარი: 97-ე სურათზე სისტემა ნელი კითხვის ფორმატშია. ეს ჩანს შედწევა მარცვლის შიგნით / გარეთ ველებში არსებული მონაცემებით. 98-ე სურათზე სისტემა არის

დამარცვლით კითხვის ფორმატში. ეს ჩანს შედწევა მარცვლის გარეთ ველში არსებული - 9000 მონაცემით.



სურათი 99

კომენტარი: 99-ე სურათზე სისტემა მომხმარებლის ბრძანების შესაბამისად ჩაყენებულია „კითხვის პარამეტრების“ არჩევის რეჟიმში.


ამგვარად, ჩვენ უკვე აღწერეთ ღილაკებიანი და ხმოვანმართვიანი ვორდის ქართული მკითხველი, რომელიც შეიძლება შეფასდეს უსინათლო მომხმარებელზე ადაპტირებული ანუ მორგებული ქართული კომპიუტერული სისტემის შემუშავებისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯად.¹

თუმცა, ცხადია, ეს სისტემა არა მხოლოდ ამ მხრივ არის მნიშვნელოვანი. ანუ, ჩვენ ამ სისტემას გარდა აღნიშნულისა ვაფასებთ აგრეთვე ქართული კომპიუტერული ყურის, ყელისა და ტვინის ანუ, რაც იგივეა, ქართული ტექნოლოგიური ანბანის აგების მიმართულებით გადაგმულ კიდევ ერთ არაუმნიშვნელო ნაბიჯად, რაც მთლიანობაში

¹ აქვე ხაზს ვუსვამთ, რომ ქვემოთ აღწერილია ადაპტირებული ქართული კომპიუტერული სისტემის პირველი საცდელი ვერსია, რომელსაც ბევრად უფრო მეტი მოცულობით აქვს მოქცეული ხმოვან მართვაში „ვინდოუსი“.

გასაგებს ხდის სისტემის მაღალ მნიშვნელობას ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის თვალსაზრისით.

03. ქართული საინტერნეტო მკითხველი - ავტორები: კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა (იხ. ქვემოთ, სურათი 100):



სურათი 100

კომენტარი: 100-ე სურათზე წარმოდგენილი ქართულ საინტერნეტო მკითხველი ანუ სინთეზატორი კითხულობს ქართული ასოებით აკრეფილ ნებისმიერ ტექსტს. ეს სისტემა მეტად მარტივად მოსახმარია.

კერძოდ, სისტემით სარგებლობისათვის საკმარისია სისტემის სასინთეზო ველში აკრიპოთ ან პასტი-კოპით ჩააგდოთ ქართული ელექტრონული ტექსტი და გააქტიუროთ ღილაკი „სინთეზირება“.

სინთეზირებული ტექსტის განმეორებითი მოსმენისათვის საკმარისია გააქტიუროთ „სინთეზირება“ ღილაკის ქვემოთ განთავსებული სინთეზის ქრონომეტრაჟორის „სამკუთხა“ ღილაკი. როგორც სურათიდანაც ჩანს, მკითხველით სინთეზირებული ტექსტის კითხვის ხანგრძლივობაა 15 წამი.

04. ქართული ვებ-გვერდების საცდელი/საცდელ-სამომხმარებლო საინტერნეტო მკითხველი ღილაკებიანი მართვით - ავტორები: კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა, მ. ჩიქვინიძე (იხ., ქვემოთ, სურათი 101) და ღილაკებიანი და ხმოვანი მართვით - ავტორები: კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა, მ. ჩიქვინიძე, დ. კურცხალია (იხ., ქვემოთ, სურათი 102):


101-ე / 102-ე სურათზე წარმოდგენილია ქართული ვებ-გვერდების მკითხველი ღილაკებიანი / ღილაკებიანი და ხმოვანმართვითიანი პირველი საინტერნეტო სისტემები, რომლებიც მსგავსად ამ ზემოაღწერილი სისტემისა ასევე მეტად მარტივად მოსახმარი სისტემებია. ეს სისტემები მომხმარებელს საშუალებას აძლევს მოსმენით მიიღოს ინფორმაცია ვებ-გვერდებზე არსებული მასალებიდან.



სურათი 101

კომენტარი: 96-ე სურათზე წარმოდგენილია ზემოაღწერილ ქართულ საინტერნეტო მკითხველზე დაყრდნობით აგებული ღილაკებიანი ქართული ვებ-გვერდების საინტერნეტო მკითხველი. „Play = კითხვის წამოწყება“ ღილაკის გააქტიურებით სისტემა იწყებს მონიშნული ადგილის კითხვას. „Continue = კითხვის გაგრძელება“ / „Stop = კითხვის

შეწყვეტა“ ღილაკის გააქტიურებით სისტემა წყვეტს / აგრძელებს უკვე მიმდინარე / შეწყვეტილ კითხვას.



სურათი 102

კომენტარი: 102-ე სურათზე წარმოდგენილია ზემოაღწერილ ღილაკებიან ქართულ საინტერნეტო მკითხველზე დაყრდნობით აგებული ღილაკებიანი და ხმოვანმართვიანი ქართული ვებ-გვერდების საინტერნეტო მკითხველი, მაშინ როცა ის კითხულობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მონიშნულ ქართულ ტექსტს. ეს სისტემა იმართება როგორც ღილაკებით, ისე ხმოვანი ბრძანებებით. კერძოდ:

1. წითელი ღილაკის „წაიკითხე“ გააქტიურებით, ასევე, ხმოვანი ბრძანებით „წაიკითხე“ სისტემა იწყებს კითხვას.
2. წითელი ღილაკის „შეწყვიტე“ / „გააგრძელე“ გააქტიურებით, ასევე, ხმოვანი ბრძანებით „შეწყვიტე“ / „გააგრძელე“ სისტემა წყვეტს / აგრძელებს უკვე მიმდინარე / შეწყვეტილ კითხვას.

05. ქართული ხმოვანი მართვის საინტერნეტო და არასაინტერნეტო მოდულები ანუ გუგლის გაფართოების სახით შემუშავებული ქართული ხმოვანი ბრაუზერი (ქართული ხმოვანი საინტერნეტო გზამკვლევი) და ხმოვანმართვიანი ქართული „ვინდოუსი“. - ავტორები: კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია (იხ., ქვემოთ, სურათი 103, სურათი 104, სურათი 105, სურათი 106, სურათი 107, სურათი 108, სურათი 109, სურათი 110):

ზემოთ წარმოდგენილი ღილაკებიანი და ხმოვანმართვიანი ქართული ვებ-გვერდების საინტერნეტო მკითხველი არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში გუგლის „ექსტენშენის“ ანუ გაფართოების სახით შემუშავებული ქართული ხმოვანმართვიანი ბრაუზერის ანუ გზამკვლევის ერთ-ერთი ქვესისტემა.

მსგავსად უკვე აღწერილი ღილაკებიანი და ხმოვანმართვიანი ქართული ვებ-გვერდების საინტერნეტო მკითხველისა ქართული ხმოვანი ბრაუზერი ანუ, სხვა სიტყვებით რომ თქვათ, ქართული ხმოვანი საინტერნეტო გზამკვლევი, ისევე როგორც ქართული ხმოვანი „ვინდოუსი“ გარდა ხმოვანი ბრძანებებისა იმართება აგრეთვე „სამაუსო“ ანუ ღილაკებიანი ბრძანებებით, რაც რეალიზებულია ხმოვან მართვაში სხვადასხვა მიზეზებით შესაძლოა წარმოქმნილი შეფერხებების გათვალისწინებით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში გუგლის „ექსტენშენის“ ანუ გაფართოების სახით შემუშავებული ქართული ხმოვანმართვიანი გზამკვლევის მიმოხილვამდე ძალიან მოკლედ იმ საინტერნეტო ქართული მეტყველების ამომცნობისა (ავტორები: კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა) და ხმოვანი ბრაუზერის (ავტორები: კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა) საცდელი ვერსიების შესახებ, რომლებიც ჩვენ 87-ე, 88-ე და 89-ე სურათებით წარმოდგენილ ქართულ მეტყველების ამომცნობ საცდელ სისტემაზე დაყრდნობით ავაგეთ (იხ., ქვემოთ, სურათები 103, სურათები 104, სურათები 105, სურათები 106, სურათები 107, სურათები 108).


დაჭირეთ Allow ღილაკს და თქვით ფრაზა



სურათი 103


კომენტარი: 103-ე სურათზე წარმოდგენილია ქართული მეტყველების ამომცნობი საინტერნეტო სისტემის პირველი საცდელი ვერსია. ქვემოთ წარმოდგენილია გუგლის მთარგმნელის ქართული გაფართოების (ავტორები: კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა) ანუ ხმიდან - ხმაზე მთარგმნელი ქართული საინტერნეტო სისტემის ის პირველი საცდელი ვერსია, რომელშიც ხმის გამოცნობა 103-ე სურათით წარმოდგენილი მეტყველების ამომცნობი

სისტემით იყო რეალიზებული, ხმის სინთეზი კი - 100-ე სურათით წარმოდგენილი მკითხველი სისტემით.²



სურათი 104


კომენტარი: სურათზე წარმოდგენილია ქართული ხმოვანი ბრაუზერის საცდელი ვერსიის ხმოვანი ბრძანებების სია.



სურათი 105

კომენტარი: სურათზე წარმოდგენილია ქართული ხმოვანი ბრაუზერის მაშინ როდესაც მიღებული ხმოვანი ბრძანებით გახსნა გააქტიურებული ბმული.

² გუგლის მთარგმნელის სხვადასხვა სახის ქართული გაფართოებები დეტალურადაა მიმოხილული მომდევნო თავში.



სურათი 106

კომენტარი: სურათზე წარმოდგენილია ქართული ხმოვანი ბრაუზერი მაშინ როდესაც მიღებული ხმოვანი ბრძანებებით მოძრაობს ვებ-გვერდზე.

ამგვარად, ზემოთ 104-ე, 105-ე, 106-ე სურათებზე წარმოდგენილია ქართული ხმოვანი ბრაუზერის პირველი საცდელი ვერსია, რომელიც წინასწარი სახით ჩვენ შემუშავებული ვეჭონდა 2007-2008 წლებში და რომელიც საცდელი სახით 2009 წელს ავამოქმედეთ.

ეს საცდელი სისტემა, რომელიც ხარისხიანად მხოლოდ ძლიერ შეზღუდული ფაქტურის ხმაზე მუშაობდა, „დაიწყო“, „გააგრძელო“, „შეწყვიტო“ ბრძანებებით არეგულირებდა საინტერნეტო კითხვის პროცესს, „ბმულები“, „რჩეულები“, „წინ“, „უკან“, „გახსენი“ ბრძანებებით კი - ინტერნეტში მოძრაობას.

ქართული ხმოვანი მართვის მოდული ანუ გუგლის გაფართოების სახით შემუშავებული ქართული ხმოვანი ბრაუზერი ანუ საინტერნეტო გზამკვლევი (იხ., ქვემოთ, სურათი 107 და სურათი 108) გარდა იმისა, რომ ხმოვან მართვაში აყენებს დღეს მასში ჩართულ ანუ მასზედ მიერთებულ სისტემებს, უზრუნველყოფს აგრეთვე ამ სისტემებთან მომხმარებლის ხმოვან ურთერთობას ანუ სამეტყველო ინტერაქციას. ამასთან, დღეს უკვე ქართულ ხმოვან ბრაუზერზე მიერთებულია:

1. ვებ-გვერდი „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ <http://gtu.ge/>;
2. ვებ-გვერდი „მანგლელი მიტროპოლიტი ანანია“ <http://meufeanania.info>;
3. ვიდეოპორტალი „მაივიდეოჯი“ <http://www.myvideo.ge/>;
4. ქართული ჭკვიანი ჟურნალის პირველი საცდელი საინტერნეტო ვერსია;
5. ქართული ადაპტირებული ვიკიპედიის პირველი საცდელი ვერსია;

6. ქართული ადაპტირებული ელ-ფოსტის (ჯიმეილის) პირველი საცდელი ვერსია;
 7. ქართული ლოგიკური ამოცანების ავტომატურად მაწარმოებელი (მაგენერირებელი) საინტერნეტო სისტემის პირველი საცდელი ვერსია;
 8. ქართული ლოგიკური ამოცანების ამოხსნის უნარების ავტომატური ტესტირების საინტერნეტო სისტემის პირველი საცდელი ვერსია;
 9. ქართული კითხვებზე მოპასუხე საინტერნეტო სისტემის პირველი საცდელი ვერსია;
- ამგვარად, ქვემოთ, სურათებისა და მათზე თანდართული კომენტარებით მოკლედ მიმოვიხილავთ ამ აქ ზემოჩამოთვლილი სისტემებს.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი © 2016 ყველა უფლება დაცულია
 საიტის შექმნის თარიღი: 16.03.2000 | ბოლო განახლების თარიღი: 02.04.2016

სურათი 107



შპს პირათვის —
 სტუ ქართული ენის
 ტექნოლოგიების
 ცენტრი


სურათი 108

კომენტარი: 107-ე სურათზე წარმოდგენილია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ ვებ-გვერდის მთავარი გვერდის მოსიარულე ბილიკი.

108-ე გვერდზე წარმოდგენილია ამ ბილიკიდან ამოღებული ლოგო წარწერით „შპს პირათვის - სტუ ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრი“, რომლის გააქტიურებითაც მომხმარებელს ეძლევა ქართულ ხმოვან ბრაუზერზე გასვლის (იხ., ქვემოთ, სურათი 109), მისი გადმოწერის ანუ თავის კომპიუტერში მისი დაყენების და. ასევე, მისი მოხმარების ინსტრუქციის გაცნობის საშუალება.

ქართული ენის ტექნოლოგიების
სასწავლო-სამეცნიერო
ცენტრი

მთავარი ავტორიზაცია ჩვენს შესახებ ვებ გვერდი არქივი გამოცემები ბიბლიოთეკა კონტაქტი

გადმოწერეთ ექსტენშენი (გაფართოება) 

საინტერნეტო სივრცეში შშმ პირებისა და არამხოლოდ შშმ პირების უფრო მეტი და უფრო თავისუფალი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი იწყებს ნოვაციური სახის სოციალური პროექტების საცდელ-სამომხმარებლო დანერგვას.

ქვემოთ წარმოგიდგენთ (იხ. 1, 2, 3 და 4 ვიდეონსტრუქციები) ცენტრში შემუშავებული (ავტორები: კონსტანტინე ფხაკაძე, მერაბ ჩიქვინიძე, გიორგი ჩიჩუა, დავით კურცხალია) ქართული ხმოვანი ბრაუზერის ანუ გზამკვლევის იმ პირველ საცდელ-სამომხმარებლო ვერსიას, რომელიც არასრული მოცულობით უკვე მორგებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (gtu.ge), ვებ-გვერდზე "მანგლელი მიტროპოლიტი ანანია" (meufeania.info), მაივიდეოვი პორტალზე (myvideo.ge), ქართულ ვიკიპედიაზე (ka.wikipedia.org).

და ბოლოს, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ, რომ ზემოთ წარმოდგენილია ქართული ხმოვანი გზამკვლევის მხოლოდ საცდელ-სამომხმარებლო ვერსია და, აქედან გამომდინარე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შეტყობინებები სისტემის ფუნქციონირებისას გამოვლენილ ნაკლოვან მხარეებსა და შეცდომებზე. - ეს ჩვენ დაგვეხმარება სისტემის შემდგომი ხარისხობრივად გაუმჯობესებელი ვერსიების აგებაში.

ვიდეონსტრუქცია 1



ვიდეონსტრუქცია 2



ვიდეონსტრუქცია 3




ვიდეონსტრუქცია 4



სურათი 109

კომენტარი: სურათზე თქვენ ხედავთ ქართული ხმოვანი ბრაუზერის ანუ ქართული საინტერნეტო ხმოვანი გზამკვლევის საცდელ-სამომხმარებლო ვერსიის გადმოსაწერ ბმულსა და, ასევე, მისი მოხმარების ვიდეონსტრუქციებს.

ქართული ხმოვანი ბრაუზერის გადმოსაწერი ბმულის გააქტიურებით ქრომის ვებ-სტორზე ანუ ქრომის ვებ-მაღაზიაზე მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი ხდება ქართული ხმოვანი ბრაუზერი (იხ., ქვემოთ, სურათი 110).



სურათი 110

კომენტარი: სურათზე თქვენ ხედავთ ქრომის ვებ-მაღაზიაზე განთავსებულ ქართულ ხმოვან ბრაუზერს ანუ, სხვა სიტყვებით, ქართულ საინტერნეტო ხმოვან გზამკვლევს.

ამასთან, 109-ე სურათზე წარმოდგენილი ვიდეოინსტრუქციებიდან:


1. პირველი ხსნის იმას, თუ როგორ უნდა გადმოწეროს ანუ დააყენოს მომხმარებელმა გზამკვლევი თავის კომპიუტერში მოხმარებისთვის მზა მდგომარეობაში;
2. მეორე ხსნის იმას, თუ როგორ ფუნქციონირებს გზამკვლევი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
3. მესამე ხსნის გზამკვლევის ფუნქციონირებას ვებ-გვერდზე „მანგლელი მიტროპოლიტი ანანია“;
4. მეოთხე დემონსტრირებას უკეთებს გზამკვლევის ფუნქციონირებას ვიდეოპორტალ „მაივიდეოჯიზე“.

ამგვარად, ჩვენ უკვე ზოგადად მიმოვიხილეთ ქართული საინტერნეტო ხმოვანი გზამკვლევი ანუ, მოკლედ, ქართული ხმოვანი გზამკვლევი ანუ, რაც იგივეა, ქართული ხმოვანი ბრაუზერი. ახლა უკვე, ქვემოთ, სურათებისა და მათზე თანდართული ტექსტობრივი კომენტარების დახმარებით მოკლედ წარმოვადგენთ გზამკვლევზე მიერთებულ ანუ მასზე უკვე მორგებულ და ზემოთ უკვე ჩამოთვლილ ქართულ ტექნოლოგიურ სისტემებს.

06. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მორგებული ანუ მიერთებული ქართული ხმოვანი საინტერნეტო გზამკვლევი - ავტორები: კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია (იხ. ქვემოთ, სურათი 111, სურათი 112, სურათი 113, სურათი 114, სურათი 115, სურათი 116, სურათი 117, სურათი 118, სურათი 119, სურათი 120, სურათი 121, სურათი 122):

მომხმარებლებს ვებ-გვერდზე ხმოვანი ბრძანებებით მოძრაობისა და ვებ-გვერდიდან ინფორმაციის ხმით ანუ მოსმენით მიღების საშუალებას აძლევს. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სისტემა მომხმარებელს ვებ-გვერდთან ქართულ სასაუბრო ურთიერთობაში ანუ ქართულ დიალოგურ ინტერაქციაში აყენებს.

ეს, ერთი მხრივ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდის სახით არსებულ საინტერნეტო სივრცეს ქართული ენის მცოდნე მხედველობა შეზღუდულ პირთათვის ადაპტირებულს ანუ ხელმისაწვდომს ხდის, რაც აშკარას ხდის სისტემის მეტად მნიშვნელოვან სოციალურ დატვირთვას, მეორე მხრივ კი, ცხადია, რომ ეს ნოვაციური - ჯერ მხოლოდ საცდელი სახით დანერგილი სისტემა, მისი შემდგომი ამომწურავი გასრულებითა და ხარისხობრივი გაუმჯობესებით, ქართული ენის მცოდნე ნებისმიერი მომხმარებლისთვის საინტერნეტო სივრცეში ქართული ენით ნავიგაციისა და ინფორმაციის მიღების მეტად თავისუფალ და მეტად კომფორტულ საშუალებად იქცევა.




სურათი 111

კომენტარი: 111-ე სურათზე, წარმოდგენილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მორგებული ქართული ხმოვანი საინტერნეტო გზამკვლევის გამარტივებული ვერსია მოქმედებაში (იხილეთ სურათის მარჯვენა ზედა

კუთხეში განთავსებული გზამკვლევის გარე ფორმის ანუ პანელის ვერსიის ველში არსებული ჩანაწერი).


საქმე ისაა, რომ ამჟამად სისტემაში არასრული სახით რეალიზებულია ფუნქციონირების სამი ვერსია. ესენია: სრული, დანაწევრებული და გამარტივებული. იმის გათვალისწინებით, რომ გამოყენების თვალსაზრისით სისტემის გამარტივებული ვერსია სხვებთან შედარებით უფრო მდგრადია ანუ ხმით მართვის თვალსაზრისით უფრო საიმედოა, ჯერ-ჯერობით მომხმარებელს საცდელი სახით სწორედ ამ ვერსიას ვთავაზობთ.

კერძოდ, როგორც სურათიდანაც ჩანს, სისტემა, მიიღო რა ხმოვანი ბრძანება „სიახლეები და მოვლენები“ (იხილეთ გზამკვლევის პანელის ბრძანების ველში ყვითელი ფერით მოცემული ჩანაწერი), კითხულობს ვებ-გვერდის „სიახლეები და მოვლენები“ სექტორის ყვითელი ფერით მონიშნულ პირველ სიახლეს.



სურათი 112

კომენტარი: 112-ე სურათზე არსებულ მდგომარეობაში ქართულმა ხმოვანმა საინტერნეტო გზამკვლევმა ჯერ მიიღო ხმოვანი ბრძანება „ვრცლად“, რასაც შედეგად მოჰყვა სიახლის ვრცელ ანუ სრულ ვერსიაში შესვლა, რის შემდეგაც ბრძანების „დაიწყო კითხვა“ შესაბამისად გზამკვლევი მომხმარებელს უკითხავს სიახლის სრულ ვერსიას. ამ მდგომარეობაში ანუ კითხვისას მოქმედებს გზამკვლევაში ჩადგმული სახით არსებული ქართული ხმოვანმართვიანი მკითხველი სისტემა, რომელიც გარდა „წაიკითხე“, „შეწყვიტე“, „გააგრძელე“ ბრძანებებისა (იხ., სურათზე მარჯვენა კუთხეში განთავსებულ ფანჯარაში არსებული წითლად შეფერილი ღილაკები) იღებს და ასრულებს აგრეთვე ბრძანებებს „შემდეგი აზხაცი“, „წინა აზხაცი“, რომელთაგან პირველი კითხვის შემდეგ, მეორე კი - წინა აზხაცზე გადატანას გულისხმობს.




სურათი 113


კომენტარი: 113-ე სურათზე გზამკვლევა სიახლის კითხვისას მიიღო ბრძანება „შემდეგი აზზაცი“, რასაც შედეგად მოყვა კითხვის შემდეგ აზზაციზე გადატანა.



სურათი 114



სურათი 115



სურათი 116

კომენტარი: 114-ე, 115-ე და 116-ე სურათებით ნაჩვენებია როგორ მოძრაობს ქართული ხმოვანი საინტერნეტო გზამკვლევი ვებ-გვერდის ჰორიზონტალურ ხაზებში „შემდეგი“ და „წინა“ ბრძანებებით.



სურათი 117



სურათი 118



სურათი 119

კომენტარი: 117-ე, 118-ე და 119-ე სურათებით ნაჩვენებია როგორ მოძრაობს ქართული ხმოვანი საინტერნეტო გზამკვლევი ვებ-გვერდის ვერტიკალურ ხაზებში „ქვედა ბმული“ და „წინა ბმული“ ბრძანებებით.

07. „მანგლელი მიტროპოლიტი ანანია“ ვებ-გვერდზე მორგებული ქართული ხმოვანი საინტერნეტო გზამკვლევი - ავტორები: კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია (იხ., ქვემოთ, სურათი 122, სურათი 123, სურათი 124, სურათი 125, სურათი 126, სურათი 127, სურათი 128, სურათი 129, სურათი 130, სურათი 131, სურათი 132, სურათი 133, სურათი 134):

სისტემა ანალოგიურად ზემოთ უკვე აღწერილისა მომხმარებლებს ვებ-გვერდზე ხმოვანი ბრძანებებით მოძრაობისა და ვებ-გვერდიდან ინფორმაციის ხმით ანუ მოსმენით მიღების საშუალებას აძლევს.

The screenshot shows the website header with the title "მანგლელი მიტროპოლიტი ანანია" and a quote: "არა გეცრუვნეთ შენ, სიწმინდით მშობელო ჩვენო ეკლესიაო, არც განგცეთ შენ, სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლობაო". Below the header is a navigation menu with items like "ბიოგრაფია", "წიგნები", "ქადაგებები და სტატიები", "რუკები", "ფოტომატეჩი", "ვიდეო", "ეპარქია", "სხვადასხვა". The main content area features a portrait of Metropolitan Anania and the article title "მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე)" dated 14 January, 2014. The article text discusses his birth in 1981, his role as a theologian, and his work in the Georgian diaspora. A sidebar on the right contains a "ბრძანება: მთავარი ბმული" section with buttons for "წაიკითხე", "შენჯავაბე", "გააგრძელე", "წაიკითხე ბრძანებები", and "გაპოუდე".

სურათი 122

კომენტარი: ქართული ხმოვანი საინტერნეტო გზამკვლევი ვებ-გვერდზე შესვლისას კითხულობს მასზედ წამდღვარებულ რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერიდან ამოკრეფილ სიტყვას: „არა გეცრუვნეთ შენ, სიწმინდით მშობელო ჩვენო ეკლესიაო, რაც განგცეთ შენ, სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლობაო“.



This screenshot shows a similar website layout but with a search or navigation menu open over the main content. The menu lists "ქადაგებები", "სტატიები", and "ინტერვიუ". The article title "ისი - დიდი კულტურული ცენტრი" is partially visible. The sidebar on the right is identical to the previous screenshot.

სურათი 123

კომენტარი: სურათზე ხმოვანმა გზამკვლევმა მთავარი ბმულიდან „შემდეგი“ ბრძანების ორჯერადი გამოყენებით გააქტიურა ბმული „ქადაგებები და სტატიები“.

[ბიოგრაფია](#)
[წიგნები](#)
[ქადაგებები და სტატიები](#)
[რუკები](#)
[ფოტომატიანე](#)
[ვიდეო](#)
[ეპარქია](#)
[სხვადასხვა](#)

[ქადაგებები](#)
[სტატიები](#)
[ინტერვიუ](#)

[... \[Read more...\]](#)


ბრძანება: ქვედა ბმული
 დახურვა
[წაიკითხე](#) [შეწვიტე](#) [გააგრძელე](#)
[წაიკითხე ბრძანებები](#) [გამორთვა](#)
 ბრძანებების სია


სურათი 124


კომენტარი: 124-ე სურათზე ხმოვანმა გზამკვლევემა ბმულიდან „ქადაგებები და სტატიები“ „ქვედა ბმული“ ბრძანების ორჯერადი გამოყენებით გააქტიურა ბმული „ქადაგებები და სტატიები“.


[ბიოგრაფია](#)
[წიგნები](#)
[ქადაგებები და სტატიები](#)
[რუკები](#)
[ფოტომატიანე](#)
[ვიდეო](#)
[ეპარქია](#)
[სხვადასხვა](#)

სტატიები




[მსოფლიო საეკლესიო კანონები, კრებულები და განმარტებანი](#)


[საეკლესიო სამართლის წერილობითი წყაროების შესახებ](#)


[შესავალი საქართველოს საეკლესიო კანონების კრებულში \(ნაწილი XI\)](#)

ბრძანებების სია
 დახურვა
[წაიკითხე](#) [შეწვიტე](#) [გააგრძელე](#)
[წაიკითხე ბრძანებები](#) [გამორთვა](#)

სურათი 125

კომენტარი: ხმოვანმა გზამკვლევემა „შესვლა“ ბრძანებით მომხმარებელი შეიყვანა ვებ-გვერდის სტატიების ველში.

წიგნები



სურათი 126

კომენტარი: ხმოვანმა გზამკვლევი ბმულიდან „ბიოგრაფია“ „შემდეგი“ ბრძანებით მივიდა ბმულთან „წიგნები“, რის შემდეგაც „შესვლა“ ბრძანებით მომხმარებელი შეიყვანა ვებ-გვერდის წიგნების ველში.

წიგნები



სურათი 127

კომენტარი: ხმოვანმა გზამკვლევმა 127 სურათით წარმოდგენილი მდგომარეობიდან „შემდეგი წიგნი“ ბრძანებით გააქტიურა სურათზე გადიდებული ფორმატით მოცემული წიგნი. ამასთან, მომხმარებელს გზამკვლევი უკითხავს წიგნის სათაურს „დიტრიხი და დიასპორა“.

წიგნები



სურათი 128

კომენტარი: ხმოვანმა გზამკვლევემა 128 სურათით წარმოდგენილი მდგომარეობიდან „წინა წიგნი“ ბრძანებით გააქტიურა სურათზე გადიდებული ფორმატიტ მოცემული წიგნი. ამასთან, მომხმარებელს გზამკვლევი უკითხავს წიგნის სათაურს „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“.



ქადაგებები



სურათი 129

ქადაგებები



ბრძანება: შემდეგი ქადაგება

დახურვა

წაიკითხე შენივითე გააგრძელე

წაიკითხე ბრძანებები გამოიწვა

ბრძანებების სია

სურათი 130

ქადაგებები



ბრძანება: წინა ქადაგება

დახურვა

წაიკითხე შენივითე გააგრძელე

წაიკითხე ბრძანებები გამოიწვა

ბრძანებების სია

სურათი 131

კომენტარი: როგორც ეს 129-ე სურათიდან ჩანს ქართული საინტერნეტო ხმოვანი გზამკვლევი შესულია ბმულზე „ქადაგებები“. 130-ე, შესაბამისად, 131-ე სურათზე გააქტიურებულია გადიდებული ფორმით გამოტანილი ქადაგება. ამასთან, მომხმარებელს გზამკვლევი უკითხავს ქადაგების სათაურს „ქადაგება გუდარეხის მონასტერში“, შესაბამისად, „ქადაგება ახალქალაქის სასულიერო სასწავლებლის გახსნისას“.

ბრძანება შემდეგ

დაბურვა

წაიკითხე შეწვევები გააგრძელე

წაიკითხე ბრძანებები გამოართვა

ბრძანებების სია

რუკები



ქართველთა მიწა-წყალი ქრისტიანობამდე



არიან ქართლი და საქართველო ფარნავაზის დროს

სურათი 132


დაბურვა

წაიკითხე შეწვევები გააგრძელე


წაიკითხე ბრძანებები გამოართვა

ბრძანებების სია

არიან ქართლი და საქართველო ფარნავაზის დროს



სურათი 133




სურათი 134


კომენტარი: 132-ე ქართული საინტერნეტო ხმოვანი გზამკვლევი შესულია ბმულზე „რუკები“. 133-ე სურათზე გახსნილია ველი „არიან ქართლი და საქართველო ფარნავაზის დროს“. 134-ე სურათზე გახსნილია ამ ველში განთავსებული პირველი რუკა.

08. ვიდეოპორტალ „მაივიდეოჯიზე“ მორგებული ქართული ხმოვანი საინტერნეტო გზამკვლევი - ავტორები: კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია (იბ., ქვემოთ, სურათი 135, სურათი 136, სურათი 137, სურათი 138, სურათი 139, სურათი 140, სურათი 141, სურათი 142, სურათი 143, სურათი 144, სურათი 145, სურათი 146, სურათი 147):

სისტემა მომხმარებლებს პორტალზე ხმოვანი ბრძანებებით მოძრაობისა და ინფორმაციის ხმით ანუ მოსმენით მიღების საშუალებას აძლევს. კერძოდ:




სურათი 135




სურათი 136

კომენტარი: ქართული ხმოვანი საინტერნეტო გზამკვლევი ბრძანებით „ვიდეოპორტალი მაივიდეოჯი“ ხსნის ვიდეოპორტალს 135 სურათზე არსებული მდგომარეობით. 136-ე სურათზე „შემდეგი“ ბრძანების ორჯერადი გამოყენებით მომხმარებელმა გააქტიურა ბმული „ტელევიზია“, რაზეც სისტემა ხმით აძლევს შეტყობინებას მომხმარებელს.




სურათი 137




სურათი 138

კომენტარი: 136-ე სურათზე არსებული მდგომარეობიდან ბრძანებით „სატელევიზიო არხები“ სისტემამ გააქტიურა სატელევიზიო არხების ველში განთავსებული პირველი სატელევიზიო არხი (იხილეთ, ზემოთ, სურათი 137). ხაზგასასმელია, რომ ამ შემთხვევაშიც სისტემა უსინათლო და არამხოლოდ უსინათლო მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით კითხულობს გააქტიურებული

სატელევიზიო არხის დასახელებას. ანუ, 137-ე სურათზე სისტემამ მომხმარებელს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გააქტიურებულია „რუსთავი 2 მაღალი ხარისხით“. 137-ე სურათზე არსებული მდგომარეობიდან „შემდეგი არხი“ ბრძანების ორჯერადი გამოყენებით სისტემა გადავიდა 138-ე სურათზე არსებულ მდგომარეობაში.




სურათი 139



სურათი 140


კომენტარი: 138-ე სურათზე არსებული მდგომარეობიდან ჯერ „შემდეგი არხი“, შემდეგ კი - „წინა არხი“ ბრძანების გამოყენებით სისტემა გადავიდა 139-ე სურათზე არსებულ მდგომარეობაში ანუ ფაქტიურად დაბრუნდა 138-ე სურათზე არსებულ მდგომარეობაში, რომელშიც გააქტიურებულია ანუ საჩვენებლად მზადაა არხი „იმედი მაღალი ხარისხით“. ამის შემდეგ, მომხმარებელმა ხმოვანი ბრძანებით „ჩვენება“ ჩართო ეს არხი (იხილეთ, ზემოთ, სურათი 140).



სურათი 141




სურათი 142




სურათი 143

კომენტარი: 141-ე სურათზე გააქტიურებულ ანუ ჩვენებისათვის მზა მდგომარეობაშია არხი GDS. 142-ე სურათზე მომხმარებელმა ხმოვანი ბრძანებით „ჩვენება“ ჩართო ეს არხი და უყურებს/უსმენს მას. ამის შემდეგ ბრძანებით, „უკან დაბრუნება“ სისტემამ გამორთო GDS არხის ჩვენება ანუ დაბრუნდა GDS არხზე, რის შემდეგაც

ბრძანებით „წინა არხი“ გააქტიურა არხი „პირველი TV“ (იხილეთ, ზემოთ, სურათი 143) და ბრძანებით „ჩვენება“ ჩართო იგი (იხილეთ, ქვემოთ, სურათი 144).




სურათი 144




სურათი 145

კომენტარი: 144-ე სურათზე არსებული მდგომარეობიდან სისტემა ბრძანებით „საწყისი გვერდი“ დაბრუნდა საწყის მდგომარეობაში (იხილეთ, ზემოთ, 145-ე სურათი), რის შემდეგაც ბრძანებით „რჩეული ვიდეოები“ გააქტიურდა პირველი რჩეული ვიდეო, რაც უსინათლო მომხმარებლისათვის ნიშნავს იმას, რომ სისტემამ ხმით მიაწოდა ანუ წაუკითხა მას რჩეული ვიდეოს სატიტულო მონაცემი „ვასასი ტყეილის დროს მამალმა გამოიჭირა“ (იხილეთ, ქვემოთ, სურათი 146).

ამის შემდეგ, ბრძანებით „შემდეგი ვიდეო“ სისტემამ გააქტიურა ანუ ჩასართველად შეამზადა შემდეგი რჩეული ვიდეო, რაც, თავის მხრივ, იმასაც ნიშნავს, რომ უსინათლო მომხმარებელს სისტემა უკითხავს მის სატიტულო მონაცემს ანუ ფრაზას „წყალდიდობის დროს ჟურნალისტმა პირდაპირ ეთერში იხსნა მოზუცი მამაკაცი“ (იხილეთ, ქვემოთ, სურათი 147).



სურათი 146




სურათი 147




სურათი 148

კომენტარი: 147-ე სურათზე არსებული მდგომარეობიდან ბრძანებით „გახსენი ვიდეო“ მომხმარებელმა გახსნა ანუ გაუშვა ჩვენებაზე გააქტიურებული ვიდეო (იხილეთ

სურათი 148). ქვემოთ, 149-ე სურათზე, სისტემამ „დააპაუზე“ ბრძანების შესაბამისად შეაჩერა ვიდეოს ჩვენება.




სურათი 149




სურათი 150

კომენტარი: 149-ე სურათზე არსებული მდგომარეობაში სისტემამ მიიღო რა ბრძანება „გააგრძელე“ გააგრძელა და შეჩერებული ანუ მანამდე უკვე დაპაუზებული ვიდეოს ჩვენება (იხილეთ სურათი 150).




სურათი 151



სურათი 152


კომენტარი: 151-ე სურათზე გააქტიურებულია პირველი პოპულარული ვიდეო, 152-ზე - მესამე.




სურათი 153

კომენტარი: 153-ე სურათზე ბრძანებით „ვიდეოს ჩვენება“ მომხმარებელმა ჩვენებაზე გაუშვა გააქტიურებული ვიდეო. ქვემოთ, 154-ე სურათზე ბრძანებით „დააპაუზე“

მომხმარებელმა დროებით შეაჩერა ვიდეოს ჩვენება. 155-ე სურათზე კი - ბრძანებით „გააგრძელე“ გააგრძელა ეს მანამდე დროებით შეჩერებული ვიდეოს ჩვენება (იხილეთ ქვემოთ).



სურათი 154



სურათი 155


09. ქართული ჭკვიანი ჟურნალის პირველი საცდელი საინტერნეტო ვერსია - ავტორები: კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია (სურათი 156, სურათი 157, სურათი 158, სურათი 159, სურათი 160, სურათი 161, სურათი 162, სურათი 163, სურათი 164, სურათი 165, სურათი 166, სურათი 167):

ეს სისტემა, რომელიც ერთგვარი შეწყვილებაა ინტელექტუალური უნარებით აღჭურვილი ქართული საინტერნეტო ჟურნალისა და მასზედ მორგებული ქართული ხმოვანი საინტერნეტო გზამკვლევის, მთელი რიგი პარამეტრების მიხედვით ნოვაციურია. კერძოდ, ჩვენ ვამბობთ, რომ ჟურნალი (მხედველობაში გვაქვს მისი როგორც პუბლიკაციური ნაწილი, ისე საგამომცემლო ნაწილი), იმის ხარჯზე, რომ მასზედ საცდელ-სამომხმარებლო სახით მიზმულია ქართული ტექსტის ორთოგრაფიულად, მორფოლოგიურად, სინტაქსურად, ლოგიკურად და სემანტიკურად მაანალიზებელი, ქართული მეტყველების ამომცნობი და მასინთეზებელი და, ასევე, ქართულიდან სხვადასხვა ენებზე მთარგმნელი სისტემები, უკვე ნაწილობრივ აღჭურვილია ქართული კომპიუტერული ტვინით, ყურითა და ყელით ანუ ქართულ ენაში სმენის, მეტყველების, ანალიზის, თარგმნისა და ხმით მიცემული ბრძანებების აღსრულების უნარებით.

ქვემოთ სურათების დახმარებით წარმოდგენილია ქართული ჭკვიანი ჟურნალის ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტები.



სურათი 156




სურათი 157

კომენტარი: მომხმარებელმა ჭკვიან ჟურნალს უთხრა სიტყვა „ქართული“ და გაუშვა მებნაზე. ჟურნალმა საძებნ ველში არსებულ ტექსტში დაძებნა პირველი ასეთი სიტყვა

(იხილეთ სურათი 156), რის შემდეგაც ბრძანებით შემდეგი დაძებნა და შეაფერადა ტექსტში არსებული მეორე ასეთი სიტყვა (იხილეთ სურათი 157).

ამგვარად, ქართული ჰკვიანი ჟურნალი არის პირველი საინტერნეტო ჟურნალი, რომელშიც ჩვეულებრივი ძებნის პროცედურასთან ერთად რეალიზებულია ჩვენს მიერ ეგრეთ წოდებული ხმოვანი ძებნის პროცედურა.


ასევე, როგორც ეს სურათებიდანაც ჩანს, ჟურნალი იძლევა დაძებნილი სიტყვის თარგმანს. ამასთან, თარგმანში, ჩვენ ჯერ-ჯერობით ვეყრდნობით და, შესაბამისად, ვიძლევიტ მხოლოდ გუგლისეულ თარგმანებს. კერძოდ, ზემოთ, 156-ე, შესაბამისად, 157-ე სურათზე დაძებნილი სიტყვა „ქართული“ გუგლის მიხედვით ითარგმნა რუსულად, შესაბამისად, ინგლისურად. ამასთან, სისტემა თარგმანს იძლევა როგორც წერითი ფორმით, ისე ხმით. ანუ, აქ, რეალიზებულია ქართულიდან უცხოენებში ხმიდან ხმაზე თარგმანი.




სურათი 158

კომენტარი: მომხმარებელმა ხმოვანი ბრძანებით „დაძებნე ქართულ გუგლში“ „დაგუგლა“ ჟურნალის მიერ ხმოვანი ბრძანებითვე უკვე ამოცნობილი და დაძებნილი სიტყვა „ქართული“ (იხილეთ სურათი 158). ქვემოთ, 159-ე, შესაბამისად, 160-ე სურათზე მომხმარებელმა ხმოვანი ბრძანებით „დაძებნე გუგლში“, „დაგუგლა“ „Georgian“,


შესაბამისად, „грузинский“, რომელიც არის ინგლისური, შესაბამისად, რუსული თარგმანი ჭკვიან ჟურნალში ქართული ხმოვანი ბრძანებით დაძებნილი სიტყვის „ქართული“.




სურათი 159




სურათი 160



სურათი 161



სურათი 162




სურათი 163


კომენტარი: მომხმარებელი ხმოვანი ბრძანებით „სარჩევი“ შევიდა ჟურნალის სარჩევი (იხილეთ, ზემოთ, სურათი 161) და, მერე უკვე, ასევე ხმოვანი ბრძანებით გახსნა ანუ გადავიდა ჟურნალის პირველ სტატიაში, სადაც ხმოვანი ბრძანებით ჯერ დაძებნა

ფრაზა „ევროპული ენები“ და, მერე, ეს ფრაზა ათარგმნინა ინგლისურად (იხილეთ, ზემოთ, სურათი 162). 163-ე სურათზე ნაჩვენებია „ფრანგულ გუგლში“ ამავე ფრაზის ფრანგული თარგმანით „Langues européennes“ წარმოებული ძებნის ანუ დაგუგვლის შედეგი.

ამჯერად ჟურნალზე მიერთებულია ინგლისური, რუსული, გერმანული, იტალიური, ფრანგული, ესპანური, და თურქული ენები. თუმცა ამ ენების ჩამონათვალის გაზრდა შესაძლებელია გუგლის მთარგმნელში არსებული ნებისმიერი ენით, რაც, ცხადია, ერთი მხრივ, კარგია, მეორე მხრივ კი - ცუდი, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ თარგმანში ჩვენ არ ვეყრდნობით ჩვენს მიერვე დამოუკიდებლად შემუშავებულ სისტემებს.



სურათი 164




სურათი 165

კომენტარი: 166-ე სურათზე ჭკვიანმა ჟურნალმა განახორციელა ხმოვანი ძებნა გამეტყველებული ფრაზით „ტექნოლოგიური ანბანი“. ამასთან, 165-ე სურათზე ასევე


ხმოვანი ბრძანებით მომხმარებელმა ჟურნალს ქართულ გუგლში დაამებინა მასალები საძიებო ფრაზით „ტექნოლოგიური ანბანი“.

ჩვენ ზემოთ გავაშუქეთ ქართული ჭკვიანი ჟურნალისა და „გუგლ-ქრომის“ ურთიერთკავშირები და ვნახეთ როგორ მოსახერხებელს ხდის ჩვენი ჟურნალი მომხმარებლისთვის გუგლის მრავალენოვან საინფორმაციო სივრცეში ნავიგაციას.

ასეთივე შესაძლებლობებით დჭურვავს ჟურნალი მომხმარებელს ვიკიპედიის ასევე მრავალენოვან საინფორმაციო სივრცესთან მიმართებაში (იხილეთ, ქვემოთ, სურათი 168, სურათი 169, სურათი 170, სურათი 171, სურათი 172, სურათი 173, სურათი 174, სურათი 175, სურათი 176). თუმცა, ვიკიპედიაში, ისევე როგორც თავად ქართულ ჭკვიან ჟურნალში, გარდა ზემოთ წარმოდგენილი შესაძლებლობებისა უზრუნველყოფილია აგრეთვე ხმოვანმართვიანი კითხვის პროცედურა (იხილეთ, ქვემოთ, სურათი 166, სურათი 167).



სურათი 166




სურათი 167

კომენტარი: 166-ე სურათზე გამოსახულია სისტემა, მაშინ როდესაც მან ხმოვანი ბრძანებით „წაიკითხე“ წამოიწყო ჟურნალის პირველი სტატიის კითხვა.


სურათის მარჯვენა სექტორში განთავსებულია ჟურნალის მართვის ფანჯარა, რომელიც უფრო ფართო პლანით წარმოდგენილია 167-ე სურათზე. კერძოდ, 167-ე სურათზე გამოსახული მართვის ფანჯრის ქვედა ველში განთავსებული ღილაკებით (ეს ღილაკებია ყვითელი წარწერით მოცემული ღილაკები: „წაიკითხე“, „შეწყვიტე“,

„გააგრძელე“) უზრუნველყოფილია ხმოვანი და ღილაკებიანი ბრძანებებით მართული კითხვის პროცედურა. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრძანებით „წაიკითხე“ სისტემა იწყებს ჟურნალში გააქტიურებული სტატიის კითხვას. ბრძანებით „შეწყვიტე“ - წყვეტს უკვე მიმდინარე კითხვის პროცესს. ბრძანებით „გააგრძელე“ - წყვეტის ადგილიდან აგრძელებს მანამდე უკვე შეჩერებულ ანუ შეწყვეტილ კითხვას.


10. ქართული ადაპტირებული ვიკიპედიის პირველი საცდელი ვერსია - ავტორები: კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია (იხილეთ, ქვემოთ, სურათი 168, სურათი 169, სურათი 170, სურათი 171, სურათი 172, სურათი 173, სურათი 174, სურათი 175, სურათი 176):



სურათი 168



სურათი 169



სურათი 170


კომეტარი: 168-ე სურათზე ნაჩვენებია ფრაზის „ქართული ენა“ გამეტყველებით ჟურნალში წარმოებულ ხმოვანი ძებნის შედეგი.

169-ე სურათზე ნაჩვენებია ხმოვანი ბრძანებით უკვე დაძვინილ ფრაზაზე „ქართული ენა“ დაყრდნობით მომხმარებელის მიერ ასევე ხმოვანი ბრძანებით „დაძვინე ქართულ ვიკიპედიაში“ წარმოებული ძებნის შედეგი.

170-ე სურათზე ნაჩვენებია თავად ვიკიპედიის სტატიაში ფრაზის „სახელმწიფო ენა“ გამეტყველებით წამოწყებული ხმოვანი ძებნის შედეგი.



სურათი 171



სურათი 172

კომეტარი: 171-ე სურათზე ჟურნალმა უკვე ამოცნობილი და სტატიაში უკვე დაძვინილი ფრაზა „სახელმწიფო ენა“ თარგმნა იტალიურად. ამასთან, 172-ე სურათზე

ნაჩვენებია ნათარგმნი ფრაზით ანუ ფრაზით „Stato Lingua“ ინტერნეტში წარმოებული ხმოვანი ძეგლის ანუ „დაგუგვლის“ შედეგი.

Ads by DNSUnlocker (i) (x)

What Is Staatssprache ?
Yahoo.com/**Staatssprache**
What Is**Staatssprache**. Search Now! Over 85 Million Visitors.
amtssprache deutsch amtssprache österreich
amtssprache englisch amtssprache deutsch gesetz

Are you looking for Staatssprache?
Yahoo.com/**Staatssprache/**
Find **Staatssprache** On Yahoo! Discover Now The Best Results
amtssprache deutsch grundgesetz amtssprache eu

Staatssprache
Yahoo.com/
Staatssprache , Search Now! Over 85 Million Visitors.
was bedeutet amtsdeutsch amtssprache deutschland sorbisch

Amtssprache – Wikipedia
<https://de.wikipedia.org/wiki/Amtssprache> ▼ Translate this page
B. ist Deutsch laut der österreichischen Verfassung die **Staatssprache** ...
Beispielsweise sind in Österreich neben der **Staatssprache** Deutsch regional auch ...
Begriffe - Festlegung einer Amtssprache - Konflikte

სურათი 173

Ads by DNSUnlocker (i) (x)

What Is Devlet Dili ?
Yahoo.com/**Devlet Dili**
What Is**Devlet Dili**. Search Now! Over 85 Million Visitors.
devlet bahçeli dili sürçtü selçuklu devleti dili
memlük devleti resmi dili osmanlı devleti resmi dili

Devlet Dili
Yahoo.com/
Devlet Dili , Search Now! Over 85 Million Visitors.
devlet dili nedir ülkeler ve resmi dilleri


Are you looking for Devlet Dili?
Yahoo.com/**Devlet Dili/**
Find **Devlet Dili** On Yahoo! Discover Now The Best Results
resmi dil nedir deri resmi

Devlet Dili | Çokbilgi.com - Türkçe ve Edebiyat Güncesi ...
www.cokbilgi.com/yazi/devlet-dili/ ▼ Translate this page
Aug 30, 2011 - Devlet Dili, Bir devletin sınırları içerisinde idarede, hukukta, eğitimde, ticarete ve resmî dil gerektiren diğer durumlarda, gerek sözlü gerekse ...


სურათი 174

რეგულირდება „წაიკითხე“, „შეწყვიტე“, „გააგრძელე“ ღილაკებითა და შესაბამისი ხმოვანი ბრძანებებით.

11. ქართული ადაპტირებული ელ-პოსტის (ჯიმეილის) პირველი საცდელი ვერსია - ავტორები: კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია (იხილეთ, ქვემოთ, სურათი 177 სურათი 178, სურათი 179, სურათი 180, სურათი 181, სურათი 182, სურათი 183, სურათი 184, სურათი 185, სურათი 186, სურათი 187, სურათი 188, სურათი 189, სურათი 190, სურათი 191, სურათი 192):




სურათი 177




სურათი 178

მაშ ასე, ამ თემასთან დაკავსირებით დასკვნითი კომენტარის სახით ვაცხადებთ შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ ქართული წინადადებების ჩვენეული ინგლისური და გერმანული თარგმანები სრულყოფილი არ არის (მოსაწესრიგებელია კავშირთა სისტემა და დიდ-პატარა ასოებთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა მოწესრიგების მეთოდები უკვე მოძიებულია), თვალშისაცემია მათი ხარისხობრივი უპირატესობა სათარგმნი წინადადების გუგლისეულ თარგმანებთან, რომლებიც იმდენადაა აცდენილი საწყისი ქართული წინადადებების შინაარსებს, რომ ამ შინაარსების ინტუიციით აღდგენის საშუალებასაც კი არ იძლევა. - ამგვარად, თუ დავეყრდნობით იმას, რომ გუგლის ქართული მთარგმნელი მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ უხარისხოა, მაინც არის თუ ერთადერთი არა, ყველაზე უფრო მაღალი ხარისხით მომუშავე ქართული მთარგმნელი, ჩვენი ქართული მთარგმნელი, რომელიც ჩვენ ავაგეთ გუგლის მთარგმნელისა და ჩვენი წესებზე დამყარებული მთარგმნელი და საანალიზო მეთოდების ინტეგრირებით, დღეს ანუ დროის ამ მომენტისათვის მთელ რიგ შემთხვევებში თვისობრივად უფრო მაღალი ხარისხის თარგმანებს იძლევა ვიდრე ამას იძლევა ეს დღეს საყოველთაოდ ცნობილი ყველაზე უფრო მაღალი ხარისხით მომუშავე გუგლის მთარგმნელი.

07. ქართული მრავალენოვანი (ქართულ-ინგლისურ-გერმანულ-რუსული) სასაუბრო კომპიუტერული სისტემის საცდელი ვერსია. - ავტორები: კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა, ი. ბერიაშვილი (იხ., ქვემოთ, სურათი 274, სურათი 275, სურათი 276, სურათი 277, სურათი 278, სურათი 279, სურათი 280, სურათი 281, სურათი 282, სურათი 283, სურათი 284, სურათი 285, სურათი 286, სურათი 287, სურათი 288, სურათი 289, სურათი 290, სურათი 291, სურათი 292):

ქვემოთ სურათების დახმარებით წარმოგიდგენთ პირველ საცდელ-სამომხმარებლო ქართულ ხმიდან ხმაზე მთარგმნელ სისტემებს, რომელთაგან ერთი უზრუნველყოფს

ქართულიდან ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებში ხმიდან ხმაზე თარგმნას (ემყარება მცირე მოცულობის მრავალენოვან კორპუსს (იხ. 270-ე - 288-ე სურათები)), მეორე კი, ორმხრივ ხმიდან ხმაზე თარგმანს ქართულ და ინგლისურ ენებს შორის (ემყარება საკმაოდ დიდი მოცულობის ქართულ-ინგლისურ პარალელურ კორპუსს (იხ. 289-ე - 294-ე სურათები)).



სურათი 274


კომენტარი: სურათზე გამოსახულია ქართული მრავალენოვანი სასაუბრო დამხმარე სისტემის საცდელი ვერსია, რომელიც ჯერ მხოლოდ მცირე ლექსიკონზე დაყრდნობით ქართული ენიდან ხმიდან ხმაზე თარგმანს იძლევა ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებში. ასევე, სისტემა იძლევა ინგლისურიდან ქართულში ხმიდან ხმაზე თარგმნის ანუ სასაუბრო კომუნიკაციის უზრუნველყოფის საშუალებას.

ამასთან სისტემა აგებულია კლასიკური სასაუბროების პრინციპებზე დაყრდნობით. ანუ, კლასიფიცირებულია სხვადასხვა სასაუბრო თემები და თითოეული თემა უზრუნველყოფილია შესაბამისი მრავალენოვანი კორპუსით. ასე მაგალითად, როგორც სურათიდან ჩანს, ამჯერად სისტემაში არის „სასტუმრო“, „ურთიერთობები“, „მაღაზია“, „ზოგადი“, „მგზავრობა“, „ქალაქში“ სახელებით მონიშნული და ერთმანეთისგან გამოყოფილი 6 განსხვავებული თემა.


სისტემა მომხმარებელს საშუალებას აძლევს როგორც თემის, ისე საკომუნიკაციო ენათა წყვილის არჩევას, რომელთაგან ერთ-ერთი ყოველთვის ქართულია.

274-ე სურათზე პირველის ოთხი ფრაზა ქართულიდან ინგლისურზე ითარგმნა, შემდეგი ორი რუსულზე, შემდეგი სამი - გერმანულზე, ბოლო სამი კი პირიქით - ინგლისურიდან ითარგმნა ქართულზე. - კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ: სისტემა გარდა იმისა, რომ იძლევა ორმხრივ ტექსტობრივ თარგმანებს ყველა მიმართულებით, ხმიდან


ხმაზე თარგმანს უზრუნველყოფს ქართულიდან ყველა მიმართულებით, ქართულ - ინგლისურს შორის კი - ორმხრივადაც.




სურათი 275




სურათი 276



სურათი 277




სურათი 278




სურათი 279


კომენტარი: 275-ე - 279-ე სურათებზე თქვენ ხედავთ როგორ უზრუნველყოფს სისტემა ქართული ენიდან უცხოენებში (ინგლისური, გერმანული, რუსული) ხმიდან ხმაზე თარგმანსა და, ასევე, როგორ უზრუნველყოფს ქართულ-ინგლისურ დიალოგს ანუ ორმხრივ ქართულ-ინგლისურ თარგმანს სასტუმროს თემის ფარგლებში.




სურათი 280



სურათი 281




სურათი 282




სურათი 283

კომენტარი: 280-ე - 283-ე სურათებზე თქვენ ხედავთ როგორ უზრუნველყოფს სისტემა ქართული ენიდან უცხოენებში (ინგლისური, გერმანული, რუსული) ხმიდან ხმაზე თარგმანს და ქართულ-ინგლისურ დიალოგს ურთიერთობების თემის ფარგლებში.




სურათი 284




სურათი 285


კომენტარი: 284-ე - 285-ე სურათებზე თქვენ ხედავთ როგორ უზრუნველყოფს სისტემა ქართული ენიდან უცხო ენებში (ინგლისური, გერმანული, რუსული) თარგმანს და ქართულ-ინგლისურ დიალოგს მაღაზიის თემის ფარგლებში.



სურათი 286




სურათი 287




სურათი 288


კომენტარი: 286-ე - 288-ე სურათებზე თქვენ ხედავთ როგორ უზრუნველყოფს სისტემა ქართული ენიდან უცხო ენებში თარგმანს და ქართულ-ინგლისურ დიალოგს ზოგადი თემის ფარგლებში.




სურათი 289



სურათი 290



სურათი 291




სურათი 292


კომენტარი: 289-ე - 292-ე სურათებზე თქვენ ხედავთ როგორ უზრუნველყოფს სისტემა ქართული ენიდან უცხო ენებში თარგმანს და ქართულ-ინგლისურ დიალოგს ქალაქის თემის ფარგლებში.

ქვემოთ 289-294 სურათებზე წარმოდგენილია ქართულ-ინგლისური სასაუბრო დამხმარე ანუ ორმხრივი ქართულ-ინგლისური ხმიდან ხმაზე მთარგმნელი სისტემა, რომელიც ზემოწარმოდგენილისაგან განსხვავდება იმიტაც, რომ ეს სისტემა საკმაოდ დიდი მოცულობის ლექსიკონს ანუ საკმაოდ დიდი მოცულობის ქართულ-ინგლისურ პარალელურ კორპუსს ემყარება.


08. საკმაოდ დიდი ზომის ქართულ-ინგლისურ პარალელურ კორპუსზე დაყრდნობით აგებული ქართულ-ინგლისური ხმიდან ხმაზე ორმხრივ მთარგმნელი კომპიუტერული სისტემის საცდელი ვერსია - ავტორები: კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა (სურათი 293, სურათი 294, სურათი 295, სურათი 296, სურათი 297, სურათი 298):




სურათი 293




სურათი 294




სურათი 295



სურათი 296



სურათი 297




სურათი 298


კომენტარი: თუ გავითვალისწინებთ, რომ ზემოთ 293-ე -298-ე სურათებზე წარმოდგენილი ქართულ-ინგლისური ხმიდან ხმაზე მთარგმნელი მუშაობს 4018 მონაცემიან ქართულ-ინგლისურ პარალელურ კორპუსზე დაყრდნობით და, ასევე, თუ გავითვალისწინებთ ზემოთ 274-ე -292-ე სურათებით წარმოდგენილ მრავალთემიან ქართულ-ინგლისურ-გერმანულ-რუსულ სასაუბრო დამხმარე სისტემის საცდელ ვერსიას, მკითხველისთვის გასაგები გახდება, რომ სათანადო მხარდაჭერის შემთხვევაში უკვე შესაძლებელია საკმაოდ მძლავრი ქართული მრავალენოვანი სასაუბრო დამხმარე სისტემის აგება საინტერნეტო და არასაინტერნეტო ვერსიების აგება.

09. ქართულ-ინგლისურ-გერმანულ-რუსული თვითმასწავლებელი საინტერნეტო სისტემის საცდელი ვერსია - ავტორები: კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა, ი. ბერიაშვილი (სურათი 298, სურათი 299, სურათი 300, სურათი 301, სურათი 302, სურათი 303, სურათი 304):

ეს ოთხენოვანი თვითმასწავლებელი საინტერნეტო საცდელი სისტემა მომხმარებელს საშუალებას აძლევს ქართული, ინგლისური, გერმანული და რუსული ენებიდან ნებისმიერზე დაყრდნობით შეისწავლოს ნებისმიერი სხვა. ანუ, ეს საცდელი ქართული სისტემა განვითარების ამ ეტაპზე მოქმედებს დუოლინგოს მსგავსი პრინციპით. სამომავლოდ, ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ჩვენი სისტემა გავხადოთ ბევრად უფრო ინტელექტუალური. თუმცა, უკვე ახლა სისტემა ნაწილობრივ ინტექტუალურია ანუ უკვე აღჭურვილია საცდელი სახით მოქმედი ქართული მეტყველების მასინთეზებელი და ამომცნობი სისტემებით, რის ხარჯზეც სისტემა შესასწავლ ენაში წერითი უნარების გაღრმავებასთან ერთად საცდელი სახით უკვე აძლევს სამეტყველო უნარების გაღრმავების საშუალებასაც.




სურათი 298



სურათი 299


კომენტარი: 298-ე სურათზე ნაჩვენებია მასწავლებელ სისტემაში შესვლის ფორმა, როცა არჩეულია ქართული ენა ინტერფეისისთვის. სისტემაში შესასვლელად მომხმარებელმა უნდა შეიყვანოს მობილური და პაროლი, ან გაიაროს რეგისტრაცია, თუ

ახალი მომხმარებელია. სურათის მარცხენა ნაწილში მოცემულია სისტემაში ინტეგრირებული ენები, რომელთაგან ნებისმიერის არჩევა სისტემის ინტერფეის ცვლის არჩეული ენის შესაბამისად. სანიმუშოდ, იხილეთ, სურათი 299, სადაც მომხმარებელმა საყრდენ ენად აირჩია რა ინგლისური, სისტემის ინტერფეისი ინგლისური ენაზე გადაეწყო. ანალოგიურადვე მოიქცეოდა სისტემა მომხმარებელს საყრდენ ენად გერმანული ან რუსული რომ აერჩია.



სურათი 300

კომენტარი: ამ ტიპის დავალებებით მოსწავლე წერით უნარ-ჩვევებს იღრმავებს.




სურათი 301

კომენტარი: აქ მოცემულია ქართული ფრაზა და მისი ინგლისური თარგმანი ერთი გამოტოვებული სიტყვით. მოსწავლემ ეს სიტყვა უნდა აკრიფოს რედაქტირების ველში, რის შემდეგაც მასწავლებელი სისტემა ამოწმებს და ქულებით აფასებს გაცემულ პასუხს.




სურათი 302

კომენტარი: ეს დავალება ავარჯიშებს უცხო ენაში - ამ შემთხვევაში ინგლისურ ენაში სმენითი აღქმის უნარს.



სურათი 303

კომენტარი: გვერდი იძლევა ახალ სასწავლო ფრაზას, მის თარგმანს და ხმას.



სურათი 304

კომენტარი: ამ გვერდიდან მოსწავლეს შეუძლია დაუბრუნდეს ადრე შეწყვეტილ გაკვეთილს ან გადავიდეს ახალ გაკვეთილზე ნომრის მითითებით, ნახოს მის მიერ უკვე


დაგროვებული ქულები და მისი სწორი პასუხების პროცენტული მახასიათებლები. ასევე მენიუდან აირჩიოს ახალი შესასწავლი ენა.

10. ქართულ ჭკვიან ფურცელზე მიხმით შემუშავებული ქართული ერთენოვანი და მრავალენოვანი საკომუნიკაციო ტექნოლოგიური სისტემების საინტენეტო და სამობილურო აპლიკაციები - ავტორები: კ. ფხაკაძე, დ. კურცხალია, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, (სურათი 305, სურათი 306, სურათი 307, სურათი 308, სურათი 309, სურათი 310, სურათი 311):


მერაბი	გამომგზავნი: დათო	თარიღი: 2017-04-05 01:23:00
მთავარი დოკუმენტები	გამომგზავნი: დათო	თარიღი: 2017-04-05 01:23:00
შემოსული წერილები	გამომგზავნი: დათო	თარიღი: 2017-04-05 01:20:00
გაცემული წერილები	გამომგზავნი: დათო	თარიღი: 2017-04-05 01:15:00

სურათი 305


კომენტარი: 305-ე სურათზე წარმოდგენილია ქართულ ჭკვიან ფურცლებს შორის ქართული ხმოვანი და მრავალენოვანი საკომუნიკაციო ტექნოლოგიური სისტემების ფუნქციონირების აღმნუსხველი მონაცემები. ანუ, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ეს არის „ჭკვიანი ფურცლის ინბოქსი“. ქვემოთ, 306, 307, 308, 309, 310 და 311 სურათებით ნაჩვენებია თუ როგორ განხორციელდა ეს აქ ზემოთ უკვე აღნუსხული კომუნიკაციები ანუ გზავნილები და შეტყობინებები.




სურათი 306




სურათი 307




სურათი 308



სურათი 309



სურათი 310



სურათი 311

კომენტარი: ქართულ ინტელექტუალურ ვებ-კორპუსში ჩადგმულ ქართულ ჭკვიან ფურცელზე მიზმიტ რეალიზებული ზემოთ წარმოდგენილი მრავალენოვანი საკომუნიკაციო ტექნოლოგიური სისტემები მომხმარებელს საშუალებას აძლევს თავისი „ჭკვიანი ფურცლიდან“ ქსელში ჩართულ ნებისმიერ სხვა „ჭკვიან ფურცელს“ გადაუგზავნოს:

1. ქართული ტექსტუალური შეტყობინება და, ასევე, ხმოვანი შეტყობინება როგორც ქართული, ისე ნებისმიერი სხვა ენით;
2. ქართული ტექსტუალური შეტყობინების ქართულადვე სინთეზირებული ანუ გახმოვანებული ვერსია;
3. ქართული ტექსტობრივი შეტყობინების უცხოენოვანი თარგმანი (ამჯერად სისტემაში ოთხი ენაა, მათ შორის არის თურქული (თურქეთელ ქართველებთან საკომუნიკაციო საშუალებების გაძლიერების მიზნით). სულ მალე ამ ენებს სხვა ენებიც მიემატება, მათ შორის სპარსულიც (ფერეიდნელ ქართველებთან საკომუნიკაციო საშუალებების გაძლიერების მიზნით).

ამასთან, უკვე მზად არის ამ ზემოაღწერილი ქართული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სამობილურო აპლიკაციები. - ეს, ყველაფერ დანარჩენთან ერთად, მთლიანობაში, ცხადად ასაბუთებს ამ უმნიშვნელოვანესი მიმართულებით ცენტრში წარმოებული კვლევების შემდგომი გაგრძელებისა და განვითარების აუცილებლობას, რასაც ჩვენ, ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნების გათვალისწინებით, ჩვენს კიდევ ერთ რეკომენდაციად წარმოვადგენთ.

1.6. ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსის ამგები მეთოდები და გამოყენებები

01. ამგვარად, ახლა უკვე, ძალიან მოკლედ ჩვენს მთავარ შედეგზე ანუ ქართულ ინტელექტუალურ ვებ-კორპუსზე, რომელშიც ჩადგმული და/ან რომლის განვითარების მიზნით შემუშავებული უნიკალური ქართული ტექნოლოგიური სისტემები ჩვენ ზემოთ უკვე მიმოვიხილეთ [5 – 16], [21 – 24], [26 – 32], [34 – 55].

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსი - ქართული ჭკვიანი კორპუსი ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯია ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსის სრული სახით აგებისაკენ, ის საცდელი სახით უკვე:¹

1. არის ერთადერთი თვითგანვითარებადი კორპუსი - ის თავადვე ანვითარებს თავის მოცულობით და ინტელექტუალურ მაჩვენებლებს.²

2. არის ინტერაქტიური ქართულ სამეტყველო ანუ სასაუბრო ენაში. - მასში უკვე ჩადგმულია ქართული მოაზროვნე, მოსაუბრე და მთარგმნელი სისტემები და, ასევე, ქართული ხმოვანი მართვის მოდული.

3. არის მრავალენოვანი - მასში უკვე ჩადგმული სახით ფუნქციონირებს თვითგანვითარებადი პარალელური ქართულ - ინგლისური ვებ-კორპუსი. - ჩვენ ამ ქვეკორპუსს ვაშენებთ ჩვენს მიერ უკვე აგებული ქართული ავტომატური მთარგმნელი სისტემების შემდგომი ხარისხობრივი გაუმჯობესებისათვის. გარდა ამისა, კორპუსის მრავალენოვანობის დასტურია ისიც, რომ მასში ქართულ სიტყვებთან ერთად ინახება მათი უცხოენოვანი, ჯერ-ჯერობით მეტწილ გუგლისეული თარგმანები.

4. არის მრავალმოდულური - მასში უკვე ჩადგმულია საცდელი სახით მომუშავე ქართული მეტყველებისა და ტიტრირებული მეტყველების კორპუსების ამგები და დამამუშავებელი ინსტრუმენტები, რაც ჩვენ გვჭირდება ჩვენს მიერ უკვე აგებული ქართული მეტყველების მასინთეზებელი და ამომცნობი სისტემების შემდგომი ხარისხობრივი გაუმჯობესებისათვის. გარდა ამისა, კორპუსის მრავალმოდულურობის დასტურია ისიც, რომ მასში ქართულ სიტყვებთან ერთად ინახება მათი სინთეზირებული ხმოვანი ფორმებიც.

5. არის თანამედროვე ქართული სამწერლობო ენის ყველაზე მოცულობითი კორპუსი. - დღევანდელი ანუ 2 მარტის მონაცემებით კორპუსი მთლიანობაში მოიცავს 251

¹ იხილეთ <http://corpus.ge/> მისამართზე.

² კორპუსში ყოველწუთიერ შემოდის ახალ-ახალი ტექსტობრივი მონაცემები. ამასთან, კორპუსში ჩადგმული ინტელექტუალური პროცედურები პერმანენტულად აფართოებს კორპუსის ცოდნას მასში უკვე შემოსული ქართული მორფემების, სიტყვების, ფრაზებისა და წინადადებების მათემატიკურ ანუ აზრობრივ ბუნებაზე და, ასევე, მასში უკვე შემოსული ტექსტებით მოცემულ შინაარსებზე.

724 717 სიტყვა-ტოკენს, მათ შორის 3 998 175 განხვავებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ორივე ამ მაჩვენებლით ჩვენი კორპუსი ყველაზე მოცულობითი ქართული კორპუსია.

იმაში, რომ ეს მართლაც ასეა, გვარწმუნებს <http://gnc.gov.ge/gnc/static/portal/gnc.html> მისამართზე განთავსებული ვებ-გვერდი „ქართული ენის ეროვნული კორპუსი“ და ამ ვებ-გვერდის <http://gnc.gov.ge/gnc/corpus-list?session-id=242339448439632> მისამართზე განთავსებული მასალა, სადაც თავმოყრილია დღეს მოქმედი / არსებული ქართული კორპუსების მეტი წილი.³ ესენია:

1. GNC ანუ ქართული ენის ეროვნული კორპუსი (ძველი ქართული), რომლის ჯამური ტოკენური (სიტყვები და სასვენი ნიშნები) მოცულობა 2016 წლის 29 აგვისტოს მონაცემებით არის 4 349 721;

2. GNC ანუ ქართული ენის ეროვნული კორპუსი (საშუალო ქართული), რომლის ჯამური ტოკენური (სიტყვები და სასვენი ნიშნები) მოცულობა 2016 წლის 29 აგვისტოს მონაცემებით არის 1 242 634;

3. GNC ანუ ქართული ენის ეროვნული კორპუსი (ახალი ქართული), რომლის ჯამური ტოკენური (სიტყვები და სასვენი ნიშნები) მოცულობა 2016 წლის 29 აგვისტოს მონაცემებით არის 451 584;

4. GRC ანუ ქართული ენის რეფერენციალური კორპუსი, რომლის ჯამური ტოკენური (სიტყვები და სასვენი ნიშნები) მოცულობა 2016 წლის 5 დეკემბრის მონაცემებით არის 202 728 329;

5. GDC ანუ ქართული დიალექტური კორპუსი, რომლის ჯამური ტოკენური (სიტყვები და სასვენი ნიშნები) მოცულობა 2016 წლის 14 სექტემბრის მონაცემებით არის 1694362;

6. SSGG ანუ სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში, რომლის ჯამური ტოკენური (სიტყვები და სასვენი ნიშნები) მოცულობა 2016 წლის 14 სექტემბრის მონაცემებით არის 152708;

7. GNC ანუ ქართული ენის ეროვნული კორპუსი (მეგრული), რომლის ჯამური ტოკენური (სიტყვები და სასვენი ნიშნები) მოცულობა 2016 წლის 14 სექტემბრის მონაცემებით არის 89 404;

8. GNC ანუ ქართული ენის ეროვნული კორპუსი (სვანური), რომლის ჯამური ტოკენური (სიტყვები და სასვენი ნიშნები) მოცულობა 2016 წლის 14 სექტემბრის მონაცემებით არის 473 180;

ანუ, 2017 წლის 2 მარტის მონაცემებით ჩვენი კორპუსი, რომელიც ქართული ენის ეროვნული კორპუსისაგან განსხვავებით ჯერ მხოლოდ ორი წელია შენდება, ყველა ამ

³ ქართულ ვიკიპედიაში იხილეთ სტატია „ქართული ენის ეროვნული კორპუსი“, რომლის თანახმადაც ამ პროექტის ფარგლებში „1999 წლიდან 2012 წლამდე 8 ჯგუფური საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი და 7 ქართველი მეცნიერის ინდივიდუალური პროექტი განხორციელდა იოსტ გიპერტისა და მანანა თანდაშვილის ხელმძღვანელობით, რომლის საერთო ღირებულება 1, 5 მილიონ ევროს შეადგენს.“ - ანუ, ის „1.5 მილიონი ევრო“, რომელიც აქ არის ნახსენები, ასევე ზღვაში წვეთია იმ სახისა და იმ მნიშვნელობის თემებისათვის. - თუმცა, ჩვენ აქ ამას ხაზს იმიტომაც ვუსვამთ, რომ ჩვენი მკითხველისთვის კიდევ უფრო სარწმუნო და დამაჯერებელი გავხადოთ 2004 – 2017 წლებში ჩვენ ჯგუფზე ჯამურად გაღებული 450 000 ლარის „ზღვაში წვეთობაზე“ ჩვენს მიერვე ზემოთ გაკეთებული განაცხადი, რაც, ცხადია, არ არის უმნიშვნელო საკითხთა მთელი სიღრმითა და სისრულით შეფასებისათვის.

ეროვნულ კორპუსში შემავალი კორპუსების ჯამურ მოცულობას, რაც 211 181 922 სიტყვა ტოკენია, 40 537 643 სიტყვა ტოკენით აღემატება.

უფრო სრული სურათის მოცემის მიზნით მოგვყავს აგრეთვე ქართული ენის კიდევ ერთი კორპუსი, რომელიც <http://corpora.iliauni.edu.ge/?q=ka/search-words> მისამართზე განთავსებული და რომელიც, პირობითად, შეიძლება იწოდოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსად.⁴ ამასთან, ამ აქ მინიშნებულ მისამართებზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ეს კორპუსი, რომელიც 2009-2015 წლებში იქმნებოდა, ჯამურად შეიცავს 100 მილიონ სიტყვა ტოკენს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი კორპუსი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ მხოლოდ 2 წელია რაც იქმნება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსს ჯამური მოცულობით 2.5-ჯერ ანუ, ამ შემთხვევაში, 150 000 000 სიტყვა-ტოკენით აღემატება.⁵

ამგვარად, ჩვენი თვითგანვითარებადი ანუ მოცულობის მხრივაც ყოველწუთიერ ავტომატურად მზარდი ჭკვიანი კორპუსი, რომლის აგებაზე ბევრად უფრო ნაკლები დრო და რესურსია დახარჯული ვიდრე ყველა სხვა ზემოთ მიმოხილულ ქართულ კორპუსზე და, ამავდროულად, რომლის მთავარი უპირატესობა ნამდვილად არაა მასში ჯამურად თავმოყრილი მასალის მოცულობითი მახასიათებელი, ამ მახასიათებლითაც კი საგრძნობლივ აჭარბებს სხვა დღეს არსებული ქართული კორპუსებიდან ნებისმიერს. ეს კი, თავის მხრივ, გასაგებს ხდის, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის ტექნოლოგიზების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის კორპუსი ანუ ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსი და მასში ჩადგმული და მისი განვითარების მიზნით შემუშავებული უნიკალური ქართული ტექნოლოგიური სისტემები, რომელთაგან ნაწილს ქვემოთაც მიმოვიხილავთ, ციფრული კვდომის იმ მაღალი ხარისხის საფრთხის გათვალისწინებით, რომლის წინაშეცაა სხვა ამ მხრივ დაწინაურებულ ენებთან შედარებით მათემატიკურად არასაკმარისად შესწავლილი და, შესაბამისად, არასაკმარისად ტექნოლოგიზებული ქართული ენა, უკიდურესად მნიშვნელოვანია.⁶

02. ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსის ანუ ქართული ჭკვიანი კორპუსის საცდელი (ავტორები: კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია) და სტანდარტიზებული ვერსიები (ავტორები: კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია, შ. მალიძე (იხ., ქვემოთ, სურათი 312, სურათი 313, სურათი 314, სურათი 315, სურათი 316, სურათი 317, სურათი 318, სურათი 319, სურათი 320, სურათი 321, სურათი

⁴ იხილეთ <http://iliauni.edu.ge/ge/iliauni/institutebi-451/lingvistur-kvlevata-centri-467/qartuli-jesturi-enis-korpusi> მისამართზე განთავსებული მასალა.

⁵ იმ მიზნით, რომ მკითხველს არ დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ვაკნინებთ და არად ვაგდებთ ამ ზემოთ მიმოხილულ ქართულ კორპუსებს ხაზს ვუსვამთ შემდეგს: ამ კორპუსებიდან თითოეულს ჩვენ ვაფასებთ და განვიხილავთ ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზანთან ჭრილში წინ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად.

⁶ უდაოა აგრეთვე ამ ყველაფრის მაღალი მნიშვნელობა ბუნებრივი ენების ტექნოლოგიზების მიზნით მოქმედი სამეცნიერო სფეროსთვის (გამოთვლითი ლინგვისტიკა, ხელოვნური ინტელექტი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები). კერძოდ კი, ცხადია, რომ ეს ყველაფერი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ენის ტექნოლოგიზების მიზნით მოქმედი სამეცნიერო სფეროსთვის.

322, სურათი 323, სურათი 324, სურათი 325, სურათი 326, სურათი 327, სურათი 328, სურათი 329, სურათი 330)).

ამგვარად, ახლა უკვე, ქვემოთ, სურათებითა და მათზე თანართული კომენტარების დახმარებით მოკლედ წარმოვადგენთ ქართული ინტელექტუალური კორპუსის ძველ და ახალ ვერსიებს.

სიტყვა:

ფარდობითი სიხშირე: 0.0023%

ინგლისური: Beautiful | სტატუსი: PERFECT
გერმანული: Schön | სტატუსი: PERFECT

წინადადებები:
ახალგაზრდა, ულამაზესი, საკუთარი ტბა აქვს, პენრი ჰქვია. [შედეგი](#)
მის ქვეშ კი მარმარილოსავე, მოზაიკის იატაკზე, ულამაზესი სირინოზი ოქროს აკვანს არწმუნდა. [შედეგი](#)
მოაგონდება ერთ-ერთი ულამაზესი ბავშვი, მისი ჩაცმულობა, მან ხომ მისი ტანისამოსი საგულდაგულოდ შეინახა. [შედეგი](#)

ულამაზესი სიკვდილი მელის [შედეგი](#)
მკითხველისათვის მთავარი ისაა, რომ შეუძლია, წაიკითხოს ულამაზესი სტრიქონები: [შედეგი](#)
ულამაზესი შანდალი ბროლის, [შედეგი](#)

კონტექსტები:
თოვლს ულამაზესი
ეს ულამაზესი
ქონდრისკაცების ულამაზესი
მხარეს ულამაზესი
ეს ულამაზესი

ულამაზესი სირინოზი
ულამაზესი ქალის
ულამაზესი იყო

© დამზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრში

სურათი 312

სიტყვა:

ფარდობითი სიხშირე: 0.0095%

ინგლისური: Irakli | სტატუსი: UNKNOWN
გერმანული: Irakli | სტატუსი: UNKNOWN

წინადადებები:
ირაკლი შემრა ამ აზნაგმა და სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება – ემვილებინათ პატარა გოგონა. [შედეგი](#)
A*ქელემების კარავანი – მწერალ-წინასწარმეტყველის ირაკლი ლომოურის მისხიზიდან, მსოფლიოს არაბიზაციის პროგრამის საქართველოს სექტორის კოდური სახელწოდება. [შედეგი](#)
ვინ წინა და ვინ უკან: ოთარი თუ ირაკლი, მამია თუ ვახტანგი. [შედეგი](#)

_ სად იყო, ირაკლი, ამდენი წაბლი? [შედეგი](#)
_ ირაკლი, იცი გაკვეთილი? [შედეგი](#)
_ არდევს სიჩუმეს ირაკლი და მას შემდეგ, რაც მასწავლებლის თავის მოძრაობით თანხმობას იღებს, განაგრძობს, _ თქვენ იცით რას უშვებთ ჩემ ტვის? [შედეგი](#)

ირაკლი თვითონ ბატონივით იჯდა, მშებს ავალბდა: [შედეგი](#)
ზუფეტში შესვლამდე ტვისა და ირაკლი დირექტორის [შედეგი](#)

კონტექსტები:
მწერალ-წინასწარმეტყველის ირაკლი
თუ ირაკლი
დაიბეჭდა ირაკლი
_ ირაკლი

ირაკლი შემრა
ირაკლი ჯერ

© დამზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის ტექნოლოგიების ცენტრში

სურათი 313

სიტყვა:

ფარდობითი სიხშირე: 0.0005%

ინგლისური: His Holiness | სტატუსი: PERFECT
გერმანული: Seine Heiligkeit | სტატუსი: PERFECT

წინადადებები:
უწმინდესი მამა ღმერთი [შედეგი](#)
უწმინდესი, ციური, [შედეგი](#)
მოვიარე უწმინდესი ოფისი, [შედეგი](#)

ფიქრი უწმინდესი. [შედეგი](#)
იმის საილუსტრაციოდ თუ როგორი ღრმა გაგებითა და წვდომით წერდა იაკობ გოგებაშვილი, მოვიყვანთ ერთ ადგილს მისი წერილიდან: წიაღიდან გადმოვარდნილი ანკარა წყარო, რომელიც მხოლოდ მირს ჩადის და აჩენს ვეებურთელა მორვეს უწმინდესი წყლისას. [შედეგი](#)

სურათი 314

კომენტარი: 312-ე - 314-ე სურათებით წარმოდგენილია მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსის პირველი საცდელი ვერსია, რომელიც ამავდროულად არის ქართული ენის ვებ-კორპუსის პირველი საცდელი ვერსია.

English
<http://www.iset.ge/blog/?p=4210>
 The beautiful nature of Kakheti inspires economic thought. (Photo: Florian Biermann)
 Over the last weekend I was invited by an international development bank to run a workshop in the nice Hotel Eden in Kvareli, Kakheti. The topic of the workshop was "Georgia's economic future".
 We started the workshop by discussing the great promise of development economics: "Do the right policy and you'll be fine". Economists like Thorvaldur Gylfason like to show the growth paths of pairs of countries with somewhat similar characteristics, like Mauritius and Madagascar, Singapore and Malaysia, Botswana and Nigeria, and Ireland and Greece. In these pairs, one country followed the textbook

Georgian
<http://www.iset.ge/blog/?p=4210>
 კახეთის ლამაზმა ბუნებამ კომბინირებული მსჯელობა შთააგზავნა (ფოტო: ფლორიან ბერმანი)
 გასული მშაბათ-კვირის, მრჩვეული ვიყავი საერთაშორისო განვითარების ბანკის მიერ ორჯანსაზღვრო ვორკშოპზე, რომელიც ჩატარდა სასტუმრო ედენში, კვარელიში. ვორკშოპის თემა იყო "საქართველოს ეკონომიკური მომავალი".
 განვიხილეთ განვითარების ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი: "დატარე სწორი პოლიტიკა და სვედაფერო რაზეც იმედიან". ისეთი ეკონომისტები, როგორცაა თორვალდურ გილფასონი (Thorvaldur Gylfason), ხშირად განიხილავენ მსგავსი მახასიათებლების მქონე წყვილი ქვეყნებს განვითარების მიხედვით, მაგალითი და: მავრიუსი და მადაგასკარი, სინგაპური და მალაიზია,

English
<http://www.iset.ge/blog/?p=4196>
 "Samgora 2014" is a group of fishermen from Chkhatauri (Chokhatauri Municipality, Guria) seeking agricultural cooperative status (Photo: Irakli Kochlamashvili).
 Located in a beautiful gorge between Nabeghlavi and Bakhamro, Chkhatauri village is home to tough Gurian trout fishermen. The village is difficult to reach even in a sturdy 4x4 SUV, but this does not prevent locals from taking advantage of disabled Soviet infrastructure and unique natural conditions to grow trout.
 They are five men, ages 20 to 30, who have been in joint trout farming business for more than 4 years, selling fish, roe and fry to the nearby Nabeghlavi and Bakhamro villages. Nabeghlavi and Bakhamro happen to be premier Georgian

Georgian
<http://www.iset.ge/blog/?p=4196>
 "სამგორა 2014" არის მთავრები ახალი სოფელი ჩხატაურები (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, გურია), რომელიც ეძიებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსს მდებარე (ფოტო: ირაკლი კოჭლამაშვილი).
 მდებარეა და მდებარეობს მთისა, ულამაზეს ხეობაში მდებარე სოფელი ჩხატაურა, ძირითადი გურული მეთევზეების კვირუკსაშენებელია. სოფლებში მრავლა საცემოდ მოდიოდა მთავარი 4x4 ავტომობილითვისაც, მაგრამ ეს ადგილობრივებს ხერხეული იყო უფროსი, კაცობის მისამართებზე გამოიყენებოდა დახარჯვის არას მსუბუქი საშუალო ინფრასტრუქტურა და უზუსტობით ხეობებიანი პირობები.

სურათი 315

კომენტარი: 315-ე სურათით წარმოდგენილია პარალელური ქართულ-ინგლისური კორპუსის პირველი საცდელი საინტერნეტო ვერსია, რომელიც ამავდროულად არის ქართული ენის პარალელური ანუ მრავალენოვანი კორპუსის პირველი საცდელი ვერსია.

სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი

მთავარი	პალიციაოცენტი	ჩვენს შესახებ	საგანმანათლებლო	პროექტი	გამომცემი	ინფორმაცია	კონტაქტი
---------	---------------	---------------	-----------------	---------	-----------	------------	----------

სიტყვა: საქართველო ინფორმაციის მიღება

ქართული: საქართველო – ფარდობითი სიხშირე: 0.1161% რაოდენობა: 277547

ინგლისური: Georgia | სტატუსი: ONEWAY


გერმანული: Georgia | სტატუსი: ONEWAY

სრული ინფორმაცია / კონტაქტები

სულ მუშოსტელი:	238962828
განსხვავებული:	2840064
პოლი დღეს:	208

სურათი 316


კომენტარი: აქ წარმოდგენილია ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსის პირველი საცდელ-სამომხმარებლო ვერსია, რომელშიც ქართულ სიტყვებთან ერთად გროვდება მათი როგორც სინთეზირებული ანუ გახმოვანებული ცალები, ისე მათი გუგლისეული ინგლისური და გერმანული თარგმანები თარგმანის სიზუსტის ჩვენეული შეფასებებითურთ. ამასთან, ჩვენ უკვე შემუშავებული გვაქვს ამ თარგმანების მაკორექტირებელი საინტერნეტო ინსტრუმენტი, რომელიც ზემოთ უკვე იქნა მიმოხილული.



სურათი 317- 318


კომენტარი: აქ, ზემოთ, 317-ე და 318-ე და ქვემოთ, 319-ე და 320-ე სურათებით წარმოდგენილია ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსის

საცდელ-სამომხმარებლო ვერსიაზე მიდგმული ქართული სახელების ავტომატური ანოტატორი.




სურათი 319 -320


კომენტარი: ამასთან, ეს ანოტატორი, რომელიც ისედაც უნიკალური ქართული ტექნოლოგიური სისტემაა, უნიკალურია იმიტაც, რომ მოქცეულია ხმოვან მართვაში და მომხმარებელს ანოტირებულ სიტყვებზე ინფორმაციას აწვდის როგორც წერილობითი, ისე ხმოვანი ფორმით. ამასთან: 317-ე სურათზე სისტემა აკეთებს „კაცზე“ სიტყვის ავტომატურ ანოტირებას; 318-ე სურათზე სისტემა აკეთებს „ლამაზმა“ სიტყვის ავტომატურ ანოტირებას; 319-ე სურათზე სისტემა აკეთებს „ვამლებმა“ სიტყვის ავტომატურ ანოტირებას; 320-ე სურათზე სისტემა აკეთებს „ლამაზები“ სიტყვის ავტომატურ ანოტირებას.



სურათი 321



სურათი 322




სურათი 323

კომენტარი: აქ წარმოდგენილია ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსის სტანდარტიზებული ვერსია, სადაც კორპუსის ტოტალურ ანუ სრულ ვერსიასთან (სურათი 304) ერთად კლასტერიზებული სახით უკვე ფუნქციონირებს ქართული (სურათი 305) და პარალელური ქართულ-ინგლისური (სურათი 306) ქვეკორპუსები. ამასთან, როგორც ეს სურათებიდანაც ჩანს:

1. კორპუსის სრულ ვერსიაში ჯამურად არის 255 080 665 სიტყვა-ტოკენი, მათგან 4 044 391 გასხვავებული სიტყვაა.

2. კორპუსის ქართულ ქვეკორპუსში ჯამურად არის 255 074 553 სიტყვა-ტოკენი, მათგან 4 042 755 გასხვავებული სიტყვაა.

3. კორპუსის ინგლისურ ანუ ქართულ-ინგლისურ პარალელურ ქვეკორპუსში ჯამურად არის 6 112 სიტყვა-ტოკენი, მათგან 1 636 გასხვავებული სიტყვაა.



Queries: "it" | Quantity: 39 | Relative Frequency: 0.0000152889% | Registration Time: 2017-04-04 00:26:16

სურათი 324



ფრაზა: "ის" | რაოდენობა: 1035684 | ფარდობითი სიხშირე: 0.4060121572% | შემოსვლის დრო: 2016-06-18 22:22:20

სურათი 325


კომენტარი: აქ 324-ე სურათი გვიჩვენებს “it” სიტყვის ინგლისურ, 325-ე სურათი კი - „ის“ სიტყვის ქართულ კორპუსში დამებნის შედეგებს. ანუ, როგორც ეს სურათებიდანაც ჩანს, კორპუსი გვაწვდის სიტყვის სიხშირესა და ფარდობით სიხშირესთან ერთად კორპუსში სიტყვის პირველად შემოსვლის ზუსტ თარიღსაც, რაც კორპუსის ქართული ქვეკორპუსის შემთხვევაში, რისი გასრულებაც ჩვენ გეგმებსა და მიზნებშია, ფრიად მნიშვნელოვანია, რადგან ამით ქართული კორპუსის გაჯერებისა და გასრულების შემდეგ ჩვენ საშუალება გვძლევს გავაკეთოთ ახალი ქართული სიტყვების ზუსტი დატირება, როგორც დროითი, ისე მათი პირველმთქელის ანუ წყაროსა და ავტორის ზუსტად დეფინირების თვალსაზრისით.



As a woman you feel that the main determinant of your personal success in this society is not having a successful career rather it is your marital status and, more specifically, fulfilling your obligations as a woman, as a housewife, and as a mother.

ბმული

| iset-pi.ge |



სურათი 326

ის არის


საქმე ის არის, რომ მაშისონის გადაღმა, ჩრდილო ოსეთში ორი პროექტი ხორციელდება:

| kvirispalitra.ge |


1 2 3 ... 2156 2157

სურათი 327

კომენტარი: აქ 326-ე და 327-ე სურათები გვიჩვენებს ერთმანეთის მეწყვილე “it is” და „ის არის“ ფრაზებით შესაბამის კორპუსებში ძებნის შედეგებს. როგორც სურათებიდან ჩანს, ამ ძებნამ ქართულში 2157 გვერდი ამოაგდო, ინგლისურში კი მხოლოდ 4. სურათზე ჩანს აგრეთვე, რომ საძიებო ფრაზასთან ერთად დაიძებნა ამ ფრაზის შემცველი საინტერნეტო წყარო, რომელზეც გასვლის საშუალებას იძლევა „ბმული“ სიტყვით დასახელებული ღილაკი.



სურათი 328



სურათი 329



სურათი 330

კომენტარი: აქ, ზემოთ, 328-ე - 330-ე სურათებით წარმოდგენილ საინტერნეტო პუბლიკაციებზე მომხმარებელი გადის ძეხვის შედეგების ველზე განთავსებული „ბმული“ სიტყვით დასახელებული ღლიაკით. ამასთან, სურათ 328-ზე წარმოდგენილ შემთხვევაში მომხმარებელი, იყენებს რა ჩვენს მიერვე შემუშავებულ ხმოვანმართვიან საინტერნეტო მკითხველ სისტემას, სტატიაში არსებულ ინფორმაციას იღებს არა კითხვით ანუ თვალთ, არამედ მოსმენით ანუ ყურით. ეს იმის გათვალისწინებით, რომ კითხვის პროცესი მომხმარებლის მხრიდან იმართება ხმოვანი ბრძანებებით, გასაგებს ხდის რომ საქმე გვაქვს მნიშვნელოვნად ადაპტირებულ ქართულ საინტერნეტო სივრცესთან.

სურათ 329-ზე წარმოდგენილ შემთხვევაში მომხმარებელმა გამოიყენა რა ჩვენს მიერვე შემუშავებული ხმოვანი ძეხვის პროცედურა, სტატიაში ხმოვანი ბრძანებით დაძებნა ფრაზა „როგორც ელჩმა განაცხადა“ (სტატიის გალურჯებულ ნაწილში სწორედ ეს ფრაზაა მოქცეული). ასევე, ჩვენი ხმოვანი მართვის მოდული, ისევე როგორც ეს იყო ქართულ ვიკიპედიაში, მომხმარებელს საშუალებას აძლევს დაძებნილი ფრაზით წამოიწყოს ხმოვანი ძეხვა როგორც გუგლში, ისე ქართულ ვიკიპედიაში. გარდა ამისა, ამავე რეჟიმში, გუგლის მთარგმნელზე დაყრდნობით ჩვენს მიერვე შემუშავებული ქართული ჰიბრიდული მთარგმნელი მომხმარებელს საშუალებას აძლევს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ, იტალიურ, ფრანგულ, ესპანურ, თურქულ და სპარსულ ენებში გადათარგმნოს უკვე დაძებნილი ფრაზა როგორც ხმოვანი, ისე ტექსტუალური ფორმით. სურათ 330-ზე ნაჩვენებია ის შემთხვევა, როცა მომხმარებელმა ხმოვანი ბრძანებით დაძებნილი ფრაზა გადათარგმნა ინგლისურად. ასევე, მომხმარებელს ხმოვანი ბრძანებით საშუალება ეძლევა თარგმნილი ფრაზით თარგმნის ენაში აწარმოოს ძეხვა გუგლსა და ვიკიპედიაში.

ამგვარად, ეს ყველაფერი, და ასევე ის, რომ ჩვენს კორპუსში 30-ზე მეტი საინტერნეტო წყაროდან უკვე შემოსულია 1 340 000-ზე მეტი საინტერნეტო პუბლიკაცია, რომელთაგან თითოეული ზემოთ უკვე მიმოხილული შესაძლებლობებით არის აღჭურვილი, კიდევ უფრო გასაგებს ხდის, რომ კორპუსის შემუშავებით ყველაფერ დანარჩენთან ერთად მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სრულად ადაპტირებული ქართული საინტერნეტო სივრცის ფორმირებისკენ. - ეს ყველაფერი კი, მთლიანობაში, ცხადად ასაბუთებს ამ უმნიშვნელოვანესი მიმართულებით ცენტრში წარმოებული კვლევების შემდგომი გაგრძელებისა და განვითარების აუცილებლობას, რასაც ჩვენ, ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნების გათვალისწინებით, ჩვენს კიდევ ერთ რეკომენდაციად წარმოვადგენთ.

1. 7. დასკვნითი ანუ ჩვენი მთავარი რეკომენდაცია

01. ქვემოთ, ძალიან მოკლედ შევაჯამებთ წინამდებარე ნაშრომის შედეგებსა და მნიშვნელობებს. ასევე, წარმოვადგენთ კიდევ ერთ - ჩვენს მთავარ რეკომენდაციას.

ჩვენი კვლევების ზემოთ უკვე წარმოდგენილი შედეგებიდან და ამ შედეგების მნიშვნელობებიდან გამომდინარე ხაზს ვუსვამთ შემდეგს:

1. ერთის მხრივ, რომ არა 2011 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, რექტორატისა და აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების უწყვეტი მხარდაჭერა ქართული ენის ტექნოლოგიზების მეტად მაღალი ეროვნული მნიშვნელობების მქონე საკითხებისადმი, რაც სრული სიცხადით მტკიცდება ჯერ, 2010 წელს, სტუ ქართული ენის ტექნოლოგიზების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ფორმირებით და, მერე, 2012 წლიდან, ამ ცენტრის გრძელვადიანი პროექტის „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ უწყვეტი მხარდაჭერით, ჩვენ არანაირი საშუალება არ გვექნებოდა წამოგვეწყო და გაგვესრულებინა ქართული ენის დაცვის მიზნებზე მიმართული და წინამდებარე ნაშრომით წარმოდგენილი მეტად მნიშვნელოვანი კვლევები;

2. მეორეს მხრივ, თუნდაც მხოლოდ ქართული ენის ტექნოლოგიზების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის გრძელვადიანი პროექტის „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ AR/122/4-105/14 ქვეპროექტის „კიდევ ერთი ნაბიჯი მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსისაკენ“ ფარგლებში ქართული ენის ლოგიკურ გრამატიკაზე დაყრდნობით წარმოებული კვლევების წინამდებარე ნაშრომით წარმოდგენილი შედეგები იძლევა იმის ხაზგასმით თქმის უფლებას, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ამ ზემოთ უკვე ხაზგასმული წლების განმავლობაში უწყვეტად მიმდინარე მხარდაჭერების შედეგად საგრძნობლივ შემცირდა ის დღესაც საგანგაშო ჩამორჩენა, რაც ქართულს სხვა ტექნოლოგიურად დაწინაურებულ ენებთან შედარებით 2012 წლამდე ანუ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის ტექნოლოგიზების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის გრძელვადიანი პროექტის „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ ამოქმედებამდე ჰქონდა.

3. და, მესამე მხრივ, რომ არა ქართული ენის ტექნოლოგიზების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის მეტად შეზღუდული ადამიანური და ფინანსური რესურსები, ცხადია, ბევრად უფრო სწრაფი ნაბიჯებით იქნებოდა შესაძლებელი ქართული ენის დაცვის თვალსაზრისით ზემოთ უკვე მიმოხილული მეტად მნიშვნელოვანი თეორიული თემებისა და პრაქტიკული სისტემების ხარისხობრივი, თვისობრივი და მოცულობითი წინ წაწევა, რაც საბოლოო ჯამში, ესეც ცხადია, ბევრად უფრო დაცულს - კომფორტულსა და სარგებლიანს გახდიდა ქართულ ენას ვიდრე ის, მისი ტექნოლოგიზების საგანგაშოდ დაბალი მოცულობისა და ხარისხის გამო, დღეს არის.

02. დაბოლოს, ჩვენი მთავარი რეკომენდაცია: როგორც უკვე აღინიშნა, დღეს, ქართული ენა ენობრივი რესურსებისა და ტექნოლოგიების თვალსაზრისით მეტად მწირედაა მხადაჭერილი. უფრო მეტიც, ამ მხრივ ქართული ენა დღესაც კი საგანგაშოდ ჩამორჩება იმ 21 ევროპული ენიდან თითქმის ნებისმიერს, რომლებიც მეტა-ქსელის კვლევის „ევროპის ენების ციფრულ ეპოქაში“ მიხედვით ციფრული გაქრობის ანუ კვდომის საფრთხის ქვეშ არიან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის ტექნოლოგიზების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ორწლიანი საგრანტო პროექტი „კიდევ ერთი ნაბიჯი მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსისაკენ“ მიზნად ისახავდა სწორედ ამ საგანგაშო ჩამორჩენის რაც შეიძლება მცირე დროში რაც შეიძლება მაქსიმალურ ნიველირებას და, შესაბამისად, არსებული ვითარების რადიკალურ ცვლილებას. მართლაც, ის, რომ უკვე არსებობს ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსი ანუ ისეთი ერთი მთლიანი თვითგანვითარებადი ქართული-ქსელი, რომელიც აღჭურვილია მუდმივ განვითარებაში მყოფი ქართული ტექსტების მანალიზებელი,¹ მეტყველების დამამუშავებელი,² ავტომატურად მთარგმნელი³ და ხმოვანი ბრძანებებით მმართველი სისტემებით, სრული სიცხადით ასაბუთებს იმას, რომ ქართული ენის ტექნოლოგიური მხარდაჭერის თვალსაზრისით სახეზეა სასაფუძვლო ხასიათის მეტად მნიშვნელოვანი წინსვლები. უფრო მეტიც, თამამდ შეიძლება ითქვას, რომ საპროექტო კვლევების შედეგად ტექნოლოგიური მხარდაჭერის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად შემცირდა ქართულსა და მთელ რიგ სხვა ენებს შორის მანამდე არსებულ ჩამორჩენები. თუმცა, ქართული ენა დღესაც საგანგაშოდ ჩამორჩება ტექნოლოგიურად ყველაზე უფრო მეტად დაწინაურებულ ენებს, რაც განპირობებულია იმით, რომ ამ ბოლო წლებში ამ ენების ტექნოლოგიური დამუშავების პროცესებმა სწრაფი ნაბიჯებით წაიწია წინ. - ეს კიდევ უფრო გასაგებს ხდის ქართული ენის სრული ტექნოლოგიური დამუშავების მიზნით ადგილობრივ მიმდინარე პროცესების შემდგომი სრული ცენტრალიზაციისა და ინტენსიფიკაციის აუცილებლობას.

ამგვარად, ისევ და ისევ ქართული ენის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე ხაზს ვუსვამთ შემდეგს:

2015 წლის 22 ივლისს საბოლოო სახით დამტკიცდა საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. ამასთან, კანონის 10-ე თავის (სახელმწიფო ენის დაცვის სახელმწიფო კონტროლი და შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებათა უფლებამოსილება ამ სფეროში) 37-ე მუხლის (სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა) თანახმად:

¹ როგორცაა მაგალითად: კორპუსის ცოდნისა და ლოგიკის მომცემი ბაზების ავტომატურად გამაფართოებელი პროცედურები; სიტყვების მორფოლოგიური და შედგენილი ენობრივი გამოსახულებების სინტაქსური სტრუქტურების გენერატორები; მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური მართლმწერები; ტექსტებიდან შინაარსის ამომღები, ლოგიკურად მანალიზებელი და კითხვებზე მოპასუხე სისტემები.

² როგორცაა მაგალითად: მომხმარებლის ხმის ჩამდები ინსტრუმენტებით აღჭურვილი ქართული მკითხველი სისტემები; სინთეზირებული და ბუნებრივი მეტყველების ამომცნობები და სხვადასხვა სახის სამეტყველო მონაცემების დამამუშავებელი სისტემები.

³ როგორცაა მაგალითად: წესებზე დამყარებული ქართულ-მათემატიკური და ქართული მრავალენოვანი მთარგმნელი სისტემები; ქართული მრავალენოვანი ხმოვანი ლექსიკონები.

„1. სახელმწიფო ენის დეპარტამენტი სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო ენის ერთიან პროგრამას.

2. სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფენ საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოები.

3. სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა ითვალისწინებს:

ა) სახელმწიფო ენის შესწავლის მსურველთა ინტერესების მაქსიმალურ უზრუნველყოფას; სახელმწიფო ენის სწავლებისა და ენობრივი კულტურის ამაღლების მიზნით მეთოდური და სასწავლო რესურსების მომზადებას; სახელმწიფო ენის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად სწავლებას; ენობრივ უმცირესობათა ჯგუფებში ბილინგვური სწავლების დანერგვას;

ბ) სახელმწიფო ენის სტრუქტურის, ისტორიისა და ფუნქციონირების თავისებურებათა თანამიმდევრულ კვლევას; თანამედროვე ქართულის ერთიან ლექსიკოგრაფიულ უზრუნველყოფას; ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და ტერმინოლოგიური სტანდარტების სრული კორპუსის მომზადებას;

გ) სახელმწიფო ენის სრულ ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას; ენობრივი მონაცემების (ტექსტების) თანამედროვე, სრულყოფილი ციფრული ბაზების შექმნას; სამიებო, ანალიზურ-ოპერატიული და მთარგმნელობითი კომპიუტერული პროგრამების მომზადებას.

4. სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის დაფინანსებას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი უზრუნველყოფს;

5. სახელმწიფო ხელს უწყობს სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის განხორციელების მიზნით ინვესტიციების მოზიდვას.“

გარდა ამისა, კანონის პრეამბულური ნაწილით ხაზი ესმება შემდეგს: „ქართული ენა საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და მისი სახელმწიფოებრიობის აუცილებელი პირობაა. იგი საქართველოს ყველა მოქალაქის საერთო-სახელმწიფოებრივი კუთვნილებაა. საქართველოს სახელმწიფო თავის ყველა ფუნქციას ამ ენაზე ასრულებს, იცავს მას და განსაზღვრავს მისი, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირებისა და განვითარების პოლიტიკას.“

ამგვარად, სახელმწიფო ენის კანონის ზემოციტირებული შესავალი ნაწილის თანახმად ჩვენი მთავარი რეკომენდაცია მიემართება საქართველოს მთავრობას და მდგომარეობს შემდგომში: საქართველოს სახელმწიფო ენების (მხედველობაში გვაქვს როგორც ქართული, ისე აფხაზური) ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნით აუცილებლად მივიჩნევთ სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის თუ სრული მოცულობით არა 37-ე მუხლის ფარგლებში მაინც გადაუდებლივ ამოქმედებას!

ანუ, ციფრული კვდომის საფრთხისგან ქართული ენის დასაცავად პირველ რიგში აუცილებლად გადასადგმელი ნაბიჯი არის სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლით განსაზღვრული „სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის“ შემუშავების მიზნით აქტიურად მოქმედი ჯგუფის რაც შეიძლება დროული ფორმირება! - მით უფრო, რომ ასეთი მიზნითა და ასეთი სტატუსით მოქმედი ჯგუფის ფორმირება ვერაფრით მოხერხდება სახელმწიფოს მაორგანიზებელი როლისა და ჩართულობის გარეშე.

ჩვენი ის გამოქვეყნებები, რომლებსაც ვეყრდნობით:

1. მ. ჩიქვინაძე, სადოქტორო დისერტაცია „ქართული გრამატიკული მართლმწერი“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამეცნიერო ხელმძღვანელი - სტუ ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, პროფესორი კ. ფხაკაძე, (ქართულად), 1-271, 2017.
2. გ. ჩიჩუა, სადოქტორო დისერტაცია „ქართული მეტყველების კომპიუტერული სინთეზი და ამოცნობა“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამეცნიერო ხელმძღვანელი - სტუ ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, პროფესორი კ. ფხაკაძე, (ქართულად), 1-246, 2017.
3. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია, მივხედოთ ქართულ ენას!, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შრომები, (ქართულად) 149-158, 2016.
4. კონსტანტინე ფხაკაძე, ქართული ენით ევროკავშირში ანუ გრძელვადიანი პროექტი „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ და ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეები, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირისა და საქართველოს მექანიკოსთა კავშირის გაერთიანებული VII საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ინგლისურად), 192-193, 2016.
5. კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა, ქართული შინაარსულად მკითხველი სისტემის საცდელ-სამომხმარებლო ვერსია, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირისა და საქართველოს მექანიკოსთა კავშირის გაერთიანებული VII საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ქართულად), 193-194, 2016.
6. კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა, ი. ბერიაშვილი, ქართული მრავალენოვანი (ინგლისური, გერმანული, რუსული) კომპიუტერული სასაუბრო სისტემის პირველი საცდელი ვერსია, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირისა და საქართველოს მექანიკოსთა კავშირის გაერთიანებული VII საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ქართულად), 194-195, 2016.
7. კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა, მ. ჩიქვინიძე, დ. კურცხალია, ქართული ადაპტირებული ანუ ხმოვანმართვიანი „ვინდოუსის“ პირველი საცდელი ვერსია, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირისა და საქართველოს მექანიკოსთა კავშირის გაერთიანებული VII საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ქართულად), 196-197, 2016.

8. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, ქართული ჰიბრიდული გრამატიკული (ორთოგრაფიული, სინტაქსური) მართლმწერი სისტემის პირველი საცდელ-სამომხმარებლო ვერსია, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირისა და საქართველოს მექანიკოსთა კავშირის გაერთიანებული VII საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ქართულად), 197-198, 2016.
9. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია, ქართული ლოგიკური ანალიზატორისა და კითხვებზე მოპასუხე სისტემის პირველი ხმოვანმართვიანი საცდელი ვერსიები, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირისა და საქართველოს მექანიკოსთა კავშირის გაერთიანებული VII საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ქართულად), 198-199, 2016.
10. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია, ქართული ჰკვიანი ფურცლის ანუ მრავალფუნქციური ქართული რედაქტორის პირველი საცდელი ვერსია, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირისა და საქართველოს მექანიკოსთა კავშირის გაერთიანებული VII საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ქართულად), 199-200, 2016.
11. კ. ფხაკაძე, დ. კურცხალია, ქართული ლოგიკური ამოცანებისა და ანალოგიების ავტომატურად მაწარმოებელი სისტემის პირველი საცდელ-სამომხმარებლო ვერსია, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირისა და საქართველოს მექანიკოსთა კავშირის გაერთიანებული VII საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ქართულად), 201-202, 2016.
12. კ. ფხაკაძე, დ. კურცხალია, გ. ჩიჩუა, მ. ჩიქვინიძე, ქართული ჰკვიანი ჟურნალის პირველი საცდელი ვერსია, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირისა და საქართველოს მექანიკოსთა კავშირის გაერთიანებული VII საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ქართულად), 202-203, 2016.
13. კ. ფხაკაძე, დ. კურცხალია, გ. ჩიჩუა, მ. ჩიქვინიძე, ქართული ლოგიკური ამოცანებისა და ანალოგიების ამოხსნის უნარების ავტომატურად ტესტირების ხმოვანმართვიანი სისტემის პირველი საცდელი ვერსიები, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირისა და საქართველოს მექანიკოსთა კავშირის გაერთიანებული VII საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ქართულად), 203-204, 2016.
14. კ. ფხაკაძე, დ. კურცხალია, გ. ჩიჩუა, მ. ჩიქვინიძე, ქართული ადაპტირებული ანუ ხმოვანმართვიანი „ჯიშეილის“ პირველი საცდელი ვერსია, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირისა და საქართველოს მექანიკოსთა კავშირის გაერთიანებული VII საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ქართულად), 205-206, 2016.
15. კ. ფხაკაძე, დ. კურცხალია, გ. ჩიჩუა, მ. ჩიქვინიძე, ქართული ხმოვანი ბრაუზერის საცდელ-სამომხმარებლო ვერსია, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირისა და

- საქართველოს მექანიკოსთა კავშირის გაერთიანებული VII საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ქართულად), 206-207, 2016.
16. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, ი. ბერიაშვილი, დ. კურცხალია, შ. მალიძე, ქართული ჰკვიანი ჟურნალისა და ადაპტირებული ვიკიპედიის პირველი ვერსია, ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის შრომების კრებული (ინგლისურად) იბეჭდება, 2016.
 17. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია, ქართული ენის ლოგიკური გრამატიკა: საფუძვლები და გამოყენებები - ნაწილი მესამე - ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის გამოყენებები, ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, N10, 4-204, 2015-2106.
 18. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია, ქართული ენის ლოგიკური გრამატიკა: საფუძვლები და გამოყენებები - ნაწილი პირველი - წინათქმა, ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, N9, 4-130, 2015-2106.
 19. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია, ღია წერილი ქართულ საზოგადოებას ანუ უკვე ნამდვილად დროა ერთად მივხედოთ ქართულ ენას!, ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, N9, 131-158, 2015-2106.
 20. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია, პროექტის „კომპანიის - „ქართული ენობრივი ტექნოლოგიები“ - დაფუძნება“ ბიზნესგეგმა, ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, N9, 159-200, 2015-2106.
 21. მ. ჩიქვინიძე, კ. ფხაკაძე, ქართული V, N და A ტიპის სიტყვების ტაგერების (ანუ ამომცნობების), დესკრიპტორებისა (ანუ აღმწერებისა) და გენერატორების (ანუ მაწარმოებლების) საცდელ-სამომხმარებლო საინტერნეტო ვერსიები, ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, N9, 201-208, 2015-2106.
 22. გ. ჩიჩუა, კ. ფხაკაძე, ქართული ტიტრირებული მეტყველების სხვადასხვა სახის დამნაწევრებელი სისტემების საცდელი საინტერნეტო და არასაინტერნეტო ვერსიები, ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, N9, 209-214, 2015-2106.
 23. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, ი. ბერიაშვილი, დ. კურცხალია, პროექტის - „კიდევ ერთი ნაბიჯი მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსისაკენ“ - მიზნები და პირველი შედეგები, საერთაშორისო კონფერენციის „ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“ მასალები, (ქართულად/ინგლისურად) 107-111, 2015.
 24. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, ი. ბერიაშვილი, დ. კურცხალია, ქართული ენით ევროკავშირში - პროექტის „კიდევ ერთი ნაბიჯი მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსისაკენ“ მიზნები და საფუძვლები, ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გაფართოებული სემინარების მოხსენებები, (ინგლისურად) ტომი 29, 37-43, 2015.
 25. კ. ფხაკაძე, ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის მიზნების, მეთოდებისა და მთავარი თეორიული შედეგების მოკლე მიმოხილვა, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ინგლისურად) 65-66, 2015.
 26. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, ი. ბერიაშვილი, დ. კურცხალია, ქართული ვებ-გვერდების ხმოვანი მართველის საცდელი ვერსია, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ქართულად), 172-173, 2015.

27. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია, ქართული ვებ-გვერდების ხმით მართვადი მკითხველი სისტემა, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ქართულად), 168-169, 2015.
28. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, ი. ბერიაშვილი, დ. კურცხალია, ქართული ხმიდან-ხმაზე და ტექსტიდან-ტექსტზე მთარგნელი სისტემის საცდელი ვერსიები, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, 167-168, (ქართულად), 2015.
29. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, ი. ბერიაშვილი, დ. კურცხალია, პროექტის „ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძვლები და მისი გამოყენება საინფორმაციო ტექნოლოგიებში“ ფარგლებში აგებული ხმით მართვადი ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის საცდელი საინტერნეტო ვერსიის მოკლე მიმოხილვა, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ქართულად), 170-171, 2015.
30. მ. ჩიქვინიძე, კ. ფხაკაძე, პროექტის „ქართული ენით ევროკავშირში ანუ სადოქტორო თემა - ქართული გრამატიკული მართლმწერი (ანალიზატორი)“ მიზნების, მეთოდებისა და პირველი შედეგების მოკლე მიმოხილვა, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ქართულად), 93-94, 2015.
31. გ. ჩიჩუა, კ. ფხაკაძე, პროექტის „ქართული ენით ევროკავშირში ანუ სადოქტორო თემა - ქართული მეტყველების სინთეზი და ამოცნობა“ მიზნების, მეთოდებისა და პირველი შედეგების მოკლე მიმოხილვა, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ქართულად), 92-93, 2015.
32. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, ი. ბერიაშვილი, დ. კურცხალია, ქართული ენით ევროკავშირში ანუ პროექტის „კიდევ ერთი ნაბიჯი მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსისაკენ“ მიზნებისა და მეთოდების მოკლე მიმოხილვა, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის VI საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ქართულად), 109-110, 2015.
33. კ. ფხაკაძე, ღია წერილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ანუ ის, რომ ევროპული ენები საფრთხის წინაშეა, სრულიად ცხადს ხდის იმ საფრთხის განსაკუთრებით მაღალ ხარისხს, რომლის წინაშეცაა ქართული! - ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად!! - ანუ, დროა მივხედოთ ქართულ ენას!!!, ელ-ჟურნალი „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“, (ქართულად), N1, 1-42, 2015.
34. გ. ჩიჩუა, კ. ფხაკაძე, პროექტი „ქართული ენით ევროკავშირში ანუ სადოქტორო თემა - ქართული მეტყველების სინთეზი და ამოცნობა“, ელ-ჟურნალი „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“, (ქართულად), N1, 1-20, 2015.
35. მ. ჩიქვინიძე, კ. ფხაკაძე, პროექტი „ქართული ენით ევროკავშირში ანუ სადოქტორო თემა - ქართული გრამატიკული მართლმწერი (ანალიზატორი)“, ელ-ჟურნალი „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“, (ქართულად), N1, 1-19, 2015.
36. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის პროექტი - „კიდევ ერთი ნაბიჯი მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური

კორპუსისაკენ“, ელ-ჟურნალი „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“, (ქართულად), N1, 1-28, 2015.

37. კ. ფხაკაძე, შალვა ფხაკაძის აღნიშვნათა თეორია და სხვადასხვა ბუნებრივი ენების წარმოქმნის ქართული თეორია, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის V საერთაშორისო კონფერენციის თეზისები, (ინგლისურად), 48-49, 2014.
